ლელი

№075 (12 145)

31 მარტი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ჭაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი.
მე-18 ტური. დღეს, 15:00
დინამო-სიონი
ოლიმპი-მერანი
ჩიხურა-ზესტაფონი
ბორჯომი-ამერი
ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი
დილა-ტორპედო
გათუმი-კახეთი

2

ფეხბურთის თამაშს ველარ შევძლებ

ინტერვიუ გიორგი გახოკიძესთან

4

რაგბი. 7 აპრილი

საქართველო-ჩეხეთი



მეტოქე ქართველ მნვრთნელს მოუყვანს

ბორჯღალოსანთა შემადგენლობა

13

ბრაზილია+არგენტინა

საქართველო-არგენტინა 12 სექტემბერს, თბილისში. მეტოქე თანახმაა, ჩვენი ფედერაცია პასუხს 5 აპრილამდე იტყვის

საქართველო-ბრაზილიის ამხანაგური მატჩის ორგანიზებისათვის მოლაპარაკება რომ განახლდა, გუშინ გაცნობეთ. საღამოს კი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი გავიგეთ.

- დღეს ვესაუბრე არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელებს. უკვე თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ არგენტინული მხარე თანახმაა 12 სექტემბერს საქართველოს ნაკრებთან, თბილისში ამხანაგური მატჩი გამართოს. ოფიციალური დასტურს არგენტინიდან, საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტ **ხულიო გრონდონას** ხელმოწერით, ამ დღეებში გამოაგზავნიან. მორიგებას ჩვენი ფედერაციის თანხმობა აკლია. - გვითხრა გუშინ არგენტინიდან **ნიკო პატარქალიშვილმა**, რომელიც ამ საკითხის მოგვარებაზე უკვე კარგა ხანია მუშაობს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **უჩა უგულავა:** - არგენტინიდან ფაქსი მივიღეთ. გვთხოვენ, 5 აპრილამდე ჩვენი საბოლოო გადაწყვეტილება ვაცნობოთ - გაიმართება თუ არა 12 სექტემბერს საქართველო-არგენტინის ამხანაგური მატჩი. ამ საკითხზე ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბთან ერთად უკვე ვმსჯელობთ, პარალელურად კი პოტენციურ სპონსორებთან დავიწყეთ მოლაპარაკებები. რამდენიმე დღეში არგენტინაში პასუხს გავაგზავნით.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკებაშიც ანალოგიური ვითარებაა. მეტოქე თანახმაა, ჩვენებმა ორი თარიღიდან (12 სექტემბერი ან 17 ნოემბერი) ერთი უნდა აირჩიონ და სპონსორი იშოვონ.

დავით ცაბაძე

ბოლო ბრძოლები ევროპის ჩემპიონატის წინ

რეპორტაჟი ბორჯომიდან



ირაკლი თავაძე

ძიუდოისტთა ნაკრები ამთავრებს ევროპის პირველობისთვის მოსამზადებელ ბოლო შეკრებას ბორჯომში, სპორტკომპლექს „ოლიმპის“ ახალ დარბაზში. ისინი 4 აპრილს დაბრუნდებიან თბილისში, მეორე დღეს კი ბელგრადში გაფრინდებიან, სადაც 6-8 აპრილს კონტინენტის პირველობაში გამოვლენ. ნაკრების თავკაცმა **შოთა ხაბარელმა** გუნდში **ნესტორ ხერგიანი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) და **ლაშა გუჯეჯიანი** (მძიმე) შეიყვანა.

გუშინ ნაკრებმა ბოლო საწვრთნელი შეხვედრები გამართა. მწვრთნელებმა თავიდანვე გამოაცხადეს წყვილები, რომლებიც ჯერ დილით, მერე კი საღამოსაც იჭიდავებდნენ. ცხადია, ყოველ მათგანში თითო მონაწილე ზემოჩამოთვლილი შვიდეულიდან იყო. მათი საშეჯიბრო განრიგი მიახლოებულია იმ ვარიანტთან, როგორითაც ევროპაზე მოუწევთ გამოსვლა - 4 შეხვედრა დილით და ერთი საღამოს.

10

საქართველოს XXI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. მეორე წრე. XVIII ტური

სულ

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ოლიმპი	17	13	3	1	42-6	42
2. დინამო	17	13	0	4	35-33	39
3. ზესტაფონი	17	11	5	1	33-6	38
4. ამერი	17	11	4	2	33-11	37
5. ვიტ ჯორჯია	17	10	4	3	35-23	34
6. სიონი	17	9	2	6	22-15	29
7. ტორპედო	17	8	4	5	18-15	28
8. გათუმი	17	5	4	8	16-16	19
9. მერანი	17	4	5	8	14-29	17
10. ბორჯომი	17	4	5	8	16-27	17
11. ლოკომოტივი	17	4	4	9	12-23	16
12. ჩიხურა	17	3	4	10	11-27	13
13. დილა	17	0	3	14	9-45	3
14. კახეთი	17	0	1	16	11-51	1

შინ

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ამერი	9	7	2	0	17-3	23
2. ოლიმპი	8	7	1	0	24-3	22
3. დინამო	8	7	0	1	18-5	21
4. ზესტაფონი	9	6	3	0	18-1	21
5. ვიტ ჯორჯია	8	6	2	0	20-9	20
6. ტორპედო	9	5	2	2	11-9	17
7. სიონი	9	5	1	3	13-5	16
8. ლოკომოტივ	9	4	1	4	9-12	13
9. გათუმი	8	3	1	4	9-8	10
10. ბორჯომი	8	2	3	3	10-14	9
11. ჩიხურა	8	2	3	3	6-10	9
12. მერანი	9	1	3	5	5-16	6
13. დილა	8	0	1	7	2-21	1
14. კახეთი	9	0	1	8	7-22	1

სტუმრად

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ოლიმპი	9	6	2	1	18-3	20
2. დინამო	9	6	0	3	17-8	18
3. ზესტაფონი	8	5	2	1	15-5	17
4. ამერი	8	4	2	2	16-8	14
5. ვიტ ჯორჯია	9	4	2	3	15-14	14
6. სიონი	8	4	1	3	9-10	13
7. ტორპედო	8	3	2	3	7-6	11
8. მერანი	8	3	2	3	9-13	11
9. გათუმი	9	2	3	4	7-8	9
10. ბორჯომი	9	2	2	5	6-13	8
11. ჩიხურა	9	1	1	7	5-17	4
12. ლოკომოტივ	8	0	3	5	3-11	3
13. დილა	9	0	2	7	7-24	2
14. კახეთი	8	0	0	8	4-29	0

ბომბარდირები

1	ფიფია(ზესტაფონი)	11
2-3	გელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	9
	იაშვილი (დინამო)	9
4	დვალიშვილი (ოლიმპი)	8
5-8	ონიანიძე (ზესტაფონი)	7
	გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯ.)	7
	ტატანაშვილი (ამერი)	7
	დოლიძე (ამერი)	7
9	ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო)	6
10-16	წინამძღვრიშვილი (ამერი)	5
	ა. ალავიძე (სიონი)	5
	ჩასემი (სიონი)	5
	გოგოხიძე (დინამო)	5
	გოჩაშვილი (ლოკომოტივი)	5
	ვ. კვარაცხელია (ოლიმ./გათ.)	5
	ს. დავითაშვილი (ამერი)	5
17-26	ხუციშვილი (დინამო)	4
	სირბილაძე (ოლიმპი/დინამო)	4
	საჯაია (ზესტაფონი)	4
	გ. ჭელიძე (ზესტაფონი)	4
	გამზარდაშვილი (ტორპედო)	4
	კინკაძე (გორგომი/ვიტ ჯ.)	4
	ქვაბაძე (ოლიმპი)	4
	კახელიშვილი (ოლიმპი)	4
	გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია)	4
	დვალი (დინამო/ჩიხურა)	4
27-40	ვ. ლონდაძე (ზესტაფონი)	3
	გენაძე (ოლიმპი)	3
	ივოჩე (სიონი)	3
	კაკაბაძე (ჩიხურა/გორგომი)	3
	კრასოვსკი (ტორპედო)	3
	მუშკუდიანი (ტორპედო)	3
	მუშვირი (გათუმი)	3
	სახოკია (ვიტ ჯორჯია)	3
	გაგუა (მერანი)	3
	აფციაური (ოლიმპი)	3
	გ. ჯიქია (გორგომი)	3
	გ. ონიანი (ოლიმპი)	3
	გ. მერებაშვილი (დინამო)	3
	კოზახიძე (დინამო)	3
41-69	გ. თოდუა (ოლიმპი)	2
	მ. ლონდაძე (ტორპედო)	2
	გ. მიქაძე (ჩიხურა)	2
	ნ. ნოზაძე (დილა)	2
	ვაჩეიშვილი (დილა)	2
	დ. გოგოლაძე (გათუმი)	2
	ნ. დავითაშვილი (კახეთი)	2
	არუდაშვილი (კახეთი)	2
	გოლეთიანი (ამერი)	2
	კოზახიძე (კახეთი)	2
	ნაქემი (გორგომი)	2
	გუდარაშვილი (ლოკომოტივი)	2
	ყენია (ლოკომოტივი)	2
	ალავერდაშვილი (ლოკომოტივი)	2
	მახვილაძე (ოლიმპი)	2
	ვ. უგრეხელიძე (სიონი)	2
	ლომაია (ვიტ ჯორჯია)	2
	ქემაშვილი (მერანი)	2
	ა. ნოზაძე (მერანი)	2
	იმედაძე (ზესტაფონი/ტორპედო)	2
	რ. გოცირიძე (ოლიმპი)	2
	გეგენავა (გათუმი)	2
	გორიმო (სიონი)	2
	ა. კვახაძე (ვიტ ჯორჯია)	2
	გურიაშვილი (ვიტ ჯორჯია)	2
	ტატიაშვილი (კახეთი)	2
	დარასელია (სიონი)	2
	გენაშვილი (ზესტაფონი)	2
	ჩიმაკაძე (ამერი)	2

დღეს ლოკომოტივზე...

რა ელით უგრინს და დინამოს?

ფორმააკრეფილ დინამოელებს მეორე წრის შეხვედრებში ქულათა მაქსიმუმი აქვთ მოხვეჭილი და ტემპის დაგდებას არ აპირებენ. თავის მხრივ, ბოლნისელებმა უკვე საკმაო რაოდენობის ქულები დაკარგეს და თუკი ამ ტურშიც ვერ ივარგეს, ექსჩემპიონებად სულ მალე მოვიხსენიებთ. "დინამო"-"სიონის" ყველა ორთაბრძოლა შთამბეჭდავია და ბუნებრივია, დღესაც მაღალი დონის ფეხბურთს ველით.

სხვა ლიდერებსაც საკუთარი საზრუნავი აქვთ. ბოლო დროს მომრავლებული სენსაციების გადამკიდე, ცხრილის ზედა ნაწილის ბინადართ მოდუნების უფლება არა აქვთ, მათ ერთობ ბრძოლისუნარიან მეტოქეებთან ელით ურთიერთობის გარკვევა.

დინამო-სიონი

31 მარტი. თბილისი. მ. მესხი. 15:00
პირველ წრეში: 1:0

სავარაუდო შემადგენლობები

დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, ფეიქრიშვილი, გ. მერებაშვილი, ხმალაძე, კობახიძე, დიღმელაშვილი, ს. იაშვილი

სიონი: ბობღიაშვილი, ექონია, ბოიომო, ორბელაძე, რაქვიაშვილი, ოქროპირიძე, სილაგაძე, კორღალიძე, დარასელია, ა. ალავიძე, ჩასემი

არბიტრი: ხარიტონაშვილი
ასისტენტები: მიქელაძე, ფიფია

შოთა ბაბუნაშვილს დღეს თამაშის უფლება არა აქვს. შეგახსენებთ, იგი "დინამოს" კუთვნილებაა და "სიონში" იჯარით ასპარეზობს. მის გარდა, ბოლნისელები ხელმოცარულ **ლევან სანიკიძეს** მოისაკლისებენ. "დინამოს" ყოფილ და "სიონის" ამჟამინდელ დამრიგებელ **კახა ცხადაძეს** სხვა ფეხბურთელები მწყობრში ჰყავს.

მოქმედი ჩემპიონები აქცენტს უკვე თასზე აკეთებენ, რადგანაც ჩემპიონატიდან ევროპაზე გასვლის მიზერული შანსი აქვთ. თუმცა ცხადია, "დინამოსთან" დაპირისპირებაში ბოლომდე დაიხარჯებიან.

სრული არჩევანი აქვს **დუშან უჯრინს**, გამოცდილი ჩეხი ალბათ, კვლავ ნაცად შემადგენლობას დაეყრდნობა. მწყობრშია **ნედ ზელიჩი**, რომელმაც ტრავმის გამო, ქუთაისური შეხვედრა გამოტოვა.

ოლიმპი-მერანი

31 მარტი. რუსთავი. ფოლადი. 15:00
პირველ წრეში: 1:0

სავარაუდო შემადგენლობები

ოლიმპი: მერლანი, გ. ონიანი, ჭიჭვეიშვილი, მახვილაძე, ნავალოვსკი, ძამსაშვილი, სეთურიძე, ქვაბაძე, აფციაური, დვალიშვილი, რ. გოცირიძე

დისკვალიფიკაცია: გენაძე

მერანი: სეფიაშვილი, კედელაშვილი, ჯანგიძე, თურქია, ოსიტაშვილი, ლ. გრიგალაშვილი, დეისაძე, ოქრუაშვილი, კობერიძე, ფურცელაძე, ქემაშვილი

დისკვალიფიკაცია: ბესარაშვილი
არბიტრი: ხეცაძე
ასისტენტები: ჯვარიძე, უკლება

როგორც იცით, რამდენიმე დღის წინათ "მერანისა" და **სერგო კუტივაძის** გზები გაიყარა. სავარაუდოდ, დედაქალაქური გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი **ასლან ბალაძე** იქნება, თუმც რუსთავში "მერანს" **დავით ეჯიბიშვილი** და **სერგო გაბელაია** უხელმძღვანელებენ. შესაძლოა, მათ შემადგენლობაში სერიოზული კორექტივები შეიტანონ.

ფავორიტები, ბუნებრივია, მასპინძლები არიან, მაგრამ ოლიმპელებმა მეტოქე სათანადოდ უნდა შეაფასონ, "მერანმა" ხომ სულ ცოტა ხნის წინათ ზესტაფონიდან ქულა წამოიღო. ორი კვირის წინათ, "ლოკომოტივთან" გამარჯვების მიუხედავად, ერთპიროვნული ლიდერები არცთუ დამაჯერებელნი იყვნენ, ვნახოთ, რა შეიცვალა გუნდში ამ პერიოდმა.

ჩიხურა-ზესტაფონი

31 მარტი. გორი. ქარელი. 15:00
პირველ წრეში: 0:2

სავარაუდო შემადგენლობები

ჩიხურა: სტურუა, გიგაური, ლ. ვაშაკიძე, ქემოკლიძე, ბარამიძე, თავბერიძე, ქუცურუა, კ. მახარაძე, ბუცხრიკიძე, გ. მიქაძე, დვალი

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, შ. ლონდაძე, ს. თოდუა, რ. ონიანი, გ.ჭელიძე, ვიერა, ჟონატასი, ნ. კვასხვაძე, ფიფია, გ. ჩხეტიანი

დისკვალიფიკაცია: კ. ჩხეტიანი
არბიტრი: ბეუქლიშვილი
ასისტენტები: გაბრიაძე, ბერაძე

როგორც იქნა, "ზესტაფონმა" **ლეანდრო** განაცხადში შეიყვანა და შესაძლოა, ბრაზილიელ ფორვარდს თავის გამოჩენის საშუალებაც მიეცეს. კაპიტანი **კახა ჩხეტიანი** მნიშვნელოვანი დანაკლისია, მაგრამ ფეროელებს ტევადი სათადარიგო სკამი აქვთ და მისი არყოფნა არ უნდა შეეტყოთ. "ჩიხურას" **კახა მახარაძე** უბრუნდება, რომელმაც მეორე წრის შეხვედრათა უმეტესობა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. ჩემპიონობისთვის მებრძოლ "ზესტაფონს" ქულების დაკარგვის უფლება არა აქვთ, მარცხი არც საჩხერელთა გეგმებში შედის.

"ჩიხურამ" საშინაო არენის პრობლემა ჯერაც ვერ მოაგვარა და როგორც ხედავთ, მეტოქეს კვლავ გორში მასპინძლობს.

ბორჯომი-ამერი

31 მარტი. ბორჯომი.
ჯ. ზეინკლიშვილი. 15:00
პირველ წრეში: 0:2

სავარაუდო შემადგენლობები

ბორჯომი: შეყრილაძე, ლ. მერებაშვილი, ქარქუზაშვილი, ნადირაშვილი, თ. ლონდაძე, ავალიანი, შ. გრიგალაშვილი, საყვარელიძე, კოშკაძე, კაიდარაშვილი, კაკალაძე

დისკვალიფიკაცია: კოდალაური, ჯიქია

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, დოლიძე, მ'ესხი, ბოლქვაძე, მჭედლიშვილი, ს. დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი

დისკვალიფიკაცია: დობროვოლსკი
არბიტრი: კრიჭაშვილი
ასისტენტები: გუდურაშვილი, თოდრია

წინა ტურში "ამერმა" ოთხი დისკვალიფიცირებული მოისაკლისა, რის გამოც "დილას" ძლევა ძალიან გაუჭირდა. დღეს გლდანელები გაცილებით ძლიერი შემადგენლობით ითამაშებენ, მაგრამ დანაკლისი მაინც აქვთ. დასჯილი **დობროვოლსკის** გარდა, მოედანზე ალბათ ვერც **დეკანოსიძე** და **ჯელაძე** გავლენ.

შოთა ჯიქია ბორჯომელთა ლიდერია და მისი არყოფნა მასპინძელთა თამაშს ალბათ, დაღს დაასვამს. "ბორჯომს" შარშანდელი შედეგი უმაგრებს ზურგს, როცა შინ "ამერს" 2:0 მოუგო. ისე კი, ურთიერთშეხვედრებში თასის მფლობელებს აშკარა უპირატესობა აქვთ.

ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი

31 მარტი. მცხეთა. არმაზი. 15:00
პირველ წრეში: 3:0

სავარაუდო შემადგენლობები

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კვაღინიძე, ბერიაშვილი, გელაშვილი, გ. მელქაძე

დისკვალიფიკაცია: სახოკია

ლოკომოტივი: გვარამაძე, გულორდავა, მალიჩავა, თუთბერიძე, გუშარაშვილი, გ. კვახაძე, დ. ფოფხაძე, სამხარაძე, ყენია, ჟღენტი, გოჩაშვილი

არბიტრი: კვარაცხელია
ასისტენტები: ელიკაშვილი, ჩიგოგიძე

იოლი მისახვედრია, როგორია ვეტერინართა განწყობა ზესტაფონში განცდილი გამანადგურებელი მარცხის შემდეგ. ნათლად გამოჩნდა, რომ "ვიტ ჯორჯიას" ბევრი პრობლემა დაუგროვდა, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც წამყვან ფეხბურთელთა გასხვისებაა. თუმცა შოკიდან გამოსასვლელად ეს ორკვირიანი პაუზა საკმარისი იქნებოდა **ნესტორ მუმლაძე** და მისი შეგირდები ევროსაგზურისთვის ბრძოლას განაგრძობენ და დღეს მორიგი სამქულიანი შანსის გამოყენებას შეეცდებიან. "ლოკომოტივს" დასაკარგი არაფერი აქვს, მცხეთაში შეუპოვარ ბრძოლას უნდა ველოდოთ.

დილა-ტორპედო

31 მარტი. გორი. თ. გუჩუაანაძე. 15:00
პირველ წრეში: 0:2

სავარაუდო შემადგენლობები

დილა: თევდორაძე, დ. ხანიშვილი, ბალიაშვილი, ვარდოსანიძე, ბალაშვილი, კ. ხანიშვილი, სამადაშვილი, ლომაშვილი, ყველაშვილი, ბ. ჩიტაია, გონჩაროვი

ტორპედო: ქვილითაია, მ. ლონდაძე, ჭედია, რ. ბარაბაძე, ზივზივაძე, კვეტენაძე, ლაღაძე, გურული, ზ. ჩხეტიანი, ნადირაძე, იმედაძე

არბიტრი: სანაია
ასისტენტები: **კურტანიძე, მოლოდინაშვილი**

კიკნაძე-ზამთარაძის სამწვრთნელო დუეტის წასვლის შემდეგ, „ტორპედოს" სერიოზული სათამაშო კრიზისი დაეწყო. ქუთათურებს უკეც შეუძლიათ, ახალი ჩემპიონატისთვის დაისახონ გეგმები, წლეულს მათ არც დაქვეითება ემუქრებათ და არც ცხრილში ამაღლების პერსპექტივა გააჩნიათ.

გორელებს შესანიშნავი შანსი აქვთ, არასახარბიელო ვითარებაში მყოფ მოწინააღმდეგესთან ჭიდილში გამარჯვება იზეიმონ. "დილას" ჯერაც არ დაუკარგავს უმაღლესში დარჩენის თეორიული შანსი, "ამერთან" გასვლით მატჩში შიდაქართლელებმა ურიგო შთაბეჭდილება არ დატოვეს, რაც მათ დღევანდელ შეხვედრისთვის იმედიანად განაწყობს.

გათუმი-კახეთი

31 მარტი. გათუმი. ადელი. 15:00
პირველ წრეში: 3:1

სავარაუდო შემადგენლობები

გათუმი: სომხიშვილი, თედორაძე, ცანავა, გალოგრე, ლობჟანიძე, ხოხონიშვილი, კუნჭულია, შალამბერიძე, ნერგაძე, დარჩიძე, ბეჟანიძე

დისკვალიფიკაცია: ვ. კვარაცხელია

კახეთი: გ. იაშვილი, კუპრაშვილი, ჩუთლაშვილი, გ. ხიდაშელი, კვირკველია, კობაიძე, ბ. ბურნაძე, გერგიშვილი, მ. ხიდაშელი, ნ. დავითაშვილი, ტეტიაშვილი

არბიტრი: სილაგავა
ასისტენტები: გ. დოგრაშვილი, მ. ურუშაძე

ბათუმელები სეზონის მეორე ნახევარს უმაღლეს დონეზე ატარებენ და ძნელი წარმოსადგენია, უიმედო აუტსაიდერის ძლევა გაუჭირდეთ. **ამირან გოგიტიძის** გუნდს არც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება უნდა გაუჭირდეს და ვინძლო არც თასის ნახევარფინალით დაკმაყოფილდეს.

კახელებმა კი ის დროა, თადარიგი მომდევნო სეზონისთვის დაიჭირონ, მათი პირველი ლიგაში დაბრუნება უკვე გარდაუვალი ჩანს.

ლევან ჯანეზაშვილი

გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

XVIII ტურის გამორჩეული მატჩი.

დინამო–სიონი

დუშან უჭრინი

(თბილისის დინამო, მთ. მწვრთნელი):

- ახლახან ჩატარებული სანაკრებო მატჩებისთვის, ეროვნულ და სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებ გუნდში ათი დინამოელი იყო მიწვეული. მათ შორის ლეგიონერი **ილია სპასოევიჩი**. ის ჩერნოგორიის 21-წლამდელთა ნაკრებში იყო გამოძახებული და ითამაშა კიდეც. ყველა ეს ფეხბურთელი უკვე დაგვიბრუნდა და დიდი ხნის პაუზის შემდეგ, გუნდმა სრული შემადგენლობით, პირველად, მხოლოდ დღეს ივარჯიშა.

- ბოლნისის "სიონის" სახით ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი და სერიოზული მეტოქე გვყავს. საბედნიეროდ, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა. სრული მობილიზებითა და მონდომებით ვემზადებით ამ მნიშვნელოვანი მატჩისთვის.

სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენთვის, დარჩენილი ცხრავე შეხვედრა ფინალის ტოლფასია.

კახა ცხადაძე

(ბოლნისის "სიონი", მთ. მწვრთნელი):

- სანაკრებო პაუზა დასრულდა და ეროვნულ პირველობაზე ბრძოლას ვაგრძელებთ. "დინამოსთან" მატჩისთვის ჩვენი გუნდი თბილისში, სასტუმრო "ლიზიშია" დაბინავებული და მოსამზადებელ შეკრებაზეა გადასული.

"დინამოსთან" თამაში ყველა გუნდისთვის მნიშვნელოვანია და რაღა თქმა უნდა ჩვენთვისაც. დუშან უჭრინის გუნდი ძლიერია და ხვალ რთული მატჩი გველის. მართალია, ხვალინდელ შეხვედრაში სტუმრის როლში ვიქნებით, მაგრამ სამი ქულისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ. გუნდის კონტინგენტისა და ფეხბურთელთა შესაძლებლობებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ნამდვილად შეგვიძლია გამარჯვების მოპოვება და შაბათის მატჩში სწორედ ამისთვის გავალთ მოედანზე.

რაც შეეხება ფეხბურთელთა მდგომარეობას, რამდენიმე ფეხბურთელს მიკროტრავმები აწუხებს. თუმცა საგანგაშო არაფერია. დისკვალიფიცირებული მოთამაშეები არ გვყავს და წესით ხვალ არავინ არ უნდა დაგვაკლდეს.

დავით ცაბაძე

კლაუს ტოპმიოლერი:

მიმდინარეობს მოლაპარაკება კონტრაქტის გაგრძელებაზე

ამ ბოლო დროს ქართული ფეხბურთით შოტლანდიური მედიის დაინტერესება ბუნებრივია, კლაუს ტოპმიოლერის გუნდმა ხომ ახლახან ითამაშა გლაზგოში და მეტოქე გუნდიც გვარიანად გაანვალა. გუშინ გლაზგოურმა "დეილი რეკორდმა" ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა, ისინი ფარერებთან 3:1 გამარჯვების შემდეგ საქართველოს ნაკრების გერმანელ თავკაცს შეეხმიანენ და კომენტარი ჩამოართვეს.

ჩვენთვის საგულისხმო ამ კომენტარში ორი რამაა, კლაუს ტოპმიოლერი აღიარებს ევრო-2008-ის შესარჩევ ციკლში საქართველოს უშანსოდ დარჩენას და ამავე დროს ახმოვანებს ინფორმაციას, რომ შეიძლება გააგრძელოს კონტრაქტი საქართველოს ნაკრებთან: "ფარერელებთან გამარჯვების მიუხედავად, მომავლის გუნდის შენებაზე ვარ კონცენტრირებული. მე და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ვაწარმოებთ მოლაპარაკებას კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე, რადგან ორივე მხარეს გვსურს დაწყებული შენების პროცესის გაგრძელება. ჩვენ უკვე არ გვაქვს შანსი ევრო-2008-ზე ასპარეზობისა, ამიტომ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ დარჩენილი დრო და ყველა საშუალება მომავლის გუნდის ასაშენებლად".

ნიკოლოზ ნეფარიძე

მეორე ეტაპიდან უეფაზე

შესაძლოა, უეფამ კიდევ ერთი რეფორმა განახორციელოს და 2009/2010 წლების სეზონიდან ევროთასებზე სიახლე დანერგოს. კერძოდ, საუბარია ჩემპიონთა თასიდან უეფას თასზე გადანაცვლებაზე. თუ ეს პროექტი დამტკიცდა, ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდში დამარცხებული კლუბები უეფას თასზე გადაერთვებიან. როგორც იცით, ბოლო წლებში საქართველოს ჩემპიონები ასპარეზობას სწორედ ამ სტადიაზე ასრულებენ.

უფრო კონკრეტულად, ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოვარდნილი გუნდები უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებენ, ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხებულნი კი – პირდაპირ უეფას ჯგუფურ ტურნირში.

იდეის ერთ-ერთი ავტორი თავად **მიშელ პლატინია**. ყველაფერი უახლოეს მომავალში გადაწყდება.

ყველაზე კარგი და ცუდი

გუშინ მეორე ბუნდესლიგაში 27-ე ტურის რამდენიმე მატჩი გაიმართა, მათ შორის ქართული დუეტის, **გიორგი ლომაიას** და **მიხეილ აშვეთიას** "კარლ ცაისი" ერთ-ერთ ლიდერ "ჰანზას" მასპინძლობდა. თბილისიდან გერმანიაში დაბრუნებული ქართველები სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. პირველ ტაიმში სტუმრები დაწიანურდნენ, თუმცა მეორე ტაიმში აშვეთიამ მესამე საგოლე მომენტის გამოყენება შეძლო და 85-ე წუთზე **გუვენიშიკის** პასით გაათანაბრა. სამწუხაროდ, "კარლ ცაისმა" ფრე ვერ შეინარჩუნა. ზუსტად ერთ წუთში **ცეტკოვიჩმა** ლომაიას კარში გამარჯვების გოლი გაიტანა - 1:2. ეს მიხეილ აშვეთიას მეოთხე გოლია მერვე მატჩში. აშვეთიამ "შპორტალისგან" მასპინძელთა შორის საუკეთესო შეფასება, 3,5 დაიმსახურა. სამაგიეროდ, ყველაზე ცუდი შეფასება გიორგი ლომაიას თამაშს მისცეს - 4,5. "კარლ ცაისი" 26 ქულით მე-14 ადგილზე რჩება.

ინტერვიუ ამირან მინაშვილთან

ჩააყენეთ ყველა გუნდი თანაბარ პირობებში!

თბილისის "ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი ამირან მინაშვილი დარწმუნებულია, რომ უმძიმესი კონკურენციის მიუხედავად, გუნდი ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს. ამასთან მწვრთნელი ჩაწყობილი მატჩების თაობაზეც საყურადღებო განცხადებას აკეთებს.

ლოკომოტივი-ოლიმპის მატჩი. რკინიგზელები უკმაყოფილებას გამოხატავენ მსაჯის მიმართ

- ბატონო ამირან, "ლოკომოტივს" უმაღლესში დარჩენა ჯერ გარანტირებული არ აქვს. მეთანხმებით?

- მოვლენებს არა რომელიმე გუნდის მწვრთნელის, არამედ უბრალო გულშემატკივრის თვალით მსურს შევხედო. რუსთავის "ოლიმპთან" პრინციპულ მატჩამდე, "ლოკომოტივიდან" ჩემი წასვლის თაობაზე, ინფორმაცია გავრცელდა. წესით, ამას მოთამაშეებზე უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა. მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავდადებულად ითამაშეს, რისთვისაც მადლობა უნდა მოვახსენო. ეს იმიტომ, რომ მეორე წრეში "ერთ ენაზე" ავლაპარაკდით. მწვრთნელის დანიშნულება არა მარტო მოთამაშეთა ფიზიკურად და ტაქტიკურად მომზადებაა, მათ საკუთარი ძალების რწმენაც უნდა შემატოს.

აქედან გამომდინარე, საინტერესოა, ჩემპიონატის დონის ამაღლებისთვის "ოლიმპის" 3 ქულა უფრო მნიშვნელოვანია თუ მეტი თანაბარი ძალის გუნდების გამოჩენა? იქნებ, მსაჯების ობიექტურობაზე გვესაუბრა? ვგულისხმობ, არა მარტო "ოლიმპთან" დანიშნულ პენალტს, არამედ "მერანთან" მალიჩავას გაძევებასაც. არ შეიძლება ჩასაფრებულის პოლიტიკით ჩემპიონატის მომსახურება. ეს უფრო დასჯას ჰგავს და არა ჩემპიონატის მომსახურებას, რაც მათი, მსაჯების უშუალო მოვალეობაა.

პირველი წრის შემდეგ "ლოკომოტივზე" შემაჯამებელი სტატიისთვის მკითხეს, რას ვიტყოდი ჩაწყობილ თამაშებზე. მაშინ ვუპასუხე, სეზონის შემდეგ ვიქნები მზად-მეთქი. ამის მიუხედავად, მზად ახლაც არ ვარ. მოვლენებს არ მინდა გავუსწრო, იმედია, საქართველოს ღირსეული ჩემპიონი ეყოლება, მაგრამ...

- რა მაგრამ?

- "ლოკომოტივის" წაგება კი არაა უბედურება. ქართული ფეხბურთი ჩვენით არ დაწყებულა. ის ფოთიდან დაიწყო, "კოლხეთი" კი დღეს უმაღლესში არ თამაშობს... ჩვენი ფეხბურთის სიძლიერე მაშინ გამოვლინდება, როდესაც მიზანი არა რომელიმე კონკრეტული გუნდის გამარჯვება, არამედ თანაბარ პირობებში საუკეთესოს გამოვლენა იქნება. ეს კი შემდეგ ევროთასებზე გუნდების, ჯამში კი ეროვნული ნაკრების გამოსვლას შეეტყობა დადებითად.

რაც ჩვენ დღეს მოგვივიდა, ხვალ სხვას შეემთხვევა. ყოველ ტურში თითო გუნდის დაჩაგვრა ჯამში რა შედეგს მოგვცემს ან რა ჩემპიონატს მივიღებთ? მეეჭვება, საუკეთესო ასე გამოვლინდეს. გუნდი ბრძოლაში ძლიერდება, შეცდომების კასკადი კი ჩემპიონატის დონეზე სავალალო გავლენას ახდენს. ალბათ, შემთხვევითი არაა, შემდეგ ჩვენი გამარჯვებულები ევროთასებს საწყის ეტაპზე რომ ეთიშებიან.

- რა გინდათ თქვათ, რომ ევროთასების საგზურს გუნდები ყიდულობენ?!

- ამას ყიდვასაც ვერ დავარქმევ.

- აბა, რას?

- არც ვიცი, ამას რა ჰქვია. კომუნისტებს ჰქონდათ ასეთი ტერმინი - უშრომელი შემოსავალი. ასეთი უშრომელი შემოსავლებით წარმატების მიღწევას ყველა უნდა ერიდოს.

- წლების წინ ერთ-ერთი გუნდის პრეზიდენტმა პირველი და ბოლო ოთხეული ჩემპიონატის დაწყებამდე გამიმხილა და თქვენ წარმოიდგინეთ, ასეც მოხდა. რაღაც არა მგონია, დღესაც ასე ხდებოდეს.

- მეც ასე ვფიქრობ, თუმცა ზედა ოთხეულში "უშეღავათო" ბრძოლა მიდის.

- სიტყვა უშეღავათო ისეთი ტონით თქვით, უსინდისოს რომ ამბობენ.

- ეს ოთხი გუნდი ყველაფრით იბრძვის.

- მათ შორის ვინ სარგებლობს მსაჯების კეთილგანწყობით? თუ მათთვის ყველა ერთია?

- ეს ცალკე თემაა და ამაზეც სეზონის ბოლოს ვისაუბრებთ. თუმცა "მერანთან" და "ოლიმპთან", შეიძლება, "ლოკომოტივი" დაზარალებულად მივიჩნიოთ,

- თუკი ასეა, უმაღლესში დარჩენის რა შანსი გაქვთ?

- შემიძლია თამამად ვთქვა, რომ "ლოკომოტივს" ასეთი საშიშროება არ ელის. მთავარია, ერთსულოვნება და უკეთესი მომავლის მოლოდინში გარკვეული აღმაფრენა შევინარჩუნოთ. 4 ტურში 2 ლიდერს შევხვდით, "ზესტაფონმა" და "ოლიმპს" და ჩვენს გამოსვლას არადამაკმაყოფილებლად ვერ ჩავთვლი. არც "ბორჯომთან" ფრეა კატასტროფა. ეს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია შემადგენლობით, მწვრთნელით, პირობებით. არც გასვლაზე "მერანთან" ფრეა დაუგეგმავად ქულების დაკარგვა. მაშინ "ზესტაფონმა", "სიონმა" და "ამერმა" რა უნდა თქვან?

"ლოკომოტივი" მეორე წრეში შემადგენლობითა და მომზადებით პირველი ნახევრის გუნდზე ბევრად ძლიერია. მჯერა, ჩვენს თამაშს ვიპოვით, რადგან ერთმანეთის უკვე გვესმის. ამ დროს კი წარმატების მიღწევა უფრო იოლია. ვაღიარებ, "დილა", "ბორჯომი", "ბათუმი" და "მერანი", ანუ ჩვენი კონკურენტები გაძლიერდნენ. თუმცა ჩვენ ნებისმიერ მეტოქესთან გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. საწყენია, რომ ფიზმომზადების მწვრთნელს ვაჟა ბუგაშვილს სერიოზული ოპერაცია დასჭირდა და ამ სეზონში ველარ დაგვეხმარება.

- სანაკრებო პაუზა როგორ გამოიყენეთ?

- 23 მარტს ჩვენ ბაზაზე მოყვარულთა ნაკრებს ვეთამაშეთ და მოვიგეთ 2:1. მეტი შეხვედრა არ ჩაგვიტარებია, ვარჯიშებით შემოვიფარგლეთ.

მერაბ მამულაშვილი

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გოგა გახოკიძესთან

ტოპმიოლერს კონტრაქტი უნდა გავუგრძელოთ

ქრონიკული ტრავმების გამო, გოგა გახოკიძეს, ფეხბურთთან იძულებით მოუწია გამოთხოვება. რამდენიმე თვის წინათ, ჩვენს გაზეთთან საუბრისას ფეხბურთელმა აღნიშნა, რომ კიდევ იყო მცირედი შანსი იმისა, რომ გარკვეული პაუზის შემდეგ ის კვლავ დაბრუნებოდა ფეხბურთს. გოგა გუშინწინ დაბრუნდა ჰოლანდიიდან. მისი ამჟამინდელი მდგომარეობით დავინტერესდით და გავესაუბრეთ კიდეც. საუბარში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გარდა, ნაკრების ბოლო მატჩებს, ეროვნული გუნდის მომავალსა და ამ ბოლო ხანს წამოწეულ სხვა თემებსაც შევეხეთ.

- ჰოლანდიიდან ხუთშაბათს დავბრუნდი. სამწუხაროდ, ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ კარგს ვერაფერს გეტყვით. ფეხის უკანა კუნთის ტკივილები ისევ მაწუხებს. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის იმავე მდგომარეობაში ვარ.

- მკურნალობამ რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოიტანა?

- ჯერჯერობით არა. ამჯერად, აღარ ვმკურნალობ. ექიმებმა დასვენება მირჩიეს და მერე კიდევ დამაკვირდებიან. ისე კი ცოტა-ცოტას ვვარჯიშობ კიდეც. თუმცა დატვირთვები აკრძალული მაქვს და, რაღა თქმა, უნდა ვერიდები.

- ჰოლანდიაში სად ვარჯიშობდი, "ტვენტეს" ბაზაზე ხომ არა?

- არა, ჩემთვის ნელ-ნელა დავრბოდი. ძალიან მიჭირს ფეხბურთთან გამოთხოვება და ყველანაირად ვცდილობ ისევ ვითამაშო.

- ამ რამდენიმე თვის წინ გვითხარი, კიდევ არის შანსი საიმისოდ, ფეხბურთში რომ დავრჩეო. ამ მხრივ ახლა რა მდგომარეობაა?

- არ მინდა დავიჯერო, რომ უშანსოდ ვარ. თუმცა რეალობისთვის თვალის გასწორება მაინც მომიწევს. ფეხბურთის თამაშს, ალბათ, ველარ შევძლებ.

- ეს უკვე საბოლოო გადაწყვეტილებაა?

- ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ასეთ არასახარბიელო სურათს ვხედავ. აუტანელ ტკივილსა და ნერვების მოშლას, სჯობს, ფეხბურთს თავი დავანებო.

- "ტვენტეზე" რას გვეტყოდი. ალბათ კვლავაც გაქვს ურთიერთობა ყოფილ გუნდთან...

- სამწუხაროდ, ქრონიკული ტრავმების გამო, იძულებით მომიწია "ტვენტესთან" კონტრაქტის გაწყვეტა, მაგრამ ურთიერთობა არ გამიწყვეტია. მატჩებსაც ვესწრები და ჩვეულებრივ ვქომაგობ ამ გუნდს. "ტვენტეს" კარგად მისდის საქმეები და ეს მახარებს. ჩემი ყოფილი გუნდი ახლა მეოთხეზეა, მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩება შოთა არველაძის "ალკმაარს". "ტვენტე", "ალკმაარი" და "აიაქსი" საპრიზო სამეულში მოხვედრისთვის იბრძვიან.

- ვიცი, გინდა, ფეხბურთში დარჩე...

- ამდენი წელია ფეხბურთს ვთამაშობ და მინდა ფეხბურთში დავრჩე. თუმცა რა სტატუსით ეს ჯერ კიდევ არ მაქვს გადაწყვეტილი.

- მწვრთნელობას ხომ არ აპირებ ?

- არა, არა მგონია მწვრთნელის გზა ავირჩიო. ამაზე კიდევ დავფიქრდები და გადაწყვეტილებასაც მივიღებ.

- ახლა ეროვნულ გუნდზე ვისაუბროთ. შოტლანდიაში ჩვენი ნაკრების მატჩი თუ ნახე და რისი თქმა შეგიძლია?

- კი, ვნახე ეს თამაში. სხვათა შორის დაძაბული და საინტერესო მატჩი იყო. ჩვენებმა კარგად ითამაშეს, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. საერთო ჯამში თანაბარი თამაში იყო. ის კი აშკარაა, რომ ჩვენი ნაკრები წაგებისთვის ნამდვილად ცოდო იყო.

- როგორ ფიქრობ, რატომ წავაგეთ ეს თამაში?

- ჩემი აზრით იმიტომ, რომ ჩვენი ნაკრები მატჩის ბოლოს მოდუნდა, სათანადოდ კონცენტრაცია ველარ შეძლო. უყურადღებობის გამო წავაგეთ. ძალიან დამწყდა გული. ქულა ნამდვილად გვეკუთვნოდა...

- ფარერებთან საშინაო მატჩიც ნახე?

- კი, ვნახე. აშკარად ჩანდა რომ ეს არ იყო ჩვენი ნაკრების თამაში.

- ამას რით ახსნი?

- მსგავს ვითარებაში მეც ვყოფილვარ. როგორც გამოჩნდა, ჩვენმა გუნდმა მეტოქე სათანადოდ არ დააფასა. მოედანზე გასვლისას ყველა დარწმუნებული იყო, რომ იოლად მოვიგებდით თამაშს. მეტოქე გაგვიძალიანდა, 2:0-ის შემდეგ საგოლე მომენტებიც ვერ გამოვიყენეთ. გულშემატკივარი, ბუნებრივია, რაც შეიძლება მეტი გოლის გატანას ელოდა და ითხოვდა. ნაკრებმაც შეტევაზე გააკეთა აქცენტი, მოწინააღმდეგემ კი კონტრშეტევაზე ააგო თამაში. ჩვენს გუნდს ერთბაშად რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა. ყველა ამ მიზეზის ერთობლიობამ კი, საბოლოო ჯამში, ის განაპირობა, რაც ვიხილეთ. ამ წყვილში ფავორიტი კი ვიყავით, მაგრამ ფარერებს კარგი შანსები ჰქონდა, რომ თამაში გადაერჩინა.

- დღეს ბევრი სვამს კითხვას, განიცდის თუ არა პროგრესს ჩვენი ნაკრები? ამ კითხვას შენ როგორ უპასუხებდი?

- ჩემი აზრით, პროგრესი აშკარაა. ეს ნათლად ჩანს სათამაშო კომპონენტებში. ნაკრებში აშკარად იმატა სათამაშო დისციპლინამ, გუნდი უფრო გამართულად თამაშობს. ეს ეტყობა ფიფას რეიტინგსაც... ფარერებთან ნანახმა თამაშმა ბევრი გაგვაკვირვა, მაგრამ ჩავარდნისგან არავინაა დაზღვეული.

- კლაუს ტოპმიოლერზე აზრი ორად გაიყო. ზოგი ამტკიცებს, რომ მას კონტრაქტი უნდა გავუგრძელოთ, თანაც ახლავე. ზოგი კი მიიჩნევს, რომ ნაკრებისთვის სხვა მწვრთნელის მოძებნა უფრო უპრიანი იქნებოდა...

- ტოპმიოლერის გაშვება უდიდესი სისულელე იქნებოდა. საერთოდ, იცით რა მაკვირვებს? ქართველები მაქსიმალისტები ვართ, უნდა ვიყოთ კიდეც, მაგრამ მცირედი წაფორხილებისთანავე რატომ გვებადება აზრი მწვრთნელის შეცვლაზე? ნუ დაგვავიწყდება, რომ მწვრთნელთა ხშირ ცვლას კარგი არავისთვის მოუტანია. ისეთი მაღალი დონის სპეციალისტის დაყაბულება კი, როგორიც ტოპმიოლერია, რბილად რომ ვთქვათ, იოლი ნამდვილად არაა. კლაუს ტოპმიოლერი წელიწადზე მეტია, რაც ჩვენს ნაკრებს წვრთნის. ის მწვრთნელია და არა ჯადოქარი. ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას დრო სჭირდება. ის უკვე კარგად გაერკვა ქართული ფეხბურთის სამზარეულოში, უყვარს საქართველო და ქართველები და ახლა უნდა გავუშვათ? ვთქვათ და ახალი მწვრთნელი მოვძებნეთ, მას კიდევ წელიწადი დასჭირდება აქაურ ვითარებაში გასარკვევად და გვინდა კიდევ დავკარგოთ დრო? ასე რომ, უმჯობესია, ტოპმიოლერს ახლავე გავუგრძელოთ კონტრაქტი და მან განაგრძოს ძლიერი გუნდის შენება, რათა მომავალ შესარჩევ ციკლში ჯგუფიდან გასვლისთვის რეალურად ვიბრძოლოთ.

დავით ცაბაძე

შოთა არველაძე ბომბარდირებშია

სტატისტიკოსებმა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბომბარდირების გამორკვევა დაიწყეს და საინტერესო ამბავი აღმოჩნდა. პირველ ადგილზე ცხრა ბურთით ჩრდილო ირლანდიელი **დევიდ ჰილია**, მეორეზე კი შვიდი გოლით გერმანელი **ლუკას პოდოლსკი**.

სასიხარულოა, რომ საქართველოს ნაკრების წარუმატებელი გამოსვლის მიუხედავად, "ალკმაარის" თავდამსხმელმა **შოთა არველაძე** ხუთი გოლით მესამე-მეხუთე ადგილს იყოფს პორტუგალიელ **კრიშტიანუ რონალდუსთან** და ხორვატ **ედუარდო და სილვასთან**.

სამწუხაროდ, მუხლის ტრავმის გამო შოთა არველაძე ტრავმის გამო ფარერების ნაკრებთან თბილისშიც ვერ ვიხილეთ და უახლოეს პერიოდში თავის კლუბსაც ვერ დაეხმარება.

მერაბ მამულაშვილი

კვირკველიას ახალი კონტრაქტი

უკრაინულმა ინტერნეტგაზეთმა "უაფუტბოლმა" მიმოიხილა ქვეყნის ჩემპიონატიდან სხვადასხვა ნაკრებში მიწვეულ ფებურთელთა გამოსვლა და ზაპოროჟიე "მეტალურგის" მცველის **დავით კვირკველიას** შოტლანდიასთან უთამაშებლობა მოულოდნელობად მიიჩნია.

"რატომღაც, დავით კვირკველია შოტლანდიასთან სათადარიგოებში იჯდა. კლაუს ტოპმიოლერმა მას მარცხენა ფლანგზე ზაალ ელიავა ამჯობინა. ფარერებთან კი ენდო და ათამაშა".

როგორც შევიტყვეთ, ზაპოროჟიელებმა ქართველ ფეხბურთელს ახალი ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

დათოს სამსახურით რამდენიმე სხვა კლუბიც იყო დაინტერესებული. მისმა თამაშმა სლავები ისე მოხიბლა, რომ ევროსეზონზე გამოსული უკრაინული გუნდების სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. ამასთანავე, კვირკველია "მეტალურგის" კაპიტნადაც აირჩიეს.

მერაბ მამულაშვილი



მწვანე სამყარო
GREEN WORLD
გამწვანება
ფილების დაგება
სარწყავი სისტემა
რკინის კონსტრუქციები
ქვის სამუშაოები
განათება
შადრევნები
ახალი ეზოქა
ჩვენთან ერთად
მისამართი: ალ. ყაზბეგის ქ. 10ა
ტელეფონები: 21-87-97; მობ. 8 (77) 71-87-97; 8 (77) 44-87-97



იტალია. სერია A. XXX ტურის წინ

რომა vs მილანი: გენერალური რეპეტიცია ლიგისთვის

დღეს

რევინა-სიენა
რომა-მილანი

ხვალ

ატალანტა-ფიორენტინა
კალიარი-მესინა
კიევო-სამპდორია
ემპოლი-ასკოლი
ინტერი-პარმა
ლივორნო-კატანია
პორინო-პალერმო
უდინეზე-ლაციო

ორკვირიანი სანაკრებო პაუზის შემდეგ, იტალიის ჩემპიონატი დღეს "რევინა"-"სიენის" მატჩით განახლდება. დღესვე რამდენიმე საათით გვიან ტურის ყველაზე საინტერესო შეხვედრა შედგება "რომასა" და "მილანს" შორის. ორივე გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გამოდის და ამიტომ ეს კვირა ორივესთვის მნიშვნელოვანია, გადამწყვეტი თუ არა. სატურნირო მდგომარეობის თვალსაზრისით, "რომასთვის" ეს თამაში შეიძლება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ იყოს, რადგან გუნდი მდევარ "ლაციოს" 9 ქულით უსწრებს და მეორე ადგილზე კომფორტულად არის მოკალათებული (ცხადია, სკუდეტოზე აღარავინ ფიქრობს). აი "მილანი" კი, ორ ცეცხლს შუა დგას: სერია A-ს პირველ ოთხეულში მოხვედრა გუნდისთვის კატეგორიული იმპერატივია, მეორე მხრივ კი, ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული გამოსვლა აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ წლევანდელი სეზონი ჩაგდებულად არ ჩაითვალოს. **ანჩელოტი**, რომელიც ჩემპიონთალიგური დაპირისპირებების წინ ყოველთვის გულუხვად მიმართავს როტაციას, ამჯერად დოზებს ცოტათი შეამცირებს. მწვრთნელი ოფიციალურ სანაკრებო შეხვედრებში გადაღლილ ფეხბურთელებს დაასვენებს. ასეთი კი "მილანში" სამია: **ოდო, გატუზო** და **იანკულოვსკი**. შეტევაში მწვრთნელი სავარაუდოდ, ორი გამთამაშებლითა და ერთი ფორვარდით თამაშს ამჯობინებს, ანუ **კაკა-ზეედორფი** და წინ **რონალდო**. ასეთი ვარიანტი "რომას" შემტევი სტილით არის ნაკარნახევი. ცალკე თემაა "მილანის" დაცვა: დეკემბრის შემდეგ მოედანს პირველად დაუბრუნდება **ალესანდრო ნესტა**, რომელიც მხარის ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს მაიამიში გადიოდა და გუნდს სამი კვირის წინათ შეუერთდა. ნესტას მეწყვილე ცენტრში **შიმიში** იქნება, რადგან **ბონერა** დისკვალიფიცირებულია, **მალდინისა** და **კალაძეს** კი ტრავმები აწუხებთ. დაცვის ფლანგებზე **კაფუ** და **ფავალი** ითამაშებენ.

"რომას" ცალი თვალი "მანჩესტერთან" მეოთხედფინალურ შეხვედრაზე უჭირავს, თუმცა **სპალეტი** "მილანთანაც" საუკეთესო შემადგენლობის გაყვანას გეგმავს. მასპინძლებს რამდენიმე საკადრო პრობლემა აქვთ: ორი დღის წინათ ტრავმა მიიღო **მაქს ტონეტომ**, ამიტომ **პანუჩის** დაცვის მარცხენა ფრთაზე გადაბარგება მოუწევს, ამ უკანასკნელის ადგილს კი **კასეტი** დაიკავებს. დაცვის ცენტრში **მექსე** და **კივუ** ითამაშებენ. ღისკვალიფიცირებულია **პისარო** და მის შესაცვლელად **პეროტას** გამთამაშებლის პოზიციიდან საყრდენად დახევა მოუწევს, იტალიელის ადგილს კი ორი ბრაზილიელი გარემარბიდან ერთ-ერთი, **მანსინი** ან **ტადეი** დაიკავებს, რაც თავის მხრივ, **ვილჰელმსონს** გაუხსნის გზას ძირითადი შემადგენლობისკენ. წინა ჩემპიონატში "რომამ" "მილანს" შინ 1:0 მოუგო, რომაელთა გამარჯვებით 2:1 დასრულდა პირველი წრის დაპირისპირებაც "სან სიროზე".

კვირას "ინტერი" "პარმას" მთავარი დამრტყმელი ძალის, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** გარეშე უმასპინძლებს. შვედი დისკვალიფიცირებულია, თუმცა ორ სანაკრებო შეხვედრაში მონაწილეობის შემდეგ, ისედაც მოსალოდნელი იყო, რომ მანჩინის დასვენების საშუალებას მისცემდა. სავარუდოდ, "ნერაძური" ხვალ **კრესპო-ადრიანოს** წყვილით შეუტევს. ტრავმების გამო მილანელებს ისევ აკლიათ **კამბიასო** და **ვიერა**. მათ მაგივრობას ალბათ **ფიგუ** და **სოლარი** გასწევენ. "ინტერს" ზედიზედ ოთხი შეხვედრა აქვს მოგებული, "პარმამ" ზედიზედ ოთხი მარცხის შემდეგ წინა ტურში გაიმარჯვა. **კლაუდიო რანიერისთვის** ეს პირველი სამი ქულა იყო ემილიური გუნდის სამწვრთნელო სკამზე.

ჩემპიონატში სულ უფრო იძაბება ბრძოლა მესამე და მეოთხე ადგილებისთვის. პრეტენზიას ერთბაშად ხუთი გუნდი აცხადებს, მაგრამ "ფიორენტინას" შანსები არცთუ დიდია, რადგან მეოთხე ადგილისან "პალერმოსთან" 10 ქულას აგებს, თუმცა ერთი შეხვედრა რეზერვში აქვს. ზედიზედ ორი ფრის (პალერმოში და შინ "რომასთან") ფლორენციელებს რთული გასვლა ელით გამარჯვებას მოწყურებულ "ატალანტასთან", რომელმაც ბოლო ხუთ ტურში სამჯერ წააგო და ორი ფრე ითამაშა. ტრავმის გამო, **პრანდელის** გუნდს შეიძლება, **ლუკა ტონი** ვერ დაეხმაროს. საინტერესოა ასევე, შეძლებს თუ არა "ლაციო" ზედიზედ ექვსი გამარჯვების შემდეგ, წარმატებული სერიის უდინეში გაგრძელებას.

	თ	ა	ფ	წ	ბ	ქ
1. ინტერი	28	24	4	0	61-23	76
2. რომა	28	17	7	4	55-22	58
3. ლაციო	28	15	7	6	47-22	49
4. პალერმო	29	13	8	8	43-34	47
5. მილანი	28	14	9	5	38-24	43
6. ემპოლი	28	11	9	8	28-27	42
7. ფიორენტინა	28	15	7	6	45-24	37
8. სამპდორია	28	9	8	11	35-35	35
9. უდინეზე	28	9	8	11	34-37	35
10. ატალანტა	28	7	11	10	40-40	32
11. კატანია	29	8	8	13	36-54	32
12. ტორინო	28	8	7	13	24-39	31
13. ლივორნო	28	6	11	11	27-43	29
14. კიევო	28	6	9	13	31-39	27
15. სიენა	28	5	13	10	24-32	27
16. კალიარი	28	5	12	11	21-32	27
17. რევინა	28	9	9	10	38-40	25
18. მესინა	28	5	9	14	28-46	24
19. პარმა	28	4	10	14	24-46	22
20. ასკოლი	28	3	10	15	21-41	19

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXVII ტურის წინ

ბარსელონა აფორიაქებულია

გულშემატკივრები და ფეხბურთელები რონალდინიოს ბედზე ღელავენ

დღეს

ბეგისი-ვილიარეალი
სოსიედადი-ლევანტე
ვალენსია-ესპანიოლი
ბარსელონა-დეპორტივო

ხვალ

აგლეტიკო-მალიორკა
სევილია-სარაგოსა
ხიმნასტიკი-რეკრეატივო
რასინგი-ბილბაო
სელტა-რეალი
ოსასუნა-სევილია

სანაკრებო თავგადასავლების შემდეგ, "ბარსელონას" ვარსკვლავები დროულად დაუბრუნდნენ. **დეკუსა** და **მარკესის** გარდა, ფაქტობრივად ყველა მწყობრში იყო. პორტუგალიელს როგორც იცით, ხელზე თითი აქვს მოტეხილი. მექსიკელმა კი ეროვნული გუნდის შეხვედრაში მიკრო ტრავმა მიიღო. "ბარსას" ექიმებმა გადაწყვიტეს, მათთვის ხუთშაბათის ვარჯიშის გამოტოვების უფლება მიეცათ. პარასკევს კი უმნიშვნელოდ დაეტვირთათ. მარიალია, დეკუ და მარკესი კარგად გრძნობდნენ თავს და ნაყოფიერადაც ივარჯიშეს, მაგრამ ჯერჯერობით არავინ იცის, შეძლებენ თუ არა ისინი შაბათს "კამპ ნოუზე" გასვლას. ეს განსაკუთრებით დეკუზე ითქმის. რაც არ უნდა იყოს, მოედანზე თაბაშირში ჩასმული ხელით ბრძოლა საკმაოდ სერიოზულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ძნელი წარმოსადგენია, რომ პორტუგალიელმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინოს. მარკესზეც იმავეს თქმა შეიძლება. რაფა ყველაფერთან ერთად ოკეანეზე ორჯერ გადაფრენითაც ძალიან დაიღალა. **ფრანკ რიიკაარდს** გიოტებორგიდან **რონალდინიო** დაუბრუნდა. მოგეხსენებათ, გაუჩოსთან დაკავშირებით დიდი აურზაურია ატეხილი. ამბობენ, რომ ის "მილანს" უახლოვდება. შესაძლოა, ამ აჟიოტაჟმა კატალონიურ გრანდს კონცენტრირებაში ხელი შეუშალოს და რიიკაარდის ბიჭებმა ქულები



დაკარგონ. ჰოლანდიელი სპეციალისტი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ბიჭებს "დეპორთან" მატჩის გარდა არაფერზე ეფიქრათ. თუ რამდენად გაუმკლავდა ის ამ საქმეს, მატჩის შედეგიდან გამომდინარე მივხვდებით.

ტრავმამოშუებულ **ხოსე ანტონიო რეიესს** "რეალის" ბაზაზე აპლოდისმენტებით შეხვდნენ. ახლა უკე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნახევარმცველმა სრულად რეაბილიტირება შეძლო და მსუბუქი ვარჯიშიც ჩააატარა. **კაპელომ** არც **კანავარო** და **რამოსი** დატვირთა. ამის მიზეზი მათი ეროვნულ გუნდში ასპარეზობა გახლდათ. ცენტრალურ მცველებს ტრავმა არ მიუღიათ, მაგრამ გვარიანად გადაიღალნენ. კანავარო "სელტესთან" დაპირისპირებას ყველა შემთხვევაში გამოტოვებს, რადგან ის დისკვალიფიცირებულია.

დანიელ ალვეშმა გასულ ოთხშაბათს, სანაკრებო პაექრობა ჩაატარა და ტერფზე მცირე ტრავმა მიიღო. მთავარმა მწვრთნელმა არ გარისკა და ფორვარდს ვარჯიში გამოატოვებინა. **ხუანდე რამოსს** იმედი აქვს, რომ ბრაზილიელი ნახევარმცველი თამაშის დაწყებამდე მწყობრში ჩადგება და "სევილიას" დიდ დახმარებას გაუწევს.

	თ	ა	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	27	15	8	4	57-25	53
2. სევილია	27	16	5	6	48-24	53
3. რეალი	27	14	6	7	37-24	48
4. ვალენსია	27	14	5	8	37-26	47
5. სარაგოსა	27	13	7	7	40-27	46
6. ატლეტიკო	27	12	7	8	32-23	43
7. რეკრეატივო	27	12	5	10	35-35	41
8. რასინგი	27	10	10	7	30-30	40
9. ხეტაფე	27	10	8	9	23-19	38
10. ესპანიოლი	27	9	11	7	29-28	38
11. ვილიარეალი	27	10	7	10	26-32	37
12. დეპორტივო	27	9	9	9	20-28	36
13. ოსასუნა	27	10	4	13	34-33	34
14. მალიორკა	27	9	5	13	28-39	32
15. ბეტისი	27	7	10	10	25-31	31
16. ლევანტე	27	6	10	11	23-37	28
17. სელტა	27	6	9	12	27-38	27
18. ბილბაო	27	6	8	13	27-40	26
19. ხიმნასტიკი	27	5	5	17	28-50	20
20. სოსიედადი	27	3	9	15	19-36	18

ხმაურიანი ტრანსფერის მოლოდინში

რიიკაარდი რონალდინიოს მხრებით გადაეფარა

თუმცა ბრაზილიელი უწინდებური აღმაფრენით აღარ საუბროს და კამპ ნოუდან აბარგებასაც არ გამორიცხავს



რონალდინიო

გუშინწინ იტალიურ და ესპანურ პრესაში ინფორმაცია გავრცელდა, რომ **რონალდინიოს** ძმა "მილანის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების დაწყებას აპირებს. ამის შესახებ, **რობერტო დე ასისმა** "ლა გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტს პირადად განუცხადა. "ბარსელონის" ვარსკვლავის ძმამ და ამავდროულად მენეჯერმა, ისიც დასძინა, თუ რონი "ბარსადან" აბარგებას გადაწყვეტს, "მილანი" საუკეთესო ვარიანტი იქნებაო. გარდა ამისა, რობერტომ **კაკა, რონალდო**, რონალდინიოს ტრიოს ბრწყინვალებაზეც გაამახვილა ყურადღება...

"ბარსელონაში" ამ ცნობას გამოხმაურება მოჰყვა. მოსალოდნელი ტრანსფერის წინააღმდეგ **ფრანკ რიიკაარდმა** და ფეხბურთელთა ნაწილმა გაილაშქრა. "ბარსას" დამრიგებელმა "ევროპა პრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში ასეთი რამ განაცხადა: *"მთელი გულით მსურს, რომ რონალდინიომ არ დაგვტოვოს. ჩემი აზრით, ეს საკითხი დღის წესრიგში არც დამდგარა. ყოველ შემთხვევაში, არავინ მოსულა და უთქვამს, წასვლა მინდაო. შესაძლოა, აჟიოტაჟი პრესის მიერ იყოს ატეხილი. ჩვენ რამდენჯერმე განვაცხადეთ, რომ სეზონის დასრულების შემდეგ კლუბში გარკვეულ ცვლილებებს განვახორციელებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგი დაგვტოვებს, ზოგი კი პირიქით, დაგვემატება. მერწმუნეთ, ეს პროცესი "ბარსელონის" არც ერთ წამყვან ფეხბურთელს არ ეხება. რონალდინიო კი ჩვენი მარგალიტია. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს არარსებულ, ფანტასტიკის სფეროს ამბავზე ვლაპარაკობ. გაუჩო ბედნიერად გრძნობს თავს. ჩემთვის სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო, ნაკრებში მას 10-ნომრიანი მაისურა ჩამოართვეს. "ბარსა" რონის ჩინებულ შანსს აძლევს იმისთვის, რომ საუკეთესოობა მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაუმტკიცოს."*

რიიკაარდს **ანდრეს ინიესტამაც** აუბა მხარი და დარწმუნებით განაცხადა, რომ რონალდინიო "კამპ ნოუდან" აბარგებაზე" არ ფიქრობს. სამხრეთამერიკელს მისთვის პირადად გაუმხელია, რომ კატალონიურ გრანდში სერიოზულ მიზნებს ისახავს. ამ განცხადებების მიუხედავად, ესპანური პრესა მთელი სერიოზულობით მოგვახსენებს, რომ გაუჩო "ბარსას" ხელმძღვანელების მხრიდან საოცარ უპატივცემულობას გრძნობს. ამის დასტურად ერთი ამბავი მოჰყავთ. შვედეთში გამართული სანაკრებო პაექრობიდან დაბრუნებულ რონალდინიოს ჟურნალისტები ბარსელონის აეროპორტში დახვდნენ. მან ინტერვიუს მიცემა არ ისურვა, თუმცა "დიარიო ასის" კორესპონდენტის კითხვას, დარჩება თუ არა ის გუნდში მომავალ სეზონშიც, ასეთი პასუხი გასცა: *"მე მხოლოდ ფეხბურთის თამაში მეხება. სხვა საკითხებზე კი ჩემი ძმა ზრუნავს. დიდი ბოდიში, მაგრამ თუ რაიმე გაინტერესებთ, მას დაუკავშირდით."*

კაცმა რომ თქვას, რონალდინიოს ეს სიტყვები მართლაც დასაფიქრებელია. ადრე ის მხოლოდ იმას ამბობდა, წასვლაზე საერთოდ არ ვფიქრობ და კონტრაქტის კიდევ უფრო გახანგრძლივება მსურსო... ამასთან, საზოგადოებაში გავრცელებული ხმებიც გასათვალისწინებელია. კულუარებში მთელი სერიოზულობით საუბრობენ, რომ **ხოან ლაპორტას** ბრაზილიელის დიდ თანხად გაყიდვა აქვს გადაწყვეტილი.



ფრანკ რიიკაარდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი VS შალკე.
ერთობლივი ინტერვიუ
ოტმარ ჰიტცფელდსა და მირკო სლომკასთან

გენერალი და რიგითი

ბაიერნი vs შალკე, ანუ, ყველა დროის ყველაზე წარმატებული გერმანელი მწვრთნელი, გენერლად წოდებული ოტმარ ჰიტცფელდი, გუნდესლიგის ყველაზე ახალგაზრდა სპეციალისტის, რიგითი მირკო სლომკას წინააღმდეგ. "კიკერმა" მირკო და ოტმარი ერთ მაგიდასთან დასვა...

მირკო სლომკა

ოტმარ ჰიტცფელდი

- ჰერ ჰიტცფელდ, ჰერ სლომკა, თქვენ ორივე მათემატიკის მასწავლებლები ხართ. თუ შეიძლება, გვითხარით, როგორია შაბათის მატჩის თქვენეული ფორმულა?

ოტმარ ჰიტცფელდი: ასეთ დროს რაიმე სპეციალური ფორმულა რომ არსებობდეს, მაშინ ფეხბურთი სპორტის ძალიან მარტივი სახეობა იქნებოდა. საქმეც იმაშია, რომ არანაირი ფორმულა არ არსებობს. ჩვენი მიზანია, კარგი ფეხბურთი ვითამაშოთ და მოვიგოთ.

მირკო სლომკა: ფეხბურთი მათემატიკისგან იმით განსხვავდება, რომ ზუსტი გამოთვლა შეუძლებელია. ფორმულა? "ბაიერნზე" მინიმუმ ერთით მეტი გოლი უნდა გავიტანოთ.

- მიუნხენში უკანასკნელი დუელი "ბაიერნმა" 3:0 მოიგო. რას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ შედეგს თუ იმას, რომ მანამდე "შალკეს" "ბაიერნთან" კარგი სერია ჰქონდა?

სლომკა: არც ერთს და არც მეორეს. ასეთ დროს ყოველგვარი გამოთვლები და სტატისტიკა უმნიშვნელოა.

ჰიტცფელდი: ადრინდელ შედეგებს მნიშვნელობას არასდროს ვანიჭებ ხოლმე. გადამწყვეტი ყოველთვის გუნდების აქტუალური ფორმა და მდგომარეობაა. საკუთარ მოედანზე კარგი თამაში ჩავატარეთ და ამიტომაც მჯერა, რომ ეს მატჩიც ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდება. მაგრამ ეს შეხვედრა ჩვენთვის ორმაგად მნიშვნელოვანია, რადგან ის "მილანთან" ჯახისთვის გენერალური რეპეტიციაა.

- იმ მატჩის შემდეგ ერთი წელი გავიდა. რა შეიცვალა ორივე გუნდში?

ჰიტცფელდი: ასეთი შედარებებიც უმნიშვნელო და არაფრისმთქმელია. ფაქტი ის არის, რომ მიუნხენიდან ქულის ნაღება ნებისმიერ გუნდს უჭირს ხოლმე.

სლომკა: "შალკე" დღეს გაცილებით სწრაფ და დახვეწილ ფეხბურთს თამაშობს, რაც იმ ფეხბურთელების დამსახურებაა, რომლებიც ზაფხულში დავიმატეთ.

- დაასვამს თუ არა თამაშის ხარისხს დაღს ის ფაქტი, რომ ორივე გუნდი ფლეიმეიქერის გარეშე ითამაშებს? ლინკოლნი დისკვალიფიცირებულია, "ბაიერნს" კი გამთამაშებელი საერთოდ არ ჰყავს...

ჰიტცფელდი: ამის გამო ნამდვილად არ ვწუხვარ. აი, "ვერდერთან" სეზონის საუკეთესო მატჩი ჩავატარეთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ათიანი არ გვყავს, "მუსიკოსებს" კი დიეგო ჰყავთ. სხვათა შორის, "შალკე" ლინკოლნის გარეშე უფრო ამოუცნობი და სტაბილურია, ვიდრე ლინკოლნთან ერთად.

სლომკა: რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნებოდა, ლინკოლნი რომ გვყავდეს, მაგრამ გუნდი, რომელიც ჩემპიონობაზე აცხადებს პრეტენზიას, ერთ ფეხბურთელზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ამ სეზონში არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ თამაშების მოგება ლინკოლნის გარეშეც შეგვიძლია.

- "ბაიერნის" მეკარე ოლივერ კანია, "შალკეს" კარს კი ახალგაზრდა მანუელ ნოიერი იცავს. რამდენად დიდ როლს ითამაშებს ის, რომ ოლისა და მანუელს შორის გამოცდილების მხრივ უდიდესი სხვაობაა?

ჰიტცფელდი: ეს ფაქტი დიდ როლს ითამაშებს, რადგან ასეთ შეხვედრებში გამოცდილება უმთავრესია. ნოიერი კარგი მეკარეა და მე თუ მკითხავთ, სლომკა სწორად მოიქცა, როცა ამ უკანასკნელს პირველი გოლკიპერის სტატუსი მიანიჭა.

სლომკა: გამოცდილებაზე მნიშვნელოვანი, ჩემი აზრით, ფეხბურთელის კარგ ფორმაში ყოფნა და სათამაშო კლასია. მანუელს ორივე აქვს.

- კურანი "შალკეშია", პოდოლსკი "ბაიერნში", კლოზე "ვერდერში", გომესი კი "შტუტგარტში". რამდენად დიდი როლი აკისრიათ გერმანიის ნაკრების თავდამსხმელებს თავიანთ კლუბებში?

ჰიტცფელდი: ფაქტია, რომ "ვერცხლის სინს" ერთ-ერთი მათგანი მოიპოვებს, მაგრამ გადამწყვეტ როლს არცერთი არ ითამაშებს.

სლომკა: კურანი ჩვენთვის იდეალური თავდამსხმელია, რადგან მას მხოლოდ გოლები კი არ გააქვს, არამედ მთელი მატჩის განმავლობაში გუნდზე თამაშობს და ძალიან ნაყოფიერად ირჯება. კევინი ჩვენი სათამაშო სისტემის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. თუმცა ჰიტცფელდს ვეთანხმები, გერმანიის ჩემპიონატის ბედს ერთი ფეხბურთელი ვერ გადაწყვეტს.

- "რეალის" დამარცხების შემდეგ ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ "ბაიერნმა" თავისი თამაში იპოვა, მაგრამ ფრანკფურტში განცდილმა მარცხმა იმ გამარჯვებას თითქოს ელფერი დაუკარგა...

ჰიტცფელდი: ხომ იცით, "ბაიერნს" შეუძლია, ნებისმიერ დროს ითამაშოს თავისი ფეხბურთი. "აინტრახტთან" წაგების შემდეგ ვთქვი, რომ გერმანიის ჩემპიონები ვეღარ გავხდებით, მაგრამ ჩემი გუნდისგან მაინც ყველაფერია მოსალოდნელი. მთავარია, რას ვიზამთ "შალკესთან".

სლომკა: ის ის იყო, "შტუტგარტს" გოლი გავუტანეთ, რომ ტაბლომ გვამცნო, "ბაიერნმა" ფრანკფურტში გოლი გაუშვაო. ეს ჩვენთვის ორმაგად სასიხარულო იყო, რადგან ადრე პირიქით ხდებოდა ხოლმე...

- ჰიტცფელდს 22 ტიტული აქვს მოგებული, სლომკას არცერთი...

სლომკა: იმედი მაქვს, რომ წელს პირველ ტიტულს მოვიგებ.

ჰიტცფელდი: მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ ჩვენ შორის დიდი სხვაობაა, საკუთარ თავს სლომკაზე წინ ვერ დავაყენებ.

გოტფრიდ ლენცი

გერმანია. გუნდესლიგა. XXVII ტურის წინ

მთელი ყურადღება მიუნხენისკენ

გუშინ

არმინია-ბორუსია (დ)

დღეს

კოტბუსი-ვერდერი
ბაიერნი-შალკე
მაინცი-ლევერკუზენი
ნიურნბერგი-ჰერთა
ბორუსია (მ)-აინტრახტი
შტუტგარტი- ალემანია

ხვალ

ბოხუმი-ჰანოვერი
ჰამბურგი-ვოლფსბურგი

"ბაიერნი"-"შალკე" მხოლოდ ამ ტურის კი არა, მთლიანად მეორე წრის ცენტრალური შეხვედრაა და დიდი შანსია, რომ მთელი სეზონის ნომერ პირველ დაპირისპირებადაც იქცეს. გახდება თუ არა "შალკე" გერმანიის ჩემპიონი, ეს მეტწილად სწორედ დღევანდელი მატჩის შედეგზეა დამოკიდებული. მიუნხენელები დიდი ხანია კბილებს ილესავენ - ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ "ვერცხლის სინის" მაძიებელი "ხუმარები" მიუნხენიდან ხელცარიელები გაუშვან. მაგრამ "ბაიერნმა" ერთ რამეზეც უნდა იფიქროს და კერძოდ იმაზე, რომ სამშაბათს რეკორდმაისტერს უმნიშვნელოვანესი მატჩი აქვს მილანში. როგორც მიხვდით, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველ დაპირისპირებას ვგულისხმობთ. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ **ოტმარ ჰიტცფელდის** შეგირდები ძალებს დაზოგავენ, რადგან "შალკე" რომ ვერ დაამარცხონ, სამეულში ვერმოხვედრისა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის ვერმოპოვების საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან. შესამე ადგილის თვალთახედვის არედან დაკარგვა კი რეკორდმაისტერისთვის საგანგაშო იქნება.

გამოჯანმრთელდნენ და **მირკო სლომკას** განკარგულებაში არიან **გუსტავო ვარელა** და **პეტერ ლოვენკრანდსი**. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით დანიელი სასტარტო შემადგენლობაში იქნება, ურუგვაელი კი ჯერ 100 პროცენტით მზად არაა და ადგილს სათადაროთა სკამზე დაიკავებს. "ხუმარებს" ისევ არ ეყოლებათ **ლინკოლნი** (დისკვალიფიცირებულია). **ლევან კობიაშვილი** ფარერებთან მატჩში დაშავდა და შესაცვლელი გახდა, მაგრამ როგორც ჩანს, მისი ტრავმა არც ისე სერიოზულია, რადგან გუშინ აბსოლუტურად ყველა გერმანული გამოცემა კობის ძირითადში მოაზრებდა. "ბაიერნს" **ვალერიან ისმაელი** გამოუჯანმრთელდა და ფრანგი მცველი ამბობს, რომ "შალკესთან" სათამაშოდ მზადაა, მაგრამ ჰიტცფელდი მიიჩნევს, რომ ისმაელის ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება ჯერ ნაადრევია.

პირველი წრის მატჩი გელზენკირხენში 2:2 დასრულდა და ალბათ ყველას გახსოვთ კობიაშვილის გენიალური გოლი. მიუნხენში ამ ორ გუნდს შორის გამართული მატჩების ბალანსი "ბაიერნის" ჰეგემონიაზე მიუთითებს: ბავარიის მთავარქალაქში ჩატარებული 36 მატჩიდან "ბაიერნმა" 26 მოიგო, 5 თამაში ფრედ დასრულდა, 5 კი "შალკეს" სასარგებლოდ (ბურთების შეფარდება: 97-32).

მიუნხენური მატჩის შედეგს "ვერდერისთვის" (მეორე ადგილი) და "შტუტგარტისთვის" (მესამე ადგილი) დიდი მნიშვნელობა ექნება. "მუსიკოსები" "კოტბუსს" სტუმრობენ, VFB კი "ალემანიას" უმასპინძლებს. როგორც არ უნდა დამთავრდეს ტურის ცენტრალური მატჩი, ბრემენელებს და შვაბებს კმაყოფილების საბაბი ყველა შემთხვევაში ექნებათ. თუკი "ბაიერნი" მოიგებს, ორივე მდევარს შანსი უჩნდება, "შალკეს" წამოეწიოს, ხოლო თუ "შალკე" ბავარიიდან ხელცარიელი არ დაბრუნდება, "ვერდერს" და "შტუტგარტს" "ბაიერნთან" უპირატესობის გაზრდის შანსი მიეცემათ. აღსანიშნავია, რომ პირველ წრეში "კოტბუსმა" ბრემენიდან, ყველასათვის მოულოდნელად, ქულა წაიღო - აღმოსავლეთგერმანელებმა "ვეზერშტადიონზე" 1:1-ს მიაღწიეს. სხვათა შორის, "კოტბუსი" არც ახლაა ცუდ ფორმაში - **ზანდერის** ბიჭებმა ბოლო 4 მატჩიდან 3 მოიგეს. და არც "შტუტგარტის" მეტოქე "ალემანიას" უდგას მძიმე დროება - აახენელებმა ბოლო 3 თამაშში იმარჯვეს, გასავარდნ ზონას გვარიანად მოშორდნენ და მე-9 ადგილზე იმყოფებიან. შეგახსენებთ, რომ "ვერდერს" **ფრანკ ბაუმანი** და **ტიმ ბოროვსკი** ჰყავს ტრავმირებული, შტუტგარტელებს კი მთავარმეგოლე **მარიო გომესი** არ ეყოლებათ.

მე-6 ადგილზე მყოფი "ნიურნბერგი", რომელიც მეხუთე პოზიციაზე (ანუ, უეფას თასის ზონაში) მყოფ "ლევერკუზენს" მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება, იმ "ჰერტას" მასპინძლობს, რომელიც ასევე ოცნებობს ხუთეულში მოხვედრაზე. ფრანკებს **რობერტ ვიტეკი** არ ეყოლებათ (სლოვაკს დისკვალიფიკაცია აქვს), ბერლინელებს კი **ილდირაი ბაშთურქი** დაუბრუნდათ. ზემოთ ხსენებული "ლევერკუზენი" კი, რომლის წაფორხილებასაც ნიურნბერგელები და ბერლინელები მოუთმენლად ელოდებიან, მაინცში ჩადის და ხვდება გუნდს, რომელიც მეორე წრეში დღემდე საუკეთესოა. მაინცელებმა ზამთრის შესვენების შემდეგ 19 ქულას მოუყარეს თავი და მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს, მაგრამ გასავარდნ ზონას მხოლოდ 3 ქულა აშორებთ.

ბოლოადგილოსან "გლადბახს" ბოლო შანსი ეძლევა ფრანკფურტის "აინტრახტთან". ხვალ "ბოხუმი" "ჰანოვერს" მიიღებს, "ჰამბურგი" კი "ვოლფსბურგს" **ჰუუბ სტევენსის** გარეშე დაუხვდება. როგორც იცით, ჰოლანდიელი მწვრთნელი სამშობლოში გაემგზავრა და კომაში მყოფი მეუღლის გვერდითაა, რის გამოც HSV-ს "მგლებთან" მისი ასისტენტი **მარკუს შუპი** უთავკაცებს.

	თ	ა	ფ	წ	ბ	ქ
1. შალკე	26	16	5	5	42-25	53
2. ვერდერი	26	15	5	6	61-33	50
3. შტუტგარტი	26	13	7	6	42-30	46
4. ბაიერნი	26	13	5	8	39-31	44
5. ლევერკუზენი	26	11	6	9	40-35	39
6. ნიურნბერგი	26	8	14	4	36-24	38
7. ჰანოვერი	26	9	8	9	33-37	35
8. ჰერთა	26	9	7	10	36-42	34
9. ალემანია	26	9	6	11	41-45	33
10. ვოლფსბურგი	26	7	11	8	27-29	32
11. კოტბუსი	26	8	7	11	29-36	31
12. აინტრახტი	26	6	12	8	33-44	30
13. მაინცი	26	7	9	10	23-37	30
14. ჰამბურგი	26	5	14	7	29-27	29
15. ბორუსია (დ)	26	7	8	11	29-37	29
16. ბოხუმი	26	7	6	13	30-42	27
17. არმინია	26	6	8	12	31-36	26
18. ბორუსია (მ)	26	6	6	14	21-32	24

ბაიერნი vs შალკე

გახსოვთ კობიაშვილის შედევრი?

გოლი, რომელმაც შალკეს ბოსებს თვალები აუცრემლიანა...

როგორ უნდა გადაიქცეს ერთი ჩვეულებრივი, საბოლოო შედეგის გათვალისწინებით, ფაქტობრივად, არაფრისმომტანი გოლი ისტორიულ გოლად, ისეთად, რომელიც მის მნახველებს არასდროს დაავიწყდებათ? **ლევან კობიაშვილი** "შალკეს" ისტორიაში უკვე დიდი ხნის შესულია და ალბათ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქართველმა ნახევარმცველმა გელზენკირხენული კლუბის მატიანეში საპატიო ადგილი უკვე დაიკავა, მაგრამ გოლმა, რომელიც მან მიმდინარე სეზონის პირველ წრეში "ბაიერნს" გაუტანა, კობის გელზენკირხენულ კარიერას სულ სხვა ელფერი შესძინა. ეს იყო გოლი, რომელიც "შალკესთვის" გარდამტეხი გამოდგა და საერთოდ, ის იყო მატჩი, რომლის შემდეგაც გელზენკირხენულმა კლუბმა აღმასვლა დაიწყო. და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ულამაზესი გოლი იყო, ქართველმა ნახევარმცველმა **ოლივერ კანს** რომ გაუტანა.

თამაშის დაწყებამდე "შალკე" ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. "ხუმარებს" კრიზისი ჰქონდათ და ამას თან შიდა სკანდალიც დაერთო - ჯერ იყო აფერები **ჯერალდ ასამოაზე**, მერე კი **ფრანკ როსტზე** და გეხსომებათ, რომ **შირკო სლომკამ** როსტი სწორედ "ბაიერნთან" მატჩში ამოაგდო ძირითადი შემადგენლობიდან და მის ნაცვლად კარი ახალგაზრდა და გამოუცდელ **მანუელ ნოიერს** ანდო, რომელიც შემდგომში "ხუმარების" პირველი მეკარე გახდა, როსტმა კი ჰამბურგისკენ აიღო გეზი.

ვითარებას ის ფაქტიც ძაბავდა, რომ "შალკეს" გულშემატკივრები სასწრაფოდ სლომკას გათავისუფლებას მოითხოვდნენ და საქმე იქამდე მივიდა, რომ თამაშის წინ გელზენკირხენული გუნდის ყველა ფანკლუბმა გამოაცხადა, სტადიონზე მოვდივართ, მაგრამ ჩვენგან მხარდაჭერას ნუ ელოდებით, პროტესტის ნიშნად მთელი მატჩის განმავლობაში ჩუმად უნდა ვიყოთო. და მართლაც: "ფელტინს არენა აუფ შალკეს" გადაჭედილი ტრიბუნები პირველი წუთებიდანვე დუმდა. ასეთი სამარისებური სიჩუმე გელზენკირხენელებს არ ახსოვთ. ან როგორ უნდა ახსოვდეთ, "შალკეს" ფანები ხომ ერთერთ ყველაზე ხმაურიან და ერთგულ გულშემატკივრებად ითვლებიან მთელ მსოფლიოში.

"შალკეს" ქომაგები 19 წუთისა და 4 წამის მანძილზე დუმდნენ, თანაც, "ბაიერნთან" მატჩში! ეს პროტესტი იყო, რომელიც ფანებს ვერც **პეტერ ლოვენკრანდსის** გოლმა შეაწყვეტინა. დანიელმა მე-13 წუთზე ანგარიში გახსნა, რასაც "აუფ შალკეს" ტრიბუნებზე მხოლოდ აქა-იქ მოჰყვა ოვაციები, მერე კი ისევ სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. *"უმძიმესი წნეხის ქვეშ ვიყავით მოქცეულები. ფანების სიჩუმე ძალიან საშიში და ამაღელვებელი იყო. არ ვიცოდი, რა მოხდებოდა, გოლი რომ გაგვეშვა,"* - იხსენებს სლომკა.

მაგრამ "შალკე" კარგად თამაშობდა და თან იგებდა კიდეც. ასე რომ, სადღაც მე-18 წუთის მიწურულს ფანებმა ნელნელა დაიწყეს ტაშის კვრა. ჯერ ძალიან ჩუმად, მერე კი ოდნავ მოუმატეს და თითქოს სასწაული მოხდა: როცა ტაბლომ 19:02 უჩვენა, მიუხხენელთა საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი კობიაშვილმა მიიღო, ოთხი ნაბიჯით წინ წაიწია და კანს მარცხენა ფეხით უძლიერესი და რაც მთავარია, აუღებელი დაურტყა. ბურთი "ბაიერნის" კარის ცხრიანში შევარდა. ეს კი უკვე საკმარისი გახლდათ იმისათვის, რომ "შალკეს" ქომაგებს ჩვეულად დაექუხათ. შეწყდა პროტესტი, შეწყდა სამარისებური სიჩუმეც და ამ მოვლენის მთავარი მოქმედი პირი ლევან კობიაშვილი გახლდათ. თანაც, ჩვენებურს ულამაზესი გოლი გამოუვიდა.

"თვალებს ვერ ვუჯერებდი, ეს იყო ყველაზე ემოციური მომენტი ჩემს ცხოვრებაში და უნდა ვაღიარო, რომ კობიაშვილის გოლის შემდეგ ცრემლები წამომივიდა. გავხედე სლომკას და მასაც ცრემლიანი თვალები ჰქონდა," - ამბობს "შალკეს" გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი** და იქვე პოეტურად ამატებს, - *"კობის ის დარტყმა ჩემკენ ნასროლი ისარი იყო, რომელიც პირდაპირ გულში ჩამესო, ოღონდ არ მატკინა."*

თუ წელს "შალკე" გერმანიის ჩემპიონი გახდება, სლომკა ფიქრობს, რომ კობის ის შედევრი ერთ-ერთი მიზეზი იქნება იმისა, რის გამოც გელზენკირხენელები ნახევარსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ "ვერცხლის სინს" დაისაკუთრებენ. *"მართალია, იმ შეხვედრაში "ბაიერნმა" ანგარიშის გათანაბრება მაინც მოახერხა, მაგრამ კობიაშვილის გოლმა ფანები შემოგვარიგებინა და "შალკე" ისევ ერთ მუშტად შეკრა,"* - აცხადებს სლომკა.

■■■

პირველი წრის მატჩთან ერთად აუცილებლად უნდა გავიხსენოთ შარშანდელი სეზონის შეხვედრაც - ზუსტად ერთი წლის წინათ "ბაიერნმა" "შალკეს" მიუხხენში 3:0 მოუგო. თუმცა მაშინ რეკორდმაისტერი გერმანიის პირველობის უმთავრესი ფავორიტი გახლდათ და საბოლოოდ გახდა კიდეც ჩემპიონი (ზედიზედ მეორედ), ახლა კი საპირისპირო ვითარებაა: ბავარიელებმა თქვეს, რომ ჩამოწერილები არიან, "შალკე" კი პირველ ადგილზეა და შესაბამისად, ნომერ პირველ ფავორიტად მიიჩნევა.

დამთავრდა თუ არა გერმანიისა და დანიის ნაკრებ გუნდთა ამხანაგური მატჩი, მთელი გერმანია დღევანდელ მატჩზე გადმოერთო და როგორც ყოველთვის, გუნდებს შორის წინასამატჩო ომი, უშუალოდ შეხვედრამდე 3 დღით ადრე დაიწყო. სლომკამ ამბობს, ვიდეოანალიზის დროს "ბაიერნის" ნახევარდაცვაში რამდენიმე ხვრელი აღმოვაჩინე, ასე რომ, მიუხხენიდან ხელცარიელი არ დავბრუნდებითო. მაგრამ აი, რას ამბობს "ბაიერნის" ნახევარმცველი **ოუენ ჰარგრივსი** "შალკეს" მწვრთნელზე: *"მართლა ასე თქვა? ვინ, სლომკამ? ის ხომ მწვრთნელობის გაგებაში არაა?"* - და იქვე ამატებს, - *"არ ვიცი და არც მაინტერესებს, რა დაინახა სლომკამ. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვენმა მწვრთნელმა გაცილებით მეტი იცის "შალკეს" შესახებ. სლომკას შეუძლია ილაპარაკოს ის, რაც უნდა. შაბათს ჩვენ მოვიგებთ!"*

ჰარგრივსს მხარი **მარკ ვან ბომელმაც** აუბა: *"ძალიან კარგია, თუ მან უკვე იცის, როგორც უნდა მოუგოს "ბაიერნს",* - ვან ბომელს "შალკეს" მწვრთნელის განცხადება ირონიულ ღიმილს ჰგვრის. მიუხხენელთა დამცინავ ტონს კი სლომკა ასე პასუხობს: *"იცინონ, რამდენიც უნდათ. "ბაიერნის" სუსტი წერტილები თამაშის დროს გამოჩნდება!"*

ოტმარ ჰიტცფელდი ამ ომში არ ერევა. ბავარიელთა თავკაცი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც თავშეკავებულია: *"ჩვენი მიზანი სამეულში მოხვედრა და ჩემპიონთა ლიგის საგ ზურის მოპოვებაა. მჯერა, რომ გაისად ევროპის ელიტურ საკლუბო ლიგაში ვიასპარეზებთ. ვერ ვიტყვი, რომ "შალკეს" აუცილებლად მოვუგებთ, მაგრამ ვიცი, რომ მესამე ადგილზე უპრობლემოდ გავალთ."* მოკლედ, დღეს მიუხხენში დიდი ვნებათაღელვა იქნება.

სავარაუდო შემადგენლობები

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ჰარგრივსი, სალიჰამიჯიჩი, ვან ბომელი, შვაინშტაიგერი, მაკაი, პოდოლსკი.

შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ბაირამოვიჩი, ფ. ერნსტი, კობიაშვილი, ჰალილ ალთინთოფი, კურანი, ლოვენკრანდსი.

გოტფრიდ ლენცი

სერ ალექს ფერგიუსონი

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXI ტურის წინ

დუელი განაახლდა

მაგრამ ტურის ყველაზე საინტერესო მატჩი ენფილდზეა...

დღეს

ლივერპული-არსენალი
ბოლტონი-შეფილდ იუნ.
ჩარლტონი-ვიგანი
ფულჰემი-პორტსმუთი
მანჩესტერ იუნ.-ბლეკბერნი
ტოტენჰემ-მანჩესტერ სიტი
ვესტ ჰემი-მიდლსბრო
უოტფორდი-ჩელსი

ხვალ

ბოლტონი-რედინგი

ზეგ

ასტონ ვილა-ვესტბრომი

ინგლისში "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ჩელსის" საჩემპიონო მარათონი ახლდება. "ეშმაკები" "ბლექბერნს" უმასპინძლებენ, "არისტოკრატები" ფსკერზე განსვენებულ "უოტფორდს" ესტუმრებიან. მაგრამ ორკვირიანი პაუზის შემდეგ განახლებულ პრემიერშიფში ტურის უმთავრესი მატჩი "ენფილდზე" გაიმართება. "ლივერპული" "არსენალს" მიიღებს.

ინგლისში გადამწყვეტი ექვსი კვირა იწყება. "იუნაიტედს" ამ ექვს კვირაში ექვსქულიანი უპირატესობა აქვს შესანახი. თუ ამას გააკეთებს, 2003 წლის მერე პირველად იზეიმებს ჩემპიონობას. თუმცა "მენიუს" კიდევ ორი ტიტულის მოგება შეუძლია: ჩემპიონთა თასისა და ასოციაციის თასის, ზუსტად ისე, როგორც 1999 წელს. **სერ ალექსი** პარალელებს თვითონაც ავლებს. აი, რა უთხრა მან "მანჩესტერ ივინგ ნიუსს": *"ანალოგია სახეზეა. პრემიერლიგაშიც გვაქვს შანსი, ასოციაციის თასზეც და ევროპაშიც. ფეხბურთელების, კლუბისა და ფანებისათვის ამაზე დიდი მოტივაცია არ არსებობს. მაგარი თამაშები გვექნება."* "იუნაიტედი" ამ თამაშების ერთ ნაწილს კაპიტნის გარეშე გამართავს. **გარი ნევილს** კოჭი აქვს ნატკენი და ისვენებს. მას ისევ **ვესლი ბრაუნი** შეცვლის.

"ჩელსი" სამ ქულას გეგმავს. სეზონის დამთავრებამდე რვა ტურით ადრე "უოტფორდს" უსაფრთხო ზონისაგან 11 ქულა აშორებთ. ის ალბათ გავარდება. ლონდონელებს კი ზუსტად ესეთი მეტოქე სჭირდებათ პაუზის შემდეგ ტემპის ასაკრეფად. "არისტოკრატებს" **ფრენკ ლემპარდი** დააკლდებათ. ინგლისის ნაკრებში ყოფნისას მან ხელი მაჯაში მოიტეხა და ანდორასთანაც ვერ ითამაშა. **ჯო კოული** კვლავ არ არის მზად და ისვენებს.

"ლივერპული" და "არსენალი" სამთვიანი პაუზის შემდეგ ხვდებიან ერთმანეთს. მაშინ "მეთოფეებმა" მერსისაიდელებს შავი დღე აყარეს, სამი დღის შუალედით "ენფილდზე" ორჯერ მოუგეს (1:3 ასოციაციის თასზე და 3:6 ლიგის თასზე) და ორივე სათასო ტურნირიდან გამოთიშეს. ამჯერად "მეთოფეებს" ფრეც აძლევთ ხელს. ამ შემთხვევაში, მათ მეტოქეზე ისევ ერთი ქულით მეტი ექნებათ და კიდევ "მანჩესტერ სიტისთან" თამაში თადარიგში.

სათასო ფიასკოს მიუხედავად, "ლივერპული" შინ დამაჯერებლად თამაშობს. მას ამ სეზონში "ენფილდზე" მხოლოდ ერთი მარცხი აქვს, ისიც "მანჩესტერ იუნაიტედთან", 90-ე წუთზე გაშვებული გოლით. "ლივერპულის" მაისურით მე-200 მატჩს ჩაატარებს **იონ არნე რიისე**. "არსენალს" სამი ფეხბურთელი უბრუნდება: **ემანუელ ებუე** და **გაელ კლიში** გამოჯანმრთელდნენ, ხოლო **ემანუელ ადებაიორმა** დისკვალიფიკაცია მოიხადა. ჟილბერტოს მცირე ტრავმა აქვს. **რობინ ვან პერსის** თამაში კი სეზონის ბოლომდე გამოირიცხა.

ზემოთ "უოტფორდის" გასაჭირი ვახსენეთ. გავარდნის მეორე სავარაუდო კანდიდატია "ვესტ ჰემი". "ჩარლტონმა" მდგომარეობა რამდენადმე გამოასწორა. **ალან პერდიუს** შეგირდებმა ბოლო სამ თამაშში შვიდი ქულა მოიპოვეს და მე-18 ადგილამდე აცოცდნენ. უსაფრთხო ზონაში მყოფი "შეფილდ იუნაიტედისაგან" მათ ოთხი ქულაღა ჰყოფთ. სხვაობა შეიძლება კიდევ შემცირდეს. ჩარლტონელები "ვიგანს" მასპინძლობენ, შეფილდელებს კი ბოლტონში მძიმე გასვლა აქვთ.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მანჩ. იუნ	30	24	3	3	70-20	75
2. ჩელსი	30	21	6	3	54-19	69
3. არსენალი	29	16	7	6	51-24	55
4. ლივერპული	30	16	6	8	44-20	54
5. ბოლტონი	30	14	5	11	35-38	47
6. ტოტენჰემი	30	12	10	8	38-26	46
7. ტოტენჰემი	30	13	6	11	43-44	45
8. რიდინგი	30	13	5	12	43-38	44
9. პორტსმუთი	30	11	9	10	36-31	42
10. ბლეკბერნი	30	12	4	14	36-41	40
11. ნიუკასლი	30	10	7	13	34-39	37
12. მიდლსბრო	30	9	9	12	32-36	36
13. ფულჰემი	30	7	13	10	31-44	34
14. ასტონ ვილა	30	7	13	10	29-35	34
15. მანჩ. სიტი	29	9	6	14	22-34	33
16. ვიგანი	30	9	6	15	30-44	33
17. შეფილდი	30	8	7	15	25-44	31
18. ჩარლტონი	30	7	6	17	28-49	27
19. ვესტ ჰემი	30	6	5	19	23-51	23
20. უოტფორდი	30	3	11	16	19-46	20

პირველ წრეში ლევან კობიაშვილმა ბაიერნის კარში გარდამტეხი გოლი გაიტანა

იკითხეთ "ტონუსი", იყავით ტონუსში... გაზეთი უკვე 12 გვერდიანია

დაიწყეთ უიქენდი ტონუსით — გამოდის ორ კვირაში ერთხელ

ტონუსი

ჟურნალი გაზეთი ყველა თაობისათვის №3 (1-14 აპრილი) ფასი 30 თეთრი

ინტერვიუ კარლ ჰაინც რუმენიგესთან

კაკა კოშმარია, ტონი კი ოცნება

ბაიერნის ვიცე-პრეზიდენტი მილანთან გასამართ მეოთხედფინალის წინ გუნდების შანსებზე საუბრობს...



სამშაბათს "მილანი" ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში უმასპინძლებს. საუბარიც ზედმეტია იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს თამაში ორივე გუნდისთვის, მით უმეტეს, ახლა, როცა ჩემპიონატში საქმე უჩვეულოდ ცუდად მისდით. ისე მოხდა, რომ ამ დაპირისპირების წინ ორივეს პრინციპული შეხვედრები ელის საშინაო ფრონტზეც: "ბაიერნი" "შალკეს" მასპინძლობს, "მილანი" კი "რომას" სტუმრობს. "შალკეს" გარდა, "ბაიერნისთვის" დიდ თავისტკივილად იქცა ოლივერ კანი, რომელსაც, "რეალთან" მატჩის შემდეგ ანტისადოპინგო კომისიის წინაშე ჩადენილი საქციელისთვის, უეფამ ჩემპიონთა ლიგაში ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა. ამ განაჩენის გამო "ბაიერნმა" უეფაში აპელაცია შეიტანა, იქედან კი უპასუხეს, საქმის მოსმენა ორშაბათს შედგებაო, ანუ "მილანთან" შეხვედრის წინა დღეს. ამასობაში კანმა ბოდიში ოფიციალურად მოიხადა და ბავარიულმა კლუბმაც გადაწყვიტა, რომ საჩივარი უკან გამოეტანა და "სან სიროზე" კაპიტან კანის გარეშე თამაშს შეგუებოდა. ორი დღის წინ იტალიური "გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტმა ექსინტერისტას, დღეს კი "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტ კარლ ჰაინც რუმენიგეს ინტერვიუ ჩამოართვა. საუბარი სწორედ ოლივერ კანის დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებული თემით დაიწყო.

- სინიორ რუმენიგე, უკაცრავად, მაგრამ მიშელ პლატინი, 80-იანი წლების ისტორიული მეტოქე "იუვედან" და ნაკრებიდან, თქვენი მეგობარი არ არის?

- დიახ, არის. მეტოქეები ვიყავით მოედანზე, დიდი ბატალიები გვაქვს გამოვლილი, მაგრამ მოედნის მიღმა მეგობრები ვართ. ალბათ, დღესაც გახსოვთ 1982 წლის მუნდიალი: საფრანგეთი ნახევარფინალში 3:1-ს გვიგებდა, საბოლოოდ კი ფინალში ჩვენ გავედით. ასე იყო თუ ისე, ახლა მშვენიერი ურთიერთგაგება გვაქვს. მისი საფეხბურთო ხედვა მე ძალიან მომწონს. კარგია, რომ უეფას პრეზიდენტი ყოფილი ფეხბურთელია, რადგან მთავარ აქცენტს უშუალოდ მოედანზე აკეთებს, მაშინ, როცა სხვები მხოლოდ ბიზნესზე ლაპარაკობენ.

- არ შეეძლო, რომ კანის შემთხვევაში დაგხმარებოდათ?

- მსგავსი რამ არც მითხოვია. პლატინი არაფერ შუაშია, სადისციპლინო კომისიამ მიიღო უმკაცრესი გადაწყვეტილება.

- იტალიაში ყველანაირი დისკვალიფიკაცია განიხილება, როგორც შეთქმულება. "ბაიერნის" წარმომადგენლები როგორ აფასებთ უეფას ამ სანქციას?

- საქმე შეთქმულებასთან ნამდვილად არ გვაქვს, თუმცა ის კი აშკარაა, რომ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გადამეტებული სასჯელი იყო. ასეა თუ ისე, უეფასიც მესმის, რადგან ჩვენი ფეხბურთელი წესების შესაბამისად არ მოიქცა. გასაჩივრება ჩვენი მხრიდან უბრალო მცდელობა იყო, თავიდანვე ვიცოდით, რომ შეუძლებელს ვითხოვდით.

- ერთი წლის წინათ, როცა "ბაიერნის" კარს მიხაელ რენზინგი იცავდა, 1:1 დასრულდა, განმეორებით შეხვედრაში კი კანმა ითამაშა და "მილანმა" 4:1 მოიგო. ისევ რენზინგი ხომ არ ჯობია?

- საქმე მეკარეებში არ იყო, მთლიანად "ბაიერნს" ჰქონდა კრიზიული პერიოდი.

- ამჯერადაც რისკავთ, რომ სეზონის ნაადრევად დაასრულოთ. თუმცა, ამჯერად, "მილანიც" მსგავს სიტუაციაშია. ვის უფრო მეტად ემუქრება ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენა?

- ალბათ, ორივეს თანაბრად, რადგან ნახევარფინალში გასვლა სეზონის გადარჩენას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. ჩემპიონთა თასამდე გზა გრძელია, ნახევარფინალში მეტოქე "რომა" ან "მანჩესტერი" იქნება, ორივე უძლიერესი გუნდია. ასე რომ, უტიტულოდ დარჩენის რისკი მაინც ძალიან მაღალია. ჩვენთვის ეს ძალიან მძიმე გადასატანი იქნება, იმიტომ, რომ უტიტულო სეზონებს შეჩვეულები არ ვარ, მაგრამ რას ვიზამთ, შეგუება მოგვიწევს.

- სექტემბერში "სან სიროზე" "ინტერს" მოუგეთ. მილანელებისთვის ეს უკანასკნელი მარცხი იყო ამ სეზონში. ამ გამარჯვებამ თუ მოგიხსნათ იტალიელების კომპლექსი?

- სტატისტიკა ჩვენ საწინააღმდეგოდ მეტყველებს, მაგრამ იმ გამარჯვებამ უდავოდ სასიკეთოდ იმოქმედა. ამასთან, ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გასვლაც მნიშვნელოვანი იყო. ეს იმის ნიშანია, რომ გადამწყვეტ შეხვედრებში "ბაიერნს" ძალების მოკრება და თავისი სიტყვის თქმა შეუძლია. ამჯერად ძალიან მძიმე დაპირისპირება გველის, ორივე გუნდს გაუჭირდება. როცა "მილანი" ფორმაშია, მისი შეჩერება უძნელესი საქმეა, მაგრამ ამ სეზონში გუნდი საკმაოდ წვალობს. სეზონის წინ დაკლებულმა ქულებმა, მუნდიალმა, თავისი კვალი დაატყვეს. ერთი სიტყვით, "მილანს" წელს უჭირს. მოედანზე აშკარად ჩანს, რომ რაღაც ისე აღარ მუშაობს, როგორც გასულ წლებში.

- კერძოდ, რომელ რგოლებში?

- დაცვაში პრობლემების მოგვარება შესაძლებელია, თუ ნესტა დაბრუნდება, აი, შეტევაში კი ბევრი სიძნელეა. ხელმძღვანელობას იანვარში რონალდოს დამატება მოუწია, მაგრამ ბრაზილიელი ლიგაში არ იქნება. ჩვენ ძალიან დიდი ყურადღება გვმართებს კაკას შესაჩერებლად. ჩემი აზრით, "მილანს" ოდნავ უფრო მეტი შანსი აქვს, მაგრამ ბრაზილიელის განეიტრალებას თუ შევძლებთ, უპირატესობა ჩვენს მხარეს გადმოვა. კაკას მარტო შეუძლია თამაშის ბედის გადაწყვეტა, ამის საშუალება კი არ უნდა მივცეთ.

- "ბაიერნის" ნაკლოვანებებსა და ღირსებებზე რას გვეტყვით?

- ჩემპიონატში "პატარა" გუნდებთან ბევრი ქულა დავკარგეთ, სამაგიეროდ, ჩემპიონთა ლიგაში გამოვაჩინეთ ჩვენი ძალა. ამის კარგი მაგალითია შეხვედრები "ინტერთან" და "რეალთან". ის, რომ პრინციპულ შეხვედრებში ძალების კონცენტრირებას ვახერხებთ, დამატებით კოზირად შეიძლება იქცეს.

- აგვისტოში ფავორიტებად "რეალი", "ბარსელონა", "ჩელსი" და "მილანი" დაგვისახელეთ. ესპანელები ტურნირს მიღმა არიან და თუ "მილანსაც" გამოთიშავთ, თქვენზე ძლიერი მხოლოდ "ჩელსი" რჩება?

- ახლა ტურნირს სამი ფავორიტი ჰყავს. პირველია "ჩელსი", რომელიც დიდძალი ფული დახარჯა და ვალდებულია, რომ გაიმარჯვოს. შემდეგ მოდიან "მანჩესტერი", რომელმაც ბრწყინვალება დაიბრუნა, და "მილანი". დარწმუნებული ვარ, რომ მილანისტებს დღემდე ამოძრავებთ სტამბოლური ფიასკოსთვის შურისძიების სურვილი. ის ფინალი დავიწყებული არ არის. ჩვენი შანსები ნაკლებია, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ორ შეხვედრაში ნებისმიერის გამწარება შეგვიძლია. გასულ წელს "მილანს" ცხოვრება ძალიან გავუადვილეთ ჩვენი შეცდომებით, განსაკუთრებით "სან სიროზე". ამჯერად უფრო დაკვირვებულები ვიქნებით, თან განმეორებით შეხვედრას შინ ჩავატარებთ, რაც საკმაო უპირატესობას გვაძლევს, თუმცა გადამწყვეტი თამაში მაინც "სან სიროზე" იქნება. საქმე იქამდე არ უნდა მივიყვანოთ, რომ განმეორებითი შეხვედრა სიკვდილ-სიცოცხლის თამაშად გვექცეს. თუ ნახევარფინალში ვერ გავედით და ბუნდესლიგაშიც ვერ მოვიპოვეთ ჩემპიონთა ლიგის საგზური, ნამდვილი კატასტროფა იქნება.

- ასეა თუ ისე, მომავალი სეზონისთვის "ბაიერნს" გადახალისება სჭირდება და თქვენ უკვე გამოცხადეთ, რომ სერიოზული სატრანსფერო კამპანიისთვის ემზადებით. გერმანულმა პრესამ გუშინ დაწერა, რომ ლუკა ტონი შაბათს მიუნხენში ნახეს. მართალია, რომ მისი შეძენა გინდათ?

- ტონი ძალიან მომწონს, მას ძალზე სასარგებლო ფეხბურთელად მივიჩნევ, "ბაიერნს" ის დიდ სარგებელს მოუტანდა. პრობლემა ისაა, რომ ლუკა ბევრ კლუბს უნდა და ეს საქმეს ძალიან გვირთულებს. საბოლოო გადაწყვეტილებას ფეხბურთელი მიიღებს, შეიძლება, სურვილი აქვს, რომ ძალები უცხოეთში მოსინჯოს. სიმართლე გითხრათ, დიდად არ მსიავმოვნებს ჩვენს სატრანსფერო გეგემებზე საუბარი, თუმცა ვადასტურებ, რომ იტალიელი ფორვარდით მოხიბლულები ვართ.

- ჰასან სალიჰამიჯიჩმა "იუვენტუსთან" კონტრაქტი გააფორმა. როგორ ფიქრობთ, ბოსნიელი სერია A-ს დონის ფეხბურთელია?

- დიახ. მართალია, 30 წლისაა, მაგრამ ძალიან სასარგებლოა. გარიგება ფეხბურთელმა და "იუვენტუსმა" ერთმანეთთან მოლაპარაკებით დადეს. თუმცა "იუვეს" მხრიდან ეს არ ყოფილა შურისძიება სანიოლის საქმეზე, როცა ფრანგს წასვლის საშუალება არ მივეცით და იმ მომენტში გავუგრძელეთ კონტრაქტი, როცა ტურინელებთან ხელმოსაწერად ყველაფერი მზად ჰქონდა.

- "ინტერმა" ჩემპიონთა ლიგა ქარს გაატანა?

- არ ვიცი, თუმცა იმის თქმა კი შეიძლია, რომ "ინტერი" ერთ-ერთია ევროპის სამ უძლიერეს კლუბს შორის. "ვალენსიამ" ის უკვე პირველ შეხვედრაში გამოთიშა. ესპანელების ის ულამაზესი გოლი, რომელმაც ანაგარიში 2:2 გახადა, გადამწყვეტი აღმოჩნდა.

- სკუდეტოს აღსანიშნავი ზეიმი უკვე ძალიან ახლოსაა.

- თუ დამპატიჟებენ, სიამოვნებით ჩამოვალ. მაგრამ მანამდე "სან სიროზე" უნდა შევიარო "მილანის" დასამარცხებლად.

გოგა **ახალაძე**

მუსალუდნელი ტრანსფერი

ტონი მიუნხენში იყო

ლუკამ ბაიერნის ბოსებთან ივახშმა და...

გერმანული გამოცემები გვამცნობენ, რომ წინა შაბათს ლუკა ტონი მიუნხენში იყო ჩასული. როგორც იცით, 29 წლის იტალიელი ფორვარდის გადაბირება "ბაიერნს" უნდა. ჩვენს გერმანელ კოლეგებს ეს ამბავი როგორღაც გამოეპარათ და მხოლოდ ერთი კვირის შემდეგღა შეიტყვეს, რომ ტონი მიუნხენში იყო და ბავარიული კლუბის შეფებთან პირველი მოლაპარაკება გამართა. "ბილდის" ცნობით, ტონიმ, კარლ-ჰაინც რუმენიგემ და ული ჰოინესმა მიუნხენის პიცერია "ებოლიში" ივახშმეს. იმავე გაზეთის ინფორმაციით, რეკორდმაისტერი იტალიელს სამწლიან კონტრაქტს სთავაზობს. "ბაიერნს" ეს სიამოვნება სავარაუდოდ 20 მილიონი ევრო დაუჯდება. შეგახსენებთ, რომ ტონის ხელში ჩასაგდებად ტურინის "იუვენტუსიც" იბრძვის.

ვან პერსიმ სეზონი დაასრულა

რობინ ვან პერსიმ სეზონი დაასრულა. იანვარში, "მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩისას მიღებული ტრავმის გამო, ის დასკვნით ტურებშიც ვერ ითამაშებს. ეს ინფორმაცია არსენ ვენგერმა "ლივერპულთან" მატჩის წინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გაავრცელა. ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა ტერფის მებუთე ნების ძვალი გაიტეხა. მას უსიამოვნება იმ დროს შეემთხვა, როცა გოლს ზეიმობდა.

ჰამბურგი: ახალი სახელი სტადიონს

"ჰამბურგის" სტადიონს ახალი სპონსორი ეყოლება. ამერიკულ ინტერნეტ პროვაიდერ AOL-თან ექვსწლიანი კონტრაქტი ივნისში ინურება. იმავე დღეს ძალაში შევა სამწლიანი ხელშეკრულება გერმანულ ბანკ HSH Nordbank-თან და სტადიონსაც მისი სახელი დაერქმევა. ამგვარად, გაისად, ჰამბურგელები საშინაო მატჩებს HSH Nordbank არენაზე გამართავენ. ბუნდესლიგის 18 კლუბიდან 12-ს სტადიონის სპონსორი ჰყავს და არენებისთვის მათი სახელები აქვს მინიჭებული.

რიისე გაკოტრდა

"ლივერპულის" ნორვეგიელი მცველი **იონ არნე რიისე** გაკოტრებულად გამოაცხადეს. ეს გადაწყვეტილება ლივერპულის საგრაფოს სასამართლომ გუშინ ნაშუადღევს მიიღო. საქმე ეხება გადაუხდელ თანხას, დაახლოებით 100 ათას გირვანქას, რომელიც რიისეს მისი ყოფილი აგენტისა მართებს. ლივერპულელი მცველი ამ ვალს არ აღიარებს. მისი მტკიცებით, იმ პიროვნებამ ისედაც დიდი ფინანსური ზარალი მიაყენა და სულ ცოტა 3 მილიონი გირვანქა ააფცქნა. რიისეს ადვოკატები სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებენ.

პრშო რეინჯერსს ეთხოვება

დადო პრშო "რეინჯერსთან" გამოთხოვება მოუწევს. 32 წლის ხორვატ თავდამსხმელს მუხლის ქრონიკული ტრავმა აწუხებს. ექიმებმა მას განუმარტეს, რომ მტკივანი ფეხი დიდ დატვირთვებს ვეღარ აიტანს. ფეხბურთელი, შეიძლება, სამუდამოდ დაინვალიდდეს. ფორვარდს კარიერის დასრულების შესახებ ჯერ არაფერი უთქვამს. ის შეეცდება, ისეთი კლუბი გამონახოს, სადაც "რეინჯერსის" დონის დატვირთვა არ იქნება.

რეიტინგი

უმდიდრესი ფეხბურთელები და კლუბები

პარასკევს, ჟურნალმა "ფორბსმა" მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელების სია გამოაქვეყნა. მასში დევიდ ბექჰემს რონალდინიომ გადაუსწრო, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ დროებით. გაისად, როცა ბექჰის საარაკო ამერიკული კონტრაქტი ამოქმედდება, დღესავით ნათელია, რომ ის პირველობას აღარავის დაუთმობს. "ფორბსის" გაანგარიშებით, რონალდინიომ 2006 წელს 23.5 მილიონი ევრო გამოიმუშავა. ბექჰემმა კი 23.2 მილიონი.

ავტორიტეტულმა გამოცემამ ყველაზე შემოსავლიანი კლუბების სიას შემოგვთავაზა. საუბარს აღარ გავაგრძელებთ და შემოგთავაზებთ უმდიდრესი ფეხბურთელებისა და კლუბების ათეულებს. თანხები მილიონ ევროშია მოცემული:

ფეხბურთელი	შემოსავალი
1. რონალდინიო	23.5
2. დევიდ ბექჰემი	23.2
3. რონალდო	18.6
4. უეინ რუნი	13.7
5. მიხაელ ბალაკი	13.4
6. ტიერი ანრი	12.6
7. ზინედინ ზიდანი	12.4
8. ფაბიო კანავარო	11.6
9. ჯონ ტერი	11.4
10. სტივ ჯერარდი	11.3

კლუბი	შემოსავალი
1. მანჩესტერი	1.137
2. რეალი	811
3. ბარსელონა	716
4. ბაიერნი	655
5. მილანი	644
6. იუვენტუსი	443
7. ინტერი	434
8. ჩელსი	420
9. ბარსელონა	418
10. შალკე	369

ინტერვიუ ლუი ვან გაალთან

ახლა უკვე მუნდიალის მოგება მსურს

ჰოლანდიელი მწვრთნელი საკლუბო კარიერას 2008 წლის 30 ივნისს დაასრულებს, ამის შემდეგ კი ნაკრებების შეთავაზებებს დაელოდება, მას ესპანეთის ან არგენტინის გაწვრთნა სურს...

ლუი ვან გაალს ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის წარდგენა, რა თქმა უნდა, არ სჭირდება. ის თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპეციალისტია. მხოლოდ შეგახსენებთ, რომ ვან გაალმა პირველ დიდ წარმატებას "აიაქსში" მიაღწია. ამსტერდამულმა გრანდმა მისი ხელმძღვანელობით ჩემპიონთა თასი მოიპოვა. შემდეგ ბარსელონური თავგადასავალი იყო. კატალონიურ გრანდს ვან გაალმა ესპანეთის ჩემპიონატში ორჯერ გაამარჯვებინა. 2005 წლიდან კი ბატონი ლუი "ალკმაარის" დამრიგებელია. ამ კაცის ბარსელონურ მოღვაწეობას კატალონიური საზოგადოება არაერთმნიშვნელოვნად აფასებს. ზოგი ორ საჩემპიონო ტიტულს უმადლის, ზოგი კი არ ივიწყებს, რომ "ბარსაში" მეორედ დანიშვნის შემდეგ ვან გაალმა კლუბი სერიოზულ კრიზისში ჩააგდო. ასეა თუ ისე, ბარსელონელებს ჰოლანდიელი სპეციალისტი არ დავიწყებიათ. ნიშნად ამისა, "დიარიო სპორტის" მიერ მომზადებულ ინტერვიუს შემოგთავაზებთ. მასალა მეტისმეტად ვრცელი გახლდათ. ობიექტური მიზეზების გამო, თქვენს სამსჯავროზე მხოლოდ ყველაზე საინტერესო დეტალებს გამოვიტანთ. ეს ინტერვიუ ქართველი მკითხველისთვის ორმაგად საინტერესო უნდა იყოს. AZ-ში ხომ შოთა არველაძე თამაშობს...

- "ალკმაარში" როგორ გრძნობთ თავს?

- მუშაობას იმიტომ დავთანხმდი, რომ აქ ოთხი მთავარი მოთხოვნის უსიტყვოდ შესრულებას დამპირდნენ. ჩემი მოთხოვნებია: დისციპლინა, წესები, საფეხბურთი კულტურა და საფეხბურთო ფილოსოფია. უცნაურად ჟღერს არა, საფეხბურთო ფილოსოფია? მაგრამ ესაა მთელი საქმე. ჩემი აზრით, ამ ოთხი გარემოების გარეშე წარმატებაზე ფიქრი აბსოლუტური უტოპიაა. "ალკმაარის" პრეზიდენტი, დირკ შერინგა ამბიციური კაცია. მან კლუბის განვითარების გეგმა შეიმუშავა და ახლა მას პირუთვნელად იცავს. უნდა მოგახსენოთ, რომ კო ადრიაანსემ ჩინებული გუნდი დამახვედრა. სანამ წავიდოდა, ვისაუბრეთ და ერთმანეთს აზრები გავუზიარეთ. მან რამდენიმე ძვირფასი რჩევა მომცა. ბედნიერი ვიქნები, თუ "ალკმაარი" ევროპული ფეხბურთის გრანდად გადაიქცევა. გასულ სეზონში უეფას თასის მეორე ეტაპზე გავაღწიეთ. ჰოლანდიის თასის გათამაშებაში კი ნახევარფინალამდე მივედით. ხოლო ნაციონალურ ჩემპიონატში მეორე ადგილი დავიკავეთ. მერწმუნეთ, სეზონის დაწყების წინ ასეთ შედეგებს ვერავინ წარმოიდგენდა. ახლა მესამე ადგილზე ვიმყოფებით. უეფას თასზე კი მეოთხედფინალის საგზური გავინაღდეთ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ კლუბიდან წასვლამდე "ალკმაარს" რაიმე ტიტული მოვუტანო.**

- როგორ ფიქრობთ, შეძლებთ, უეფას თასის მოპოვებას?

- რეალურად თუ ვიმსჯელებთ, უფრო სავარაუდოა, ჰოლანდიის თასის გათამაშებაში გავიმარჯვოთ. უეფაზე მეტოქედ "ვერდერი" გვერგო. ეს მსუყე თევზია და გამორიცხული არ არის, ძვალი ყელში გაგვეჭიროს. არ იფიქროთ, რომ თავს ვიზღვევ, ან გერმანელების მეშინია. უბრალოდ, მოვლენებს რეალურად ვაფასებ. "ვერდერი" დიდი ტრადიციების მქონე კლუბია და მასთან ბრძოლა საკმაოდ რთული იქნება. უეფას თასზე გასამარჯვებლად რამდენიმე კომპონენტია საჭირო. "ალკმაარი" კი ჯერჯერობით გრანდი არ არის. ჩვენი წლიური ბიუჯეტი სულ რაღაც 20 მილიონი ევროა. მაშინ, როცა "აიაქსს" 60 მილიონი აქვს გათვალისწინებული. "ბარსელონას" კი 280. ფინანსების გარეშე დიდ წარმატებაზე ფიქრი ოცნებას ჰგავს. ჩემიაზრით, "ალკმაარი" გამდიდრდება, მაგრამ ამისთვის დრო და ნაბიჯ-ნაბიჯ წინ სიარულია საჭირო. ჩვენ უკვე სერიოზულ პროგრესს მივაღწიეთ. ბოლო სამი სეზონია სამეულში ვიმკვიდრებთ ადგილს, თუმცა ეს ბევრი არც არაფერია. მეორე და მესამე ადგილი ტიტული არ არის. ალბათ, სულ მცირე 10 წელია საჭირო იმისთვის, რომ "ალკმაარმა" გრანდის წოდება მოიპოვოს. ვფიქრობ, ჰოლანდიის თასის მოგება ჩინებული დასაწყისი იქნება.

- ამასწინათ განაცხადეთ, რომ ესპანეთის ნაკრების გაწვრთნაზე ოცნებობთ. იხუმრეთ, თუ "ალკმაარს" "სელექსიონში" მართლაც დაუფიქრებლად გაცვლიდით?

- კონტრაქტის გაწყვეტას არ ვაპირებ. ჩემს გუნდთან 2008 წლამდე ვარ დაკავშირებული. ერთი წლის შემდეგ კი თავისუფალი გავხდები. სხვათა შორის, რამდენიმე საინტერესო წინადადება მქონდა, მაგრამ იმ ადამიანთა კატეგორიას არ განვეკუთვნები, რომლებიც ფულის გამო სამსახურს არადელიკატურად ტოვებენ. უკლებლივ ყველა უარით გავისტუმრე.

- საინტერესოა, რომელი გუნდები გეპატიჟებოდნენ?

- პრემიერლიგის, ჰოლანდიისა და ბუნდესლიგის კლუბების ფანტასტიკური შემოთავაზებები მქონდა. მათ დიდი მადლობა გადავუხადე და მოვახსენე, "ალკმაარს" შუა გზაში ვერ მივატოვებ-მეთქი. მოკლედ, 2008 წლის 30 ივნისამდე დაკავებული ვარ. იმ დღიდან კი ყველას შეეძლება, წინადადებებით მომმართოს. ესპანეთის ნაკრებს მართლაც უდიდესი სიამოვნებით ჩავიბარებდი. იგივეს ვიტყოდი არგენტინის ეროვნულ გუნდთან მიმართებაშიც. ისე კი ცხადია, რომ მუშაობის დაწყებისთვის მხოლოდ ჩემი სურვილი არ კმარა. საჭიროა, ლუი ვან გაალით ფედერაციებიც დაინტერესდნენ.

- მაინცა და მაინც, ნაკრებებზე რატომ აკეთებთ აქცენტს?

- საკლუბო დონეზე ყველაფერს მივაღწიე, რისი მიღწევაც შეიძლებოდა. ახლა უკვე მუნდიალის მოგება მსურს.

- ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციიდან ვინმე ხომ არ შეგხმიანებიათ? ან, თქვენ ხომ არ დაგირეკავთ რომელიმე ჩინოსნისთვის?

- არა, მაგრამ მათ იციან, რომ 2008 წლის ზაფხულიდან ჩიტივით თავისუფალი ვიქნები (იცინის).

- მომავალს თავი დავანებოთ და წარსულზე ვისაუბროთ. "ბარსელონაში" გატარებულ პერიოდს როგორ გაიხსენებთ?

- არ მგონია, ბევრი სპეციალისტი არსებობდეს, რომელიც სამ სეზონში ერთბაშად ოთხი ტიტულის მოპოვებას შეძლებს. ამის გათვალისწინებით, თამამად შემიძლია მოგახსენოთ, რომ "ბარსელონაში" გატარებული წლებით მეტისმეტად კმაყოფილი ვარ. მართალია, კატალონიაში მოღვაწეობის მეორე ეტაპი სევდიანი და წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ მირჩევნია კარგზე ვიფიქრო და საუკეთესო მომენტები გავიხსენო.

- ხომ არ გეჩვენებათ, რომ მთლიანობაში "ბარსელონამ" ვერ გაგიგოთ?

- ფეხბურთელებსა და კლუბის ხელმძღვანელებს შესანიშნავად ესმოდათ ჩემი. თუმცა ის ხალხი, რომელიც "ბარსელონაზე" სტატიებს წერდა, საერთოდ არაფერზე ფიქრობდა. მათ ამის საშუალებას გაზეთის დირექტორები არ აძლევდნენ. სიმართლე გითხრათ, გული მტკივა, რომ სიყალბესა და ცილისწამებაში გამსვარეს. პრესას მკაფიოდ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ვან გაალი თავიდან უნდა მოეცილებინათ. მათ ამ მიზანს მეთოდური, ეტაპობრივი მუშაობით მიაღწიეს. ლანძღვითა და გინებით საზოგადოებრივი აზრი საიმისოდ შეამზადეს, რომ "ბარსას" ინტერესებისთვის ჩემი წასვლა უკეთესი იქნებოდა. სხვათა შორის, ზოგჯერ ჰოლანდიური პრესაც გამოხდება ხოლმე და თავს მესხმის, მაგრამ აქაური მასშტაბები კატალონიურთან სახსენებელიც არ არის.

- "ბარსელონაში" მოღვაწობისას შედგენილ ცნობილ დღიურებს დღემდე ინახავთ?

- რა თქმა უნდა. კარადაში მათ საპატიო ადგილი აქვთ მიჩენილი. პენსიაში გასვლის შემდეგ მაგიდას მივუჯდები, მშვიდად წერას დავიწყებ და წიგნს გამოვცემ. დღიურებს "ალკმაარშიც" ვაწარმოებ. ზოგჯერ კომპიუტერსაც ვიყენებ, მაგრამ პატარა ზომის დღიური, თუ წიგნაკი გაცილებით მოსახერხებელია. კომპიუტერს ყველგან ვერ წაიღებ. წიგნაკები კი ყოველთვის შეგიძლია, თან იქონიო.

- ხოსეპ ლუის ნუნიესთან ურთიერთობა არ გაგიწყვეტიათ?

- რა თქმა უნდა, არა. ერთმანეთს ხშირად ვურეკავთ. თუ კატალონიაში მიწევს ჩასვლა, ერთად ვსადილობთ. ხან ის იხდის, ხან მე (იცინის).

- როგორც ვიცი, ბარსელონაში სახლიც გაქვთ.

- დიახ, თუმცა ბოლო დროს იქ ჩასვლას თითქმის ვეღარ ვახერხებ. წელიწადში ერთი კვირით თუ ჩავფრინდები. ამ მცირე დროის სასტუმროში გატარებაც შეიძლება. ამიტომ, გადავწყვიტე, ბარსელონური ბინა გავყიდო.

- არ გირჩევთ ამის გაკეთებას. ბინები დღითიდღე ძვირდება. ბარსელონაში უძრავი ქონების დაკარგვა სოლიდურ კაპიტალზე უარის თქმაა. მერწმუნეთ, იმ ფულს უკეთეს საქმეში ვერ დააბანდებთ...

- (იცინის) დიდი მადლობა რჩევისთვის. ოჯახის წევრებს დაველაპარაკები და ერთობლივად გადავწყვეტთ.

- "ბარსა" 2003 წელს დატოვეთ. მას შემდეგ "კამპ ნოუზე" თუ იყავით?

- მხოლოდ ერთხელ გახლდით. 2004-05 წლების სეზონში "ბარსელონისა" და "ჩელსის" დაპირისპირებას დავესწარი. ეს ის თამაში იყო, რიიკაარდს მსაჯთან საუბრის გამო რომ უსაყვედურეს.

- "ვერდერის" დამარცხების შემთხვევაში" შესაძლოა, ნახევარფინალში "ესპანიოლს" შეხვდეთ. გსურთ, ბარსელონაში ჩამოსვლა?

- ბავშვური კითხვაა. რა თქმა უნდა, მსურს. რომ შემეძლოს, მეგობრებს ვნახავდი, "კამპ ნოუზე" შევიდოდი და ბალახის სუნს შევისუნთქავდი. ვერ წარმოიდგენთ, მისი სუნი როგორ მომენატრა. მეოთხედფინალების კენჭისყრის წინ მინდოდა, "ესპანიოლი" შეგვხვედროდა, რათა ჩემს "ალკმაართან" ერთად ბარსელონაში ჩასვლის საშუალება მომცემოდა.

- ხოან გასპარზე როგორი მოგონებები შემოგრჩათ?

- ჩემთან ყოველთვის გულითადი და კორექტული დამოკიდებულება ჰქონდა. ის "ბარსას" თავგადაკლული ფანია. შესაძლოა, ეს მისი მთავარი პრობლემა იყო. იქნებ არც არის საჭირო, რომ პრეზიდენტს ასე უყვარდეს საკუთარი კლუბი.

- ლაპორტაზე რაღას ფიქრობთ?

- ის მრავალი წლის წინათ გავიცანი. ლაპორტა მაშინ ნუნიესის ოპოზიციონერი იყო. ჩემი აზრით, კლუბში ბრძოლის წამოწყებით დიდი შეცდომა დაუშვა. მისი მხრიდან ეს არ იყო კორექტული საქციელი... თუმცა ახლა შესანიშნავად მუშაობს. მან გულშემატკივრებთან დამეგობრება შეძლო. დღეს "ბარსას" ინჩადა და ხელმძღვანელობა ერთ მუშტადაა შეკრული. დასაფასებელია მის მიერ შესრულებული სამარკეტინგო სამუშაოც.

- "ბარსელონაში" "ალკმაარის" რომელ ფეხბურთელს გაუშვებდით?

- არც ერთს. ჩემი საყვარელი მოთამაშეები სხვაგან გასაშვებად არ მეთმობიან. ვიცი, თუ რომელიმე კლუბი დიდი ფულით მოგვაკითხავს და ამა თუ იმ ფეხბურთელის ყიდვას მოისურვებს, წინააღმდეგობას ვერ გავწევთ. ასეთია ფეხბურთის კანონი. იმედია, მიმდინარე ციკლის დასრულებამდე არავინ დაგვტოვებს. "ალკმაარმა" ბოლო ტიტული 25 წლის წინათ მოიპოვა. ჩვენი ვალდებულებაა, გულშემატკივრები გავაბედნიეროთ.

- "ბარსელონიდან" ვინმეს გადაბირება რომ შეგეძლოთ, არჩევანს ვისზე შეაჩერებდით?

- ანდრეს ინიესტაზე.

- "ბარსას" თამაშების ნახვის საშუალება ხშირად გაქვთ?

- რიიკაარდისა და ვან ბრონკჰორსტის გამო, ჰოლანდიური არხები "ბარსას" მატჩებს სისტემატურად გადასცემენ. ასე რომ, არანაირი პრობლემა არ მაქვს.

- როგორ ფიქრობთ, კატალონიელები შარშანდელივით გამართულად რატომ ვერ თამაშობენ?

- ნუ გიკვირთ. ტრიუმფალური სეზონის შემდეგ ჩავარდნის დრო მოდის. ფეხბურთელები ამას არასოდეს აღიარებენ, მაგრამ დიდი ტიტულების მოპოვების შემდეგ მათ შიმშილის გრძნობა აღარ აწუხებთ. ერთია, როცა შიმშილით გათანგული ლომი ნადირობს და მეორე, როცა ამ ლომმა მცირე ხნის წინათ მთელი ანტილოპა შეჭამა. მაძღარ მტაცებელს რეაქციები უქვეითდება და ნადირობაც ეზარება. მოტივაციის განელება, ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია.

- ამ სიტუაციაში გამოსავალი სად უნდა ვეძიოთ?

- საჭიროა დისციპლინა, წესები, საფეხბურთო კულტურა და ფილოსოფია. ადამიანი მტაცებლისგან აზროვნების უნარით განსხვავდება. ლომს არ შეუძლია სპორტული აზარტი იქონიოს. ის მხოლოდ ინსტინქტებით ხელმძღვანელობს. როცა დანაყრებულია, გაოფლიანება ეზარება. ადამიანს კი შეუძლია, თავს შთააგონოს, რომ ტიტული და ჯილდო არასოდესაა ზედმეტი. ფეხბურთელმა არ უნდა იფიქროს, რომ ის გუნდზე მეტია. პირიქით, ნებისმიერი მოთამაშე, პირველ ყოვლისა, კოლექტივზე უნდა ზრუნავდეს. "აიაქსში" მუშაობისას სამი წლის განმავლობაში ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორჯერ გავედით. ერთხელ კი ნახევარფინალამდე მივაღწიეთ. თუ გნებავთ, ამპარტავან ადამიანად ჩამთვალეთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩემი მეთოდები სწორი და გამართულია.

- ბევრი ფიქრობს, რომ რიიკაარდი მეტისმეტად ლმობიერი მწვრთნელია. იზიარებთ, ამ მოსაზრებას?

- ყველა მწვრთნელს საკუთარი ხასიათი და მუშაობის სტილი აქვს. მე და რიიკაარდს 1 500 კილომეტრი გვაშორებს. ამიტომ მისი მუშაობის პროფესიულად შეფასება შეუძლებლად მიმაჩნია. მინდა გითხრათ, რომ ასეთ თემებზე საუბარი სასტიკად არ მიყვარს. ვერ ვიტან, როცა ჩემს შესახებ სხვები მსჯელობენ. იქნებ მითხრათ, ლუი ვან გაალმა თავს უფლება რატომ უნდა მისცეს, რომ სხვაზე ისაუბროს?! ასეთ დროს, როგორც წესი, უსამართლო შეფასებებს აკეთებენ.

- როგორ ფიქრობთ, ჩემპიონთა ლიგის ჩამოყალიბების შემდეგ თასის ზედიზედ ორჯერ მოგებას რატომ ვერ ახერხებენ?

- იმიტომ, რომ კონკურენცია მნიშვნელოვნად გაიზარდა.

- დაბრუნდებოდით, "ბარსელონის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე?

- არა.

- მადრიდის "რეალის" შეთავაზებას თუ დათანხმდებოდით?

- არც სამეფო კლუბში ვიმუშავებდი. ჩემი, როგორც საკლუბო მწვრთნელის კარიერა 2008 წელს დასრულდება. ამის შემდეგ მხოლოდ რომელიმე ნაკრების გაწვრთნას დავთანხმდები. როგორც გითხარით, მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვება მსურს.

- ფიქრობთ, რომ ესპანეთის ნაკრებთან ერთად ამ მიზანს მიაღწევთ?

- რატომაც არა? ესპანეთის ეროვნულ გუნდში ფანტასტიკური ფეხბურთელები ასპარეზობენ. ბუნებრივია, 100-პროცენტიანი გარანტია არ არსებობს, მაგრამ შეუძლებელიც არაფერია.

- ყოზე მოურინიოზე რას ფიქრობთ? მას კარგად იცნობთ?

- ჯოზესთან, როგორც ყველა კარგ მეგობართან, ხშირი კონტაქტი მაქვს. სამწუხაროდ, სამსახურეობრივი მოვალეობების გამო, შეხვედრას იშვიათად ვახერხებთ, მაგრამ ამ სიტუაციაში ურთიერთობისთვის ტელეფონიც გამოდგება.

ილია ნიკოლაიშვილი

ძიუდო

საქართველოს ნაკრები. რეპორტაჟი

ბორჯომი. ბოლო ბრძოლები ბელგრადის წინ

პირველი გვერდიდან

შეხვედრების დასაწყისში ხაბარელმა სათადარიგოებს საგანგებოდ სთხოვა, მაქსიმალურად ფრთხილად ეჭიდავათ და ლიდერები არ დაეზიანებინათ. საბედნიეროდ, გუნდი აქამდეც ტრავმების გარეშე მოვიდა და გუშინაც ყველაფერი მშვიდობიანად ჩამთავრდა. ერთადერთი, ცოტა მძიმენონოსან **ადამ ოქრუაშვილს** ეტკინა ფეხი და **ნესტორ ხერგიანთან** შეხვედრაში **ვახტანგ ხოსიტაშვილი** დაშავდა. ოქრუაშვილი შედარებით იოლად გადარჩა, ხოსიტაშვილს კი წარბი გაუსკდა და ექიმის ჩარევაც დასჭირდა. თუმცა ორივე ტრავმა უმნიშვნელოა, რამაც ხერგიანი ხუმრობის გუნებაზეც დააყენა, სვანის და კახელის თავები შეეჯახა ერთმანეთსო.

ბუნებრივია, ლიდერები ფრთხილად ჭიდაობდნენ, რამაც ბევრის გამოსვლას თავისი დაღი დაასვა - რამდენიმე აშკარად თავს იზოგავდა, თუმცა უმეტესად მაინც დაძაბული და სანახაობრივი ორთაბრძოლები ვიხილეთ. ხერგიანი ჩვეულად თავდაუზოგავად ჭიდაობდა. ძალების დაზოგვა მას ისედაც არ ახასიათებს, გუშინ კი დატვირთვებს მშვენივრად გაუძლო - სუნთქვის პრობლემა არ აწუხებდა.

ზაზა კედელაშვილი ზოგ მეტოქესთან თავს კი ზოგავდა, მაგრამ მაინც ჩვეულად ტემპში და ტექნიკურად ჭიდაობდა. **დავით ქევხიშვილს** გაცდენილი ტურნირები თუ გადატანილი ტრავმები ჯერ ისევ ეტყობა. მას მუხლში ახლაც სითხე უდგას, თუმცა იმედოვნებენ, რომ ევროპამდე ეს პრობლემაც მოგვარდება. **გიორგი ბაინდურაშვილი** დებიუტანტია, მაგრამ ბევრად გამოცდილებთან შეხვედრებში საამისო არაფერი ეტყობოდა. წინასწარ ზუსტ პროგნოზს ვერავინ გააკეთებს, მაგრამ ბაინდურაშვილმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ჩვეულად ძლიერად და დამაჯერებლად ჭიდაობდა **ირაკლი ცირეკიძე**, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა თავის შესაძლებლობებში. თუმცა ირაკლი ცოტა უხასიათოდ გახლდათ - ამ დღეებში პირადი მწვრთნელი **ომარ მერაბიშვილი** გარდაეცვალა. ოლიმპიურ ჩემპიონ **დავით ხახალეიშვილის** აღმზრდელი თურმე ახალი ვარსკვლავის ევროპის პირველობაზე გამოსვლას დიდი ინტერესით ელოდა, მაგრამ არ დასცალდა. როგორც ირაკლიმ გვითხრა, წარმატების შემთხვევაში მედალს აღმზრდელი მწვრთნელის ხსოვნას მიუძღვნის. მოგვეწონა **ლომერ ჟორჟოლიანიც**, რომელმაც საინტერესო შეხვედრები ჩაატარა **ლევან რაზმაძესთან, ნოდარ მეტრეველთან** და **გიორგი ყიზილაშვილთან**. მოგვეჩვენა, რომ ყიზილაშვილთან არ რისკავდა და ალბათ, მისი მარცხიც ამას უნდა მივაწეროთ, სხვებს კი აჯობა.

დაბოლოს, **ლაშა გუჯეჯიანი**, რომელიც მართლაც ბევრად უკეთესად



მწვრთნელთა საბჭო: გურამ რატიშვილი, შოთა ხაბარელი, ბიძინა მოხეიშვილი

გამოდის. ხაბარელი ხშირად აღნიშნავდა, რომ მან მნიშვნელოვნად მოუმატა და ურიგოდ ნამდვილად არ ჭიდაობდა. ყოველი შეხვედრის დამთავრებისას საევროპო ხალხს პულსს უსინჯავდნენ და თუ ექიმებს ვენდობით, დამაიმედებელი სურათია.

ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაურიც** მთელი დატვირთვით ვარჯიშობდა. ჩანს, სერიოზულად გადააფასა ვითარება და მსოფლიო ჩემპიონატისთვის ნაკრებში დაბრუნება გულით სურს.

სანაკრებო თემას არ ეხება, მაგრამ ზვიადაური ვახსენეთ და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, თურმე იმ დარბაზს ახმეტაში, სადაც ვარჯიში დაიწყო, ახალი ტატამი დღემდე არ აღირსეს. არადა, თავდაპირველად ისე ვიცოდით, თითქოს გადასცეს. ჩვენი ინფორმაციით, დარბაზის რემონტი უკვე მთავრდება, მაგრამ ტატამს ჯერ ვერ ჰპირდებიან.

დილის ვარჯიშის დამთავრების შემდეგ ბელგრადში წამსვლელ ფალავნებსა და ხაბარელს კომენტარები ვთხოვეთ.

ნესტორ ხერგიანი: - მოსამზადებელი პერიოდი კარგად გავიარე, კმაყოფილი ვარ. მთავარია, სუნთქვა კარგი მაქვს. აგერ, ოთხი შეხვედრა ჩავატარე და არ დავღლილვარ, თითქოს არც მიჭიდავია. ვნახოთ, განწყობა კარგია, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს, მაგრამ წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

ზაზა კედელაშვილი: - შარშანდელი სეზონი უკვე ისტორიაა. შარშან მოპოვებული ევროპის ჩემპიონობისთვის ქომაგისა თუ ქვეყნისგან საკადრისი მივიღე, ახლა კი წინ ახალი მიზნებია. ვეცდები, ევროპის პირველობაზე შარშანდელი შედეგი გავიმეორო და ისევ ჩემპიონი გავხდე. კარგად ვივარჯიშე, თავი არ დამიზოგავს და კარგად მოვემზადე. მადლობა ღმერთს, ტრავმები არ მაწუხებს.

დავით ქევხიშვილი: - ვერ ვიტყვი, რომ ძალიან კარგად ვარ მომზადებული, მაგრამ არც ძალიან ცუდად. ყოველ შემთხვევაში, ჭიდაობა შეიძლება, თუმცა მუხლში წყალი ისევ მიდგება. ამ ეტაპზე ყველაზე მეტად მაინც ფიზიკური მომზადება მაკლია, რადგან ამ ტრავმის გამო ბოლომდე ვერ ვიტვირთებოდი. მართალია, წლეულს არც ტურნირებში გამოვსულვარ, მაგრამ ფსიქოლოგიურად არ მეშინია - გამოცდილების ხარჯზე ამას დავძლევ და ვეცდები, ძალებიც ისე გავანაწილო, გამძლეობა ბოლომდე მეყოს.

გიორგი ბაინდურაშვილი: - კარგად გავიარეთ ორი შეკრება - ფიზმომზადებაშიც და ტატამზეც. ევროპის პირველობისთვის კარგად მოვემზადე. სამი წელიწადია, რაც სამბოდან ძიუდოში გადმოვედი, მაგრამ რაღაც მაინც მაკლდება, პატარა შეცდომებს მაინც ვუშვებ. ვეცდები, ეს ევროპის პირველობაზე გამოვასწორო.

ირაკლი ცირეკიძე: - შეკრებები კარგად გავიარეთ, თავს კარგად ვგრძნობ და არც ტრავმები მაწუხებს. ცოტა ფეხი კი მაწუხებდა, მაგრამ უკვე გამიარა და სრულად ვიტვირთები. მე ვიბრძოლებ და, იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

ლომერ ჟორჟოლიანი: - რაც მთავარია, ტრავმები არ მიმიღია და აქამდე ჯანმრთელად მოვედი. შეკრებები მთლიანად გუნდმა კარგად გავიარეთ, ბიჭები კარგ ფორმაში არიან. მეც კარგად ვგრძნობ თავს და რაც შემიძლია, ვიბრძოლებ, თუმცა შედეგზე ჯერ არ ვილაპარაკებ. ალბათ, ძირითად მეტოქეებად მაინც რუს გასიმოვსა და ებრაელი ზეევს დავასახელებ, თუმცა ბევრია ისეთი, ვისაც მედლისთვის ბრძოლა შეუძლია.

ლაშა გუჯეჯიანი: - ევროპის პირველობისთვის ნაკრები ძალიან კარგად ემზადებოდა. ბიჭებს თავიც კი არ წამოსტკენიათ, ისე მოვედით აქამდე. ამ ტურნირისთვის მზადების პერიოდში ნაკრებიდან ამოვარდნის საფრთხის წინაშე დავდექი. როცა ეს ვიგრძენი, გადავწყვიტე, თუ ვიქნები ნაკრებში, ვიყო იმდენად მყარად, რომ შედეგი გავაკეთო, თორემ მხოლოდ პირველი ნომრობა არაფერია. ამიტომ გაათმაგებულად ვვარჯიშობდი. გასაგებია, რომ ამხელა ტურნირზე მიმავალს ამბიციებიც უნდა მქონდეს, მაგრამ ამ ტურნირზე მედლის მოპოვება ჩემთვის ფსიქოლოგიურად ძალიან მნიშვნელოვანია. ხარისხს მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, მედალი მოვიპოვო.

შოთა ხაბარელი: - ევროპის პირველობისთვის მოსამზადებელი ციკლი კარგად ჩავატარეთ და გუნდი ნორმალურადაა მომზადებული. მიმაჩნია, რომ მედლისთვის ბრძოლა ყველას შეუძლია. ბუნებრივია, არ ვამბობ, რომ ჯილდოს ყველა მოიპოვებს, მაგრამ მედლისთვის ბრძოლის პოტენციალი ყველას გააჩნია. ბოლო შეკრებას ამ დარბაზში გავდივართ, რომელსაც სამშაბათს დავამთავრებთ. აქ ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური მომზადებისთვის. სტადიონიც აქვეა, დარბაზიც მშვენიერია, სასადილოც კარგი... ერთი სიტყვით, რაც სპორტსმენს სჭირდება, ყველაფერი ადგილზეა. დიდი მადლობა ლერი ხაბელოვს, ასეთი კარგი კომპლექსი რომ ააშენა ქართული სპორტისთვის.

ავტორის ფოტოები

ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

იმედმა იმედიანად წააგო

ქარიშხალა-მამული 29:22

ქარიშხალა: გ. ტორონჯაძე, ქანთარია, ი. ტორონჯაძე (4), ჩიხლაძე (1), სხიერელი (2), მელქოშვილი (11), ლობჟანიძე (1), ჯობავა (1), ფერაძე (4), ო. ამირანაშვილი (5), მუმლაძე, ა. ამირანაშვილი, დ. სეთურიძე

მამული: ხონელიძე, ადუაშვილი, მამაცაშვილი (1), მოციქულაშვილი (3), გველესიანი (6), შონია (11), ბესტავაშვილი (1), კიზირია, შალვაშვილი, დორეული

მსაჯები: ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

იმედი-შევარდენი 28:31

იმედი: გონჩაროვი, ვახანია, ლომიძე, ულენტი (3), ქარდავა (7), ბერიაშვილი, კერესელიძე, ყაველაშვილი (8), საბანაშვილი, თეთრუაშვილი (1), მაისურაძე (8), ცოტაძე (1), ბიდოდაშვილი

შევარდენი: სამყურაშვილი, გოგალაძე, ქობელაშვილი (1), ყიფიანი (3), სიგუა (3), ბერძენიშვილი (7), მსხვილიძე (7), გ. ჩიქოვანი (2), კობახიძე, საჯაია, ი. ჩიქოვანი (1), ჩუბინაშვილი, ტალახაძე (8)

მსაჯები: ელენე არაბული, ნინო ელოშვილი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
სტუ	10	9	0	1	+110	18
თბილისი	9	8	0	1	+100	16
ქარიშხალა	9	4	1	4	-1	9
იმედი	10	2	1	6	-70	5
მამული	10	0	0	10	-139	0

ბომბარდირები: **გიორგი წივწივაძე (თბილისი, 82), რამაზ შონია (მამული, 80), აკაკი ტალახაძე (სტუ, 66)**

ზედიზედ 10 მატჩის წამგები "მამული" გუშინ საკმაოდ ახლოს იყო მიმდინარე ჩემპიონატში პირველ გამარჯვებასთან. **რეზო ჭანტურაიას** გუნდმა თანაბარ ბრძოლაში წარმართული პირველი ტაიმი მინიმალური სხვაობით მოიგო, თუმცა, მეორე ნახევარში, ძირითადად, ვეტერანი ხელბურთელებით დაკომპლექტებულმა "მამულმა" ნელნელა მოუკლო, დაღლა დაეტყო და ინიციატივა მთლიანად ჯეელ მასპინძლებს დაუთმო. მასპინძელი ვახსენეთ და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ თუკი აქამდე "მამული" საშინაო მატჩებს გლდანში ატარებდა, ამიერიდან, ყველა შეხვედრას მეტოქის მოედანზე გამართავს.

ტურის მეორე მატჩში კი კიდევ ერთი აუტსაიდერი "იმედი" აშკარა ფავორიტ სტუ-"შევარდენს" დაუხვდა. "იმედმა" წინა დღისით, "თბილისს" საკმაოდ მედგარი ბრძოლა გაუმართა, მხოლოდ ბოლო წუთებზე დამარცხდა და გუშინწინ აღებული ინერცია გუშინდლამდე მოჰყვა.

მატჩის პირველი ნახევარი გოლი-გოლზე მიდიოდა. "იმედმა" პირველად და როგორც აღმოჩნდა, უკანასკნელად, საწყის წუთებზე შეძლო დანინაურება 2:1. ამის შემდეგ, სტუ მუდამ წინ კი იყო, მაგრამ მეტოქე იმხელა სხვაობით დანინაურების საშუალებას არ აძლევდა, რომ თავი ქუდში ეგრძნო. შესვენებაზე სტუელები მხოლოდ მინიმალური უპირატესობით გავიდნენ – 14:13.

მეორე ტაიმშიც, მოვლენები თითქმის ბოლომდე ანალოგიურად ვითარდებოდა. "ტექნიკოსები" ყველაზე დიდი, 4 ბურთით თუ გადიოდნენ წინ. აღსანიშნავია, რომ "იმედის" თავკაც **ლევან ოსიყმაშვილს** ასისტენტობას უწევდა ვეტერანი ხელბურთელი **შვანგირაძე**, რომელიც თავისი ემოციურობითა და ენაკვიმატობით გვარიანად ახალისებდა მაყურებელსაც და მოედანზე მყოფ ხელბურთელებსაც.

საბოლოოდ, სტუ-"შევარდენის" მაღალმა კლასმა და გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა. ბოლო ათწუთიან მონაკვეთში, **ირაკლი კეკელიძის** შეგირდებმა მაქსიმალურად ისარგებლეს მეტოქის შეცდომებით და რთულ ბრძოლაში, მატჩი საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანეს.

იმის გამო, რომ 6-8 აპრილს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე თამაშობს, მომდევნო ტური აღდგომის შემდეგ, 12 აპრილს გაიმართება. ამ დღეს, 14 საათზე, "ქარიშხალა" გლდანში მიიღებს "თბილისს", ხოლო 16 საათზე, "იმედი" ასკის მოედანზე დაუხვდება "მამულს".

კობა ხატისაშვილი

თბილისი

31 მარტი, 1942 წ. - დაიბადა **ომარ ბლიაძე**, თბილისი - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (87 და 90 კგ). ევროპის ჩემპიონი (1968) და მეორე პრიზიორი (1972), მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1969), სსრკ ჩემპიონი (1968), სსრკ ხალხთა IV და V სპარტაკიადების მეორე პრიზიორი (1967, 71), ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, იაპონიისა და უნგრეთის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

რვავე ნახევარფინალშია

კრივი. როგორც გუშინ გაცნობეთ, საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ნაკრები წლის პირველ საერთაშორისო ტურნირზე იმყოფება ბაქოში. გუშინ კრივის ფედერაციიდან გვაცნობეს, რომ მეოთხედფინალში რვავე ქართველმა მოკრივემ გაიმარჯვა და ნახევარფინალში გავიდა: **ზვიად ხადური** (48 კგ), **კობა ფხაკაძე** (57), **ვასილ ყაზიშვილი** (60), **ლევან ღვამიჩავა** (64), **კახა ჟვანია** (69), **გიორგი ნაკანი** (75), **დავით ნიკლაური** (81) და **ბექა ლობჟანიძე** (+91)

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენის კავალერი

ომარ მერაბიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია სამძიმარს უცხადებს ამავე აკადემიის მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ტრისტან გულბიანს მეუღლის გარდაცვალების გამო

სპორტის აკადემია

N 3 (39)
მარტი
2007 წელი

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის გამოცემა

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია
ანცხადებს

მიღებას 2007/08 სასწავლო წლისთვის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის შემდეგ სპეციალობებზე:

ა) მწვრთნელის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, რაგბი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, აღმოსავლური ორთაბრძოლები, ფარიკაობა, მშვილდოსნობა, ტყვიის სროლა, თანამედროვე ხუთჭიდი, ცხენოსნობა, ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, სინქრონული ცურვა, აკადემიური ნიჩბოსნობა, ბაიდარა, კანოე, ძალოსნობა, ათლეტიზმი, მკლავჭიდი, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, ბატუტი, სპორტული ცეკვები, მძლეოსნობა, კრივი, ველოსპორტი, ჭადრაკი, მეკლდეურობა, ალპინიზმი, ტურიზმი, სამთო თხილამურები, თხილამურებით რბოლა, ტრამპლინიდან ხტომა, რეაბილიტაცია ფიზიკური ვარჯიშებით).

ბ) პედაგოგიური სპეციალობა (ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი).

1. ღია კარის დღე დანიშნულია 28 მაისს, 4 ივნისს და 11 ივნისს 12 საათზე.

2. 7 მაისიდან 11 ივნისის ჩათვლით ფუნქციონირებს ერთთვიანი მოსამზადებელი კურსები საერთო ფიზიკურ მოშზადებაში. სწავლება ფასიანია (სწავლების ღირებულება 100 ლარი).

3. აკადემიაში შემსვლელი აბიტურიენტებისთვის გამოცდა (საერთო ფიზიკური მოშზადება) ჩატარდება 18 ივნისიდან 23 ივნისის ჩათვლით.

4. აბიტურიენტმა სამედიცინო შემოწმება სავალდებულოა გაიაროს აკადემიაში.

5. საბუთების მიღება (რეგისტრაცია) 7 მაისიდან 11 ივნისის ჩათვლით, 10-დან 16 საათამდე, კვირის გარდა (რეგისტრაცია ფასიანია. ფასი 15 ლარი)

მიმღები კომისია

მიღებაზე აკადემიის რექტორთან, პროფესორ ჯემალ გუგუშვილთან

2007 წლის ჰოლანდიის ღია საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული გუნდი, მარცხნიდან: რატი წითელაძე, ლაშა ხაჭაპურიძე, ნაკრების მწვრთნელი ირაკლი დოლაბერიძე და ედუარდ ჯანოაშვილი.

აკადემიისა და საქართველოს სახელით

ჰოლანდიის ქალაქ ტრახტენში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი კიოკუშინკაი კარატეში, სადაც საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, რომელიც ყველა ოფიციალურ შეჯიბრებებში საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სახელით ასპარეზობს, დიდ წარმატებას მიაღწია.

სამ წონით კატეგორიაში სხვადასხვა ქვეყნის, სრული კონტაქტის საშეჯიბრო წესებით მოასპარეზე კარატეს სხვადასხვა ხაბრძოლო სახეობების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ.

ჩვენი სპორტსმენების ოსტატობამ დიდი ინტერესი გამოიწვია ჰოლანდიის სპორტულ ჟურნალიტებში. ისინი პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ ფინალურ ორთაბრძოლებს.

70 კგ.მდე წონით კატეგორიაში, ევროპის ორგზის ვერცხლის პრიზიორმა, 2005 წლის ევროპის ნაკრების წევრმა, საქართველოსა და საერთშაორისო ტურნირების არაერთგზის ჩემპიონმა ლაშა ხაჭაპურიძემ ოქროს მედალი და ტურნირის ყველაზე ტექნიკური მებრძოლის პრიზი დაისაკუთრა. ყველაზე პრესტიჟული +80 კგ. ზევით აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ჩემპიონობა არავის დაუთმო ევროპის ახალგაზრდული პირველობის გამარჯვებულმა ედუარდ ჯანოაშვილმა. ამ სპორტსმენმა ეფექტური, შთამბეჭდავი ორთაბრძოლებით დაამახსოვრა თავი გულშემატკივრებს. ხოლო - 80 კგ.-მდე წონით კატეგორიაში, საქართველოს ჩემპიონმა, საერთშაორისო ტურნირებისათვის შედარებით ახალგაზრდა ბათუმელმა სპორტსმენმა, რატი წითელაძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

საბოლოო ჯამში, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სახელით მოასპარეზე სტუდენტებმა ჩვენ ქვეყანას ოქროს ორი, ბრინჯაოს ერთი და გუნდური პირველი ადგილი მოუტანეს.

ირაკლი დოლაბერიძე

საქართველო და ყინულის ჰოკეი? რატომაც არა!

ჰოკეი ჩვენში კვლავ გაიხსენეს და მომავალს იმედის თვალით შეჰყურებენ...

საქართველოში ყინულის ჰოკეი პირველად 1960 წელს ბაკურიანში "დააჭაშნიკეს". 1962 წელს ჩვენმა ნაკრებმა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაშიც იასპარეზა, შემდეგ ჰოკეისადმი ყურადღება საქართველოში მინელდა. 1979 წლიდან 1990 წლამდე კი სარბიელზე ქართველ ჰოკეისტთა მეორე თაობა გამოჩნდა. 2004 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაცია შეიქმნა (პრეზიდენტი დენის დავიდოვი) და სპორტის ამ სახეობამ ახალი წელთაღრიცხვა დაიწყო.

"საქართველოს ჰოკეისტთა ეროვნული ნაკრები 2008 წელს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, მე-3 დივიზიონში ითამაშებს, ხოლო თუ სად და როგორ ჩატარდება ეს შეხვდერები, გაირკვევა 2007 წლის სექტემბერში, ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამართულ კონგრესზე, სადაც ჩვენი ფედერაციაც იქნება წარმოდგენილი. ამჟამად საერთაშორისო ფედერაციაში განევრიანების სტადიაში ვიმყოფებით და სავარაუდოდ, ყველაფერი მაისისთვის დასრულდება". - ამბობს დენის დავიდოვი.

- როგორც ჩანს, სერიოზული გეგმები გაქვთ, როდის და რა პრინციპით შეირჩევა ნაკრების კანდიდატები?

- ნაკრები დაკომპლექტდება საქართველოს ჩემპიონატის მიმდინარეობის პროცესში, რომელიც სტარტს მალე, სავარაუდოდ აპრილისთვის აიღებს, ჯერჯერობით სპონსორებთან მიდის მოლაპარაკება. ნაკრების ძირითადი ბირთვი მაინც ჩვენი ჩემპიონატის დასკვნით ნაწილში გამოვლინდება, რომელიც 2008 წლის იანვარში ბაკურიანში ჩატარდება.

გაგრძელება მომდევნო გვერდზე

ტრადიციები ფუძემყარი, დონე მაღალი

მეზობელ თურქეთში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტებს ქვეყნის 43 უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე ამზადებენ, სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის სპეციალობით - მხოლოდ ერთეულები. თურქები დეფიციტის შევსებას ახერხებენ საქართველოს სპორტის აკადემიასთან ურთიერთობით, სადაც ხსენებული სპეციალობით კადრების მომზადების ფუძემყარი ტრადიციებია და, რაც მთავარია, დონეა მაღალი.

თურქი კოლეგები ყველაფერს აკეთებენ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიასთან ურთიერთობის გასაღრმავებლად. ახლახან, სწორედ ამ მიზნით მიიწვიეს თურქეთში ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ასოცირებული პროფესორი ვასილ ბაკაშვილი და უცხოელ სტუდენტთა განყოფილების უფროსი გია ოქრიაშვილი.

"ჩვენი გამგზავრების ძირითადი მიზანი იყო სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ თურქეთის სამედიცინო დაწესებულებებში პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგი", - ამბობს ბატონი ვ. ბაკაშვილი.

- რატომ არ შეიძლებოდა თურქ სტუდენტებს პრაქტიკაც საქართველოში გაევლოთ?

- შეიძლებოდა, როგორ არა. მაგრამ ისინი ხომ თავიანთ ქვეყანაში უნდა დაბრუნდნენ სამუშაოდ. ამიტომ უმჯობესია იქ გაიარონ პრაქტიკა, სადაც იმუშავებენ. ეს დააჩქარებს ადაპტაციას და პრაქტიკა მიახლოებული იქნება იმ რეალობასთან, სადაც დიპლომირებული ახალგზარდა კადრები იმუშავებენ.

- კმაყოფილნი არიან კლინიკები სტუდენტ-პრაქტიკანტთა განათლებით?

გ. ოქრიაშვილი: დაბეჯითებით შემიძლია მოგცეთ დადებითი პასუხი. სტუდენტები კარგად იყენებენ თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში. დავძენ, რომ ყველა ჩვენი თურქი სტუდენტი კერძო კლინიკაში გადის პრაქტიკას. ჩინებულად აღჭურვილი ობიექტებია.

- რა სპეციალობით გადიან პრაქტიკას?

- თურქეთში არ არსებობს მასაჟისტისა და მეთოდისტის სპეციალობა. ყველა ფიზიოთერაპევტია. სტუდენტებმა გარანტირებულ სამუშაოზე შეთავაზება უკვე მიიღეს. დიდია მოთხოვნა ამ დიპლომირებულ სპეციალისტებზე. ეს ხომ სახელმწიფო შეკვეთაა.

ვ.ბაკაშვილი: ახლა მიმდინარეობს მუშაობა კონტიგენტის გაზრდასთან დაკავშირებით. ძალიან აქტიურობს საქართველოში თურქეთის საელჩოს განათლების მრჩეველი მელიქ იაიანი. ფირმა "თაკოს" მეშვეობით თურქეთში ჩვენი მივლინებაც მისი თაოსნობით დაფინანსდა. მადლობა მათ.

- სხვა ფაკულტეტებზე ჩვენთან არ სწავლობენ თურქი სტუდენტები?

- როგორ არა. 150-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო დიპლომი, როგორც სამკურნალო-რეაბილიტაციის, ისე მწვრთნელისა და პედაგოგის სპეციალობით. ამჟამად 65 თურქი სტუდენტი გვყავს. მათგან 8 მოსამზადებელ განყოფილებაზეა. აქვე გეტყვით, რომ თუ ადრე პედაგოგიურ ფაკულტეტზე ჭარბობდა მოთხოვნა, ახლა პრიორიტეტს ანიჭებენ სამკურნალო ფაკულტეტს.

- რა სპეციალობა ჭარბობდა, კურსდამთავრებულებში?

- თავიდან ფეხბურთის მწვრთნელობაზე იყო დიდი მოთხოვნა.

- თურქეთში ვიზიტისას კოლეგების საქმიანობას თუ გაეცანით...

- პროგრამა საინტერესოდ იყო შედგენილი. ბევრი რამ ვნახეთ, გავეცანით კადრების მომზადების თავისებურებებს. შევთანხმდით ურთიერთთანამშრომლობაზე.

- ჩვენთან შედარებით განსხვავებული სპეციალობით თუ ამზადებენ კადრებს?

- მასწავლებლებისა და მწვრთნელების გარდა, იქ ამზადებენ მენეჯმენტის სპეციალისტებსა და სპორტულ დირექტორებს.

- უცხოელები თურქეთში თუ სწავლობენ?

- ქ. ანტალიაში უნივერსიტეტის ფაკულტეტზე 6 უცხოელი ჰყოლიათ. სულ ესაა. ჩვენთან კი, როგორც გითხარით, ამჟამად 65 თურქი სწავლობს.

- ანტალიაში, იმ უცხოელებში, საქართველოდანაც ხომ არ სწავლობს ვინმე?

- არა.

ესაუბრა
თენგიზ თომაშვილი

შემდეგ გვერდზე გამოქვეყნებული პროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. გოგია; 4. რეკორდი; 9. ბიგანიშვილი; 10. ლილე; 11. სპრინტი; 12. ანჩელოტი; 14. შინო; 15. ტირე; 17. შხარა; 22. იუტა; 24. ვეა; 25. რეპაგელი; 27. ანი; 28. ციურიხი; 29. ანანდი; 30. ალი.

შვეულად: 2. ოლიმპი; 4. რავა; 5. კოლინა; 6. დალგლიში; 7. ფინტი; 8. პლატინი; 13. სტეინიცი; 16. რატი; 18. ხარიხა; 19. როპო; 20. ტალინი; 21. პარიზი; 23. იგენი; 26. ფრე; 27. აია.

სპორტის აკადემია

N 3 (39)
მარტი
2007

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფორმა

დეპარტამენტები აკადემიაში

საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესაბამისად, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში ჩამოყალიბდა შემდეგი დეპარტამენტები:

1. სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის (ხელმძღვანელი - პროფესორი ი. დოლიძე);
2. მედიკო-ბიოლოგიური მიმართულების (ხელმძღვანელი - პროფესორი დურმიშხან ჩიტაშვილი);
3. სპორტული თამაშების (ხელმძღვანელი - პროფესორი გ. გიკაშვილი);
4. სპორტის გამოყენებითი სახეობების (ხელმძღვანელი - პროფესორი ჯ. ზალდასტანიშვილი);
5. სპორტის მასობრივი სახეობების (ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ნ. ბერიანიძე);
6. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის (ხელმძღვანელი - პროფესორი გ. კახიძე);
7. სამართალმცოდნეობის (ხელმძღვანელი - პროფესორი შ. ფაფიაშვილი);
8. ჰუმანიტარული დისციპლინების (ხელმძღვანელი - პროფესორი რ. კალანდაძე).

შეიქმნა აგრეთვე უცხოური ენების ცენტრი (ხელმძღვანელი - თ. ცხოვრებაძე).

მოთხოვნელობა, მაგრამ ჰუმანურობა

სპორტის აკადემია, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, საქართველოში დღეს სამაგალითო უმაღლეს სასწავლებლად შეიძლება ჩაითვალოს განათლების რეფორმის ჩატარებისა და უკვე მიღწეული შედეგების თვალსაზრისით. რაც მთავარია, რეფორმა აქ მიმდინარეობდა და მიმდინარეობს შემოქმედებითად. ძირითადი მოთხოვნები და მიმართულებები თავისთავად, სასწავლებლის სპეციფიკურობის ნიუანსების გაუთვალისწინებლად რეფორმა ვერ იქნება სრულყოფილი, ზემოდან თავსმოხვეულად შეიძლება გამოჩნდეს. სპორტის აკადემიის მაგალითზე ყველა გრძნობს და ხედავს, რომ სწორედ ამ სპეციფიკურობისა და ამ ნიუანსების შემოქმედებითი გათვალისწინებაა სრულქმნილი რეფორმის მყარი გარანტი.

აკადემიაში უკვე შემუშავდა საკუთარი სამოქმედო წესდება. სამართლებრივადაა გაწერილი ყველანაირი მსხვილმან-წვრილმანი, რასაც წინ უსწრებდა წესდების პროექტის ჯერ საჯარო, შემდეგ აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილვა. დიდი ხანი არაა, რაც საბჭოს ამავე სხდომაზე ზამთრის სესიის შედეგების მიხედვით 92 სტუდენტს გაუგრძელდა ან დაენიშნა ფრიადოსნის სტიპენდია, მათ შორის 9 სტუდენტს სახელობითი სტიპენდია. აქვე გვინდოდა მოგვეტანა მოუსწრებლობა-დაუსწრებლობის მიზეზით აკადემიიდან სტუდენტთა გარიცხვის სტატისტიკაც, მაგრამ თავს ვიკავებთ, თუნდაც იმიტომ, რომ ზოგიერთის გარიცხვის ბრძანებაზე ჯერ ხელი არ მოუწერია რექტორს. სასწავლებელში ჰუმანური მიდგომები დომინირებს და არცაა გასაკვირი. აბა, სად, რომელ უმაღლეს სკოლაში შემოინახავენ თანამშრომელს, რომელსაც ასაკი კი არა, მუშაობის 60 წლის სტაჟი აქვს. აკადემიაში სწორედ 60 წელიწადი გაატარა ლარისა ბერიევამ, რომელიც ჭიდაობაში ერთადერთი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯია ქალთა მსოფლიოში. მისი ღვაწლიც ჯეროვნად დაფასდა.

თვალს ახარებს აკადემიის როგორც შიდა სივრცე (ამ დღეებში აქ პალმებიც გაჩნდა), ისე ეზო-გარემო, რომლის გამშვენიერებაზე თვით სტუდენტები აქტიურობენ და ზრუნავენ.

აკადემიაში დამთავრდა დეპარტამენტების ჩამოყალიბების პროცესი. შეიქმნა სასწავლო-მეთოდური სამსახური, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ანა ბოკუჩავა. მზადების პროცესშია სტუდენტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. გამოიცემა რეფერირებული სამეცნიერო პერიოდული ჟურნალი.

საქართველო და ყინულის ჰოკეი? რატომაც არა!

ჰოკეი ჩვენში კვლავ გაიხსენეს და მომავალს იმედის თვალით შეჰყურებენ...

ნინა გვერდიდან

- ამჟამად საქართველოს საუკეთესო მოთამაშეები ვინ არიან?

- თბილისში საუკეთესო ჰოკეისტი 15 წლის მიშა დავითაშვილია, თუმცა საქართველოს მასშტაბით ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა ბაკურიანელებს ჰყავთ - 17 წლის ბაჩო ოგანეზიანი, ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ერთადერი სტანდარტული მოედანი სწორედ ბაკურიანშია და სპორტსმენთა მომზადების დონეც შესაბამისად მაღალია. ასევე დიდი იმედი გვაქვს, რომ რუსეთის სახელით მოასპარეზე 23 წლის გიორგი გელაშვილი, რომელიც ჩელიაბინსკის "ტრაქტორში" თამაშობს, ნაკრებში მიწვევაზე უარს არ გვეტყვის, შესაძლებელია სულაც დაგვიბრუნდეს.

- სადღეისოდ რამდენი ჯგუფი მუშაობს?

- გულმოდგინედ მეცადინეობს უმცროსი და უფროსი ასაკის სამ-სამი ჯგუფი და ორიც დამწყებთათვის. საქართველოს მასშტაბით კი სულ 140 მოთამაშე გვყავს. საბედნიეროდ, მსურველთა რაოდენობა დღითიდღე მატულობს, თანაც სულ რჩეულები მოდიან, ხომ იცით, ჰოკეის ვაჟკაცები თამაშობენ. თუ აზარტული, უშიშარი და ძლიერი არ ხარ, ვერ ითამაშებ, საკმაოდ რთული და დინამიური სპორტია.

რაც შეეხება დატვირთვას, უფროსებიც, და უმცროსებიც კვირაში ორჯერ ვარჯიშობენ, ერთხელ საკონტროლო შეჯიბრება აქვთ. ეწყობა შეკრებები.

- კვირაში ორჯერ ვარჯიში განა საკმარისია?

- რა თქმა უნდა, არა. მეტის საშუალება რომ იყოს, უკეთესია, მაგრამ მოედნის პრობლემაა, იჯარით გვაქვს აღებული და დრო ცოტა გვაქვს... ფულიც. აღსანიშნავია, რომ თბილისის მოედნები სტანდარტული რომ იყოს, მომეცადინეთა რიცხვი ბევრად მეტი იქნებოდა. ჩვენი მოედნები სტანდარტულის მხოლოდ მესამედია.

- თქვენს გარდა ვინ არიან მწვრთნელები?

- მეხმარება კანადელი პატრიკ ფრეიზერი - ჩვენი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ირაკლი ზაალიშვილი - საქართველოს ნაკრების წევრი, კოტიკო ბახუტაშვილი, ილია დავიდოვი და ბელარუსი სერიოჟა ტიხონოვი. გარდა პატრიკისა, მეორე ვიცე-პრეზიდენტია ბესო ცინცაძე, რომელიც ამერიკაშია და პიტსბურგის "პინგვინებს" წვრთნის.

- თქვენ თქვით, რომ ჩემპიონატი აპრილისთვის აიღებს სტარტს, უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის რა იგეგმება?

- მოზარდთა პირველობაც მალე დაიწყება, ხელისშემშლელი ფაქტორი ორია - ბაზა და სპონსორთა მოძიება.

- უახლოეს გეგმებში რა შედის?

- ვამზადებთ ინტერნეტში ვებგვერდს, ვმუშაობთ მსაჯთა მომზადებაზე. როგორც კი საერთაშორისო ფედერაციაში გავწევრიანდებით, ჩვენს მსაჯებს კვალიფიკაციის ამაღლება უცხოეთშიც შეეძლებათ და ლიცენზიის მოპოვების შემთხვევაში, საერთაშორისო თამაშებსაც იმსაჯებენ. საერთაშორისო ფედერაციის მეშვეობით, გამოცდების ჩაბარების შემდეგ, მწვრთნელებსაც მიეცემათ შესაძლებლობა, მოიპოვონ შესაბამისი სერთიფიკატი. სპონსორების დახმარების შემთხვევაში, კი შესაძლოა "კემპზე" წასვლა, ანუ ჩავიდეთ სხვა ქვეყანაში, მაგალითად, ჩეხეთში და იქ მომუშავე პროფესიონალ მწვრთნელებთან დონე ავიმაღლოთ.

- ქართველები ჰოკეის არატრადიციულ სპორტს უწოდებენ, თქვენ რას ეტყოდით მათ?

- არატრადიციულობაზე როგორ შეიძლება ლაპარაკი, როცა საქართველოში ჰოკეის მე-3 თაობა არსებობს. ამჟამად საკმაოდ პერსპექტიულ მოთამაშედ მიჩნეულია საქართველოს ნაკრების წევრის - ირაკლი ნატროშვილის შვილი, 9 წლის საბა, ირაკლის მამა, გოგი ნატროშვილი კი საქართელოს ნაკრების პირველი კაპიტანი იყო. თუმცა ტრადიციებს განმტკიცება სჭირდება, ამისთვის კი დროა საჭირო, დაახლოებით ათი წელიწადი მაინც, რათა კლუბებმა საქართველოს გარეთ ითამაშონ. ამ ეტაპზე კი მხოლოდ ოთხი კლუბი გვყავს, აქედან სამი თბილისში - "ყინულის რაინდები", "რუხი მგლები", "ცეცხლოვანი ჯვაროსნები" და ერთიც ბაკურიანში - "მიმინო". ასე რომ, ქართულ ჰოკეის, ვფიქრობ, კარგი მომავალი აქვს, ცხადია, მხარდაჭერის გათვალისწინებით.

თიკა ასლანიშვილი,
აკადემიის მწვრთნელთა და სპორტული ჟურნალისტიკის ფაკულტეტის III კ. სტუდენტი

წიგნის თარო

მნიშვნელოვანი შენაძენი

როგორც ტყვიან, "ყინული დაიძრა" და ამ ბოლო წლებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში ქართულ ენაზე მრავალი, მეტად საყურადღებო წიგნი გამოვიდა, რითაც საგრძნობლად შეივსო არსებული ლიტერატურის მოკრძალებული არსენალი. ამ ცოტა ხნის წინათ, გამომცემლობა "უნივერსალმა" პროფ. თ. გაჩეჩილაძის რედაქტორობით დასტამბა და გამოსცა სპორტის დამსახურებული მუშაკის, საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის დავით კინწურაშვილის საინტერესო წიგნი "ანტიკური ოლიმპიადიდან დღემდე". იგი უნიკალური ნაშრომია და ერთდროულად მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური კომპლექსური სპორტული შეჯიბრებების ოლიმპიური თამაშების ისტორიაცაა და, გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, ყოველისმომცველი უნიკალური ცნობარიც. ამ წიგნში მკითხველი იპოვის ყველა იმ კითხვის ამომწურავ პასუხს, რაც კი ოლიმპიურ თამაშებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. საინტერესოა წიგნის არქიტექტონიკა, იგი შედგება ორი ნაკვეთისაგან. I - ანტიკური ოლიმპიადიდან დღემდე და II - ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ციფრებში.

პირველ ნაკვეთში მოცემულია 1896 წლიდან 2004 წლამდე ჩატარებული ყველა 28 ოლიმპიური თამაშების დახასიათება, დაწყებული თამაშების ჩატარების ადგილით, მთელი მისი პერიპეტიებითა და სპორტული შედეგებით.

მეორე ნაკვეთში მეტად სკურპულოზურად მოცემულია ოლიმპიური თამაშების სპორტის ყველა სახეობაში ნაჩვენები შედეგების ციფრობრივი მონაცემები.

დაინტერესებული პირი აქ ყველა საინტერესო მოვლენებს გაეცნობა, რაც ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ასპარეზობის პროცესში ხდებოდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს დ. კინწურაშვილის მიერ გაწეული იმ კოლოსალური შრომის შესახებ, რაც ავტორს ჩაუტარებია წიგნი-ცნობარის მომზადებისთვის. იგი ერთი ადამიანისთვის უდაოდ ძალზე დიდი ტვირთია, რომელიც მან წარმატებით დასძლია და რისთვისაც ის მკითხველის მადლობას აუცილებლად დაიმსახურებს. წიგნი მხატვრულად კარგადაა გაფორმებული დიზაინერ თ. ჩობანიძის მიერ.

არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა, რომელიც დაუცხრომლად ზრუნავს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ლიტერატურის გამოცემაზე. ეს მეტად საჭირო და საინტერესო წიგნიც მისი ხელმძღვანელობით დაისტამბა. ვფიქრობთ, სპორტის მუშაკებისთვის, სპორტით დაინტერესებულთათვის და სპორტის აკადემიის სტუდენტებისთვის ეს წიგნი უდავოდ, ძვირფასი საჩუქარია.

გოული კახიძე, შოთა ბუაძე
პროფესორები

ვიქტორინა

1. რომელ წელს ჩატარდა პირველი ოლიმპიური თამაშები?
ა - 1892 წელს
ბ - 1896 წელს
გ - 1900 წელს

2. ვინ იყო საბჭოთა მძლეოსნობის ისტორიაში პირველი მსოფლიო რეკორდსმენი?
ა - ვასილი რუდენკოვი (ურო)
ბ - კლავდია ტოჩენოვა (ბირთვი)
გ - ნინო დუმბაძე (ბადრო)

3. დაასახელეთ ძალოსნობაში ევროპის პირველი ჩემპიონი საქართველოდან
ა - რაფაელ ჩიმიშკიანი
ბ - ვლადიმერ სვეტილკო
გ - დიტო შანიძე

4. ვინ იყო საქართველოდან პირველი მსოფლიო ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში?
ა - როსტომ აბაშიძე
ბ - გივი კრატოზია
გ - ავთანდილ ქორიძე

5. დაასახელეთ საქართველოდან პირველი მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში
ა - გიორგი სხირტლაძე
ბ - ვლადიმერ რუბაშვილი
გ - ვახტანგ ბალავაძე

პასუხები: 1 - ბ, 2 - ბ, 3 - ა, 4 - ბ, 5 - ბ.

კროსვორდი



თარაზულად: 1. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი - მეკარე; 4. უმაღლესი სპორტული მიღწევა, საუკეთესო შედეგი; 9. ოლიმპიადის (1996) მონაწილე ქართველი აფროსანი; 10. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი; 11. რბენა მოკლე დისტანციაზე; 12. "მილანის" მწვრთნელი; 14. სასტუმრო გუდაურში; 15. სასროლეთი; 17. მწვერვალი კავკასიონზე; 22. ნბა-ს კლუბი; 24. ცნობილი ლიბერიელი ფეხბურთელი, ჯორჯ... 25. წარსულში ცნობილი გერმანელი საფეხბურთო მწვრთნელი; 27. ავიაკატასტროფაში დაღუპული ერთ-ერთი ტაშკენტელი ფეხბურთელი; 28. ფიფას შტაბბინის ქალაქი; 29. ინდოელი მოჭადრაკე, დიდოსტატი; 30. ლეგენდარული პროფესიონალი მოკრივე, მუჰამედ...

შვეულად: 2. საქართველოს საფეხბურთო კლუბი; 3. საქართველოდან 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე მძლეოსანი ვაჟი; 4. საქართველოში დასტატებული და საფრანგეთში მოთამაშე ფრენბურთელი ქალი; 5. ლეგენდარული იტალიელი საფეხბურთო მსაჯი; 6. შოტლანდიური ფეხბურთის ვარსკვლავი ახლო წარსულში; 7. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში; 8. უეფას პრეზიდენტი; 13. მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ჭადრაკში; 16. ფეხბურთელ ალექსიძის სახელი; 18. ორძლის ნაწილი - ძელი; 19. ოსი სუმოისტის იაპონური სახელი; 20. მოსკოვთან ერთად 1980 წელს ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი; 21. ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი 1900 და 1924 წელს; 23. ერთადერთი სპორტსმენი, რომელმაც ოლიმპიური მედალი მოიპოვა, როგორც ზაფხულის (კრივში), ისე ზამთრის (ბობსლეი) ოლიმპიურ თამაშებში; 26. საყაიმო შედეგი; 27. ქუთაისის სარაგბო კლუბი.

პასუხები იხილეთ წინა გვერდზე

ჩემგბი



ანრი ბრონკანის ქრონიკა

ხსოვნის დღე

22 მარტი, ხუთშაბათი

დღეს ხსოვნის დღეა. ჯერ კიდევ ხუთი წლის ვიყავი, როცა ჩემმა მშობლებმა ტრაგედიის ადგილას პირველად მიმრყვანეს. 1944 წლის 22 მარტს დილაადრიან, ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლი პარტიზანთა ოთხმოცდაათკაციანი ჯგუფი გერმანელების მე-2 ქვეითმა პოლკმა ალყაში მოაქცია. უთანასწორო ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა. პარტიზანების დასახმარებლად ბრძოლაში ახლომახლო სოფლების მოსახლეობაც ჩაება. მაგრამ რიცხვმრავალი ნაცისტების წინააღმდეგ ვერაფერს გახდნენ. გერმანელებმა პარტიზანებიც მთლიანად გაანადგურეს და ამ სოფლების მშვიდობიანი მოსახლეობის ნაწილი დახვრიტეს, ნაწილი კი ცოცხლად დაწვეს.

სკოლაში პედაგოგიური მოღვაწეობისას, ყოველ წელიწადს დამყავდა ბავშვები ამ ადგილებში, რათა დაღუპულებისთვის პატივი მიგვეგო. ახლა, როცა მათ ვხვდები ხოლმე, მეუბნებიან, რომ ყველაზე სასიამოვნო მოგონება ჩემთან ურთიერთობიდან სწორედ ამ ადგილებში ვიზიტებისგან დარჩათ. ადგილები, რომელიც ჟამთაცვლას ოდნავაც არ შეუცვლია. მასწავლებლობას რომ შევეშვი, აქეთ ფეხით მოვემართებოდი ხოლმე ჩემი გუნდის მორაგბეებთან ერთად.

ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი თითოეული იმ გმირის პირადი ბიოგრაფიით. ისინი სხვადასხვა ერის, რწმენისა და ინტელექტის ადამიანები გაერთიანებული იყვნენ, ერთი მიზნის, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ბოროტების ნაციზმის დასამარცხებლად. ყოველთვის ვამაყობდი, რომ მათი მეთაური ჟერომ ბუშე ყოფილი მორაგბე, "მონტრეჟოს" ერთ-ერთი საუკეთესო შუამარბი იყო.

აღელვების გარეშე არ შემიძლია გავიხსენო ტექსტი, რომელიც ერთ-ერთმა მებრძოლმა ალენ ბოსკემ 1944 წელს დაწერა: *"ყოველ დღე ძალადობა, ყოველ ღამე სადამსჯელო ოპერაციები. თუმცა მე მაინც ბოლომდე ვიბრძოლებ. დილით, ჩემს დასახჩრებულ გვამს იპოვნიან. ადამიანები, რომლებიც ჩემს დაკრძალვას მოინდომებენ, იკითხავენ - ვინ არის ის? ვერავინ უპასუხებს. ჩვენ არ ვიბრძვით სახელისთვის. ჩვენი საფლავის ქვა სუფთა უნდა იყოს, ყოველგვარი წარწერის გარეშე..."*

რა ჰქვია მას? -ვერავინ გეტყვით. მას ამ ულამაზესი, მწვანე საფარით შემოსილი მაღლობის სახელი ჰქვია. რომელიც მის მიერ დაღვრილი სისხლითაა გაპოხილი.

23 მარტი, პარასკევი

გუნდში ტრავმებმა კატასტროფულად იმატა. გუნდის კაპიტნის შემდეგ, დღეს ვარჯიშზე ვიცე კაპიტანიც დაშავდა. წამყვანი მოთამაშეების მთელი ჯგუფი გამომეცალა ხელიდან და "ლიონთან" საკმაოდ რთული შეხვედრის წინ ძალიან ვღელავ.

ნერვები ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებულმა სტატიამ კიდევ უფრო მომიშალა. რატომღაც გადაწყვიტეს. ისევ გაემართათ პოლემიკა ჩემი სხვა გუნდში გადასვლის თაობაზე. მე კი მეგონა, რომ აქამდე ყველასთვის ყველაფერი ნათელი იყო.

ჩემმა მეგობარმა ფსიქოლოგმა ეს ყველაფერი ასე ამიხსნა: ეს ადამიანები ორ ჯგუფად იყოფიან. ერთნი იმედგაცრუებული შეყვარებულები არიან, რომლებიც ღალატს ვერ გპატიობენ. ხოლო მეორენი ისინი არიან, რომლებსაც მუდამ სძულდი და ახლა შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცათ ხასიათი მოგიშხამონ.

არიან კიდევ მესამე კატეგორიის ადამიანებიც - ნამდვილი მეგობრები, რომლებსაც სასაყვედუროდ სიტყვაც არ დაცდენიად და დღესაც გვერდში მიდგანან. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მათში არ შევმცდარვარ.

24 მარტი, შაბათი

"ლიონი" ვეღარ ვიცანი. მაგრად მოუმატებიათ. ნამდვილად დაეტყოთ ახალი მწვრთნელის ხელი. დაცვაში ჭკვიანურად ითამაშეს, 9 ნომერიც ეშმაკივით მოხერხებული ჰყავთ. სუსტი წერტილი შერკინებაა, მაგრამ ჩვენ მაინც დაგვამარცხეს. ისღა დამრჩენია, ლიონელებს გამარჯვება მივულოცო. ისინი მორიგ შეხვედრამდე ერთკვირიან შეკრებაზე მიემგზავრებიან. ჩემ კლუბს კი ამის საშუალება არ აქვს.

გული მწყდება, რომ "ოშიდან" ისე მივდივარ, ჩემი იდეები ნამდვილი პროფესიონალური კლუბის შექმნის შესახებ ბოლომდე ვერ მივიყვანე. როგორც ჩანს, ჩემი წასვლით ჩემს ბევრ მოწინააღმდეგეს კლუბისკენ გული მოუბრუნდება. ძალიანაც კარგი...

25 მარტი, კვირა

"ოშის" ჭაბუკთა გუნდი ტულუზელ თანატოლებს ეთამაშება. ადრე ამ შეხვედრას არაფრით დავაკლდებოდი, მაგრამ დღეს მათთვის ნამდვილად აღარ მცალია. ჩემ მეგობარს, "ოშის" პრეზიდენტს უნდა შევხვდე, რომელიც აგერ უკვე 20 წელია ჩემს გვერდითაა. სადილზე მოწვეულთა შორისაა ჩვენი მეზობლის"კოლომიეს" პრეზიდენტიც, რომელთანაც მეგობრობა მუდმივად, უშეღავათო მეტოქეობაში გამოიწრთო.

"ოშის" დღევანდელი პრეზიდენტი მიშელ კარტიე გუნდში 1973 წელს ავიყვანე. კარგი, შემტევი შუამარბი იყო მაგრამ დაცვაში თამაში სულ ავიწყდებოდა. მუდამ ვეჩხუბებოდი, მაგრამ ამას ჩვენ ურთიერთობისთვის ხელი არ შეუშლია. მე სამწვრთნელო კარიერა გავაგრძელე, ის კი ერთ-ერთი წარმატებული საწარმოს ხელმძღვანელი გახდა. ძალიან მინდოდა ჩვენი გუნდის ინვესტორი ყოფილიყო. გახდა კიდეც და დღემდე მისი დახმარებით ვარსებობთ.

26 მარტი, ორშაბათი

დღეს ჩემი მომავალი გუნდის, "აჟენის" ერთ-ერთ ინვესტორს შევხვდი. ძალიან მინდოდა, ამ ადამიანთან მემუშავა. ის ფრანგულ რაგბში, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოჯახის წევრია. უდიდეს პატივს ვცემ მის ღვაწლს რაგბის წინაშე და აღფრთოვანებული მისი უშუალობითა და ცხოვრების წესით.

ბევრ რამეზე ვისაუბრეთ. ბოლოს კი მაცნობა, რომ ის კლუბს ტოვებს. გული დამწყდა. ვფიქრობ, რამდენი სასიამოვნო მომენტის გადატანა მოგვიხდებოდა ერთად... ჩვენი ჯერ კიდევ მიუღწეველი წარმატებების გამო.



ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელი ლევან მგელაძე

საქართველო-ჩეხეთი, 7 აპრილი

მგელაძეს ჩეხები მოჰყავს

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები 7 აპრილს ერთა თასის მორიგ შეხვედრას თბილისში, ჩეხეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს. მატჩი, რომელიც სავარაუდოდ, ეროვნულ სტადიონზე, 16 საათზე დაიწყება, იმითაცაა საინტერესო, რომ მოწინააღმდეგე გუნდის მწვრთნელი **ლევან მგელაძე** გახლავთ.

ბორჯღალოსნები ჩეხებს რუსებისგან ოდნავ განსხვავებული შემადგენლობით დაუხვდება. პირველ ხაზში **დავით ხინჩაგიშვილსა** და **რევაზ ბელქანიას მამუკა მაგრაქველიძე** და **გიორგი ჟღენტი** ცვლიან. სერიოზული ტრავმა მიიღო რუსების წინააღმდეგ მეორეხაზელმა **ლევან დათუნაშვილმა**, მის ნაცვლად ანდორაში მოთამაშე **შალვა სუთიაშვილი** გამოიძახეს. მესამე ხაზს **გია ლაბაძე** დააკლდება, მის ნაცვლად კი ნაკრებს ლოკომოტივიელი **ზვიად მაისურაძე** დაუბრუნდება. ერთი ცვლილებაა უკანახაზშიც - **გიორგი ელიზბარაშვილს ოთარ ელოშვილი** შეცვლის.

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველო ჩეხეთის

პირველი ხაზი: **ავთანდილ კოპალიანი** (მონტობანი), **დავით დადუნაშვილი** (მასი), **მამუკა მაგრაქველიძე** (მეტრო რასინგი), **დავით გასვიანი** (ექსი), **გიორგი ჟღენტი** (კლერმონი)

მეორე ხაზი: **ზურაბ მჭედლიშვილი** (დომონი), **ვიქტორ დიდებულიძე** (მასი), **შალვა სუთიაშვილი** (ანდორა)

მესამე ხაზი: **ილია მაისურაძე** (ნანტი), **ზვიად მაისურაძე** (ლოკომოტივი), **გიორგი ჩხაიძე** (მასი), **ბესო უდესიანი** (ვილფრანში)

9: **ირაკლი აბუსერიძე** (ორლეანი), **ბიძინა სამხარაძე** (ფარული); 10: **მერაბ კვირიკაშვილი** (პო); 12-13: **ირაკლი გიორგაძე** (ბურგუენი), **დავით კაჭარავა** (ყორები), **მალხაზ ურჯუკაშვილი** (კანი); 11-14: **ბესიკ ხამაშურიძე** (კანი), **გიორგი შკინინი** (ბლუა), **ოთარ ელოშვილი** (არასი); 15: **პალიკო ჯიმშელაძე** (არასი)

ევროპის ჩემპიონატი, U-18

ხვალ იწყებენ

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ერთ კვირაზე მეტია საფრანგეთში, ნარბონთან ახლოს შეკრებაზე იმყოფება და ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. ჩვენმა მორაგბეებმა, რომლებსაც **ლევან მაისაშვილი** და **ბადრი ბოხუა** ხელმძღვანელობენ, "ნარბონის" თანატოლთა გუნდთან საწვრთნელი შეხვედრა გამართეს და მეტოქე 17:12 დაამარცხეს.

შეგახსენებთ, რომ პირველ შეხვედრას ჩვენები ხვალ, ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ გამართავენ, გამარჯვების შემთხვევაში, კი ინგლისსა და პორტუგალიას შორის მოგებულს შეხვდებიან. მარცხის შემთხვევაში - მათ შორისვე წაგებულს. ამ ოთხი გუნდის გარდა, ელიტარულ დივიზიონში ევროპის ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ საფრანგეთის, რუმინეთის, იტალიისა და რუსეთის ნაკრები გუნდები.

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველო (18)

I ხაზი: **დავით მენაბდიშვილი, გიორგი ტორაძე, მიხეილ ნარიაშვილი** (აია), **გიორგი გაბელია** (ლელო), **შალვა მამუკაშვილი** (ყორები), **საბა ქართველიშვილი** (არმაზი).

II ხაზი: **ილო სურგულაძე** (უნივერსიტეტი), **ბექა კობახიძე** (უნივერსიტეტი), **ბექა თანდაშვილი** (ლელო).

III ხაზი: **ლადო გუნიავა** (უნივერსიტეტი), **გიორგი რევიშვილი** (აია), **თენგიზ მარგველაშვილი** (ყორები), **გიორგი ზარნაძე** (უნივერსიტეტი), **ვასილ კვერნაძე** (ლელო).

9: **ლევან გოგია** (უნივერსიტეტი), **გიორგი ჭინჭარაული** (ლელო); 10: **გივი ნადარეიშვილი** (უნივერსიტეტი); 12-13: **გიორგი ლომინაძე** (ლელო), **გიგა კორკელია** (ლელო), **დათო ჯავახიშვილი** (არმაზი), **დათო გრძელიშვილი** (ხულიგანა); 11-14: **რატი ხუციშვილი** (უნივერსიტეტი), **გივი ტაბატაძე** (ლელო), **ზურაბ გოგლიჩიძე** (აია); 15: **გოდერძი ჯოგლაძე** (ლელო)

ევროპის ჩემპიონატი. U-18

1 აპრილი, მეოთხედფინალი. ინგლისი-პორტუგალია, საქართველო-ირლანდია, იტალია-რუსეთი, საფრანგეთი-რუმინეთი; **4 აპრილი. ნახევარფინალები; 7 აპრილი. ფინალი.**

ჭადრაკი

თექვსმეტწლამდელთა ჯერია

წლევანდელი საჭადრაკო კალენდრის პირველი ნახევარი ძალიან დატვირთულია საქართველოს ჩემპიონატებით. აუცილებელია მოესწროს შინაური პირველობების გამართვა, რათა საერთაშორისო შეჯიბრებების საგზურები წლის დასაწყისშივე განაწილდეს. ქალთა და ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატები დასრულდა და ნაკრებებიც თითქმის დაკომპლექტდა, რიგში ასაკობრივი პირველობებია. 18-წლიანებმა უკვე იასპარეზეს, ორიოდ დღის წინათ კი 16-წლამდელებიც მიუსხდნენ დაფებს. ჭაბუკებში - 60 მონაწილეა; გოგონებში - 32.

16-წლამდელთა ტურნირი კი არის, მაგრამ როგორც წესი, უმცროსი ასაკის მოჭადრაკეებიც მრავლად იღებენ მონაწილეობას. გამორჩეულ ყურადღებას კი ჭაბუკებში მოთამაშე ერთადერთი გოგონა - 11 წლის **დეა გოგიშვილი** იპყრობს. დეას ჯერ იმ ოსტატობამდე არ მიუღწევია, ბევრად უფროს ბიჭებთან საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდეს, მაგრამ ნიჭიერი გოგო კი გახლავთ და ბევრად არ დაეჩაგვრინება. საერთოდ გოგონა რომ ადრეული ასაკიდან ბიჭებში თამაშს ეჩვევა, ძალიან კარგია, - უკეთ პროგრესირებს. თუმცა ამჯერად დეას გადაწყვეტილება იმით უფრო იყო ნაკარნახევი, რომ თავის ასაკის გოგონებში მას საგზური მოპოვებული აქვს. ნებისმიერ შემთხვევაში იგი გოგონებში ითამაშებს, ჭაბუკებთან ჭიდილი კი კარგ წვრთნაში ჩაეთვლება. ჯერჯერობით გოგიშვილმა ორივე პარტია წააგო, მაგრამ იმედია, გულს არ გაიტეხს და დარჩენილ ტურებში ქულების დაგროვებასაც მოახერხებს.

კიდევ ერთ უმცროს მონაწილეზე, ასევე თერთმეტი წლის **ირაკლი ბერაძეზეც**, გვსურს ყურადღების გამახვილება. ირაკლი კარგა ხანია, თავისი თაობის ლიდერად მიიჩნევა და სისტემატურად ცდილობს, უფროსებთანაც თქვას თავისი სიტყვა. ამ ტურნირში მას სამდურავი ჯერ არ აქვს - ორივე შეხვედრაში იმარჯვა და ლიდერთა შორის არის. ირაკლის უფრო სერიოზული გამოცდა ელის - ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტს, ქუთაისელ **დავით ბენიძეს** შავებით ხვდება.

ზვიად შათირიშვილი

მესამე ტური. □ჭაბუკები: **ზურაბ ჯავახიძე** (2)-**ლუკა პაიჭაძე** (2); **არჩილ ამირხანაშვილი** (2)-**დავით ლომსაძე** (2); **ზვიად ფაცია** (2)-**ირაკლი ჯანიაშვილი** (2); **ელგუჯა ლაღიაშვილი** (2)-**ნოდარ დავარაშვილი** (2); **ნოდარ ლორთქიფანიძე** (1.5)-**ბექა ფიფია** (2); **გიორგი ქანთარია** (1.5)-**გიორგი ლაცაბიძე** (1.5); **თორნიკე გაბუნია** (1.5)-**გიგა ბენიძე** (1.5); **რობერტ ტორნჯაძე** (1)-**ნიკა ვოლკოვი** (1.5).

გოგონებში: **ელისაბედ ზარქუა** (2)-**საღომე ხაჟომია** (2); **თინათინ ბერიძე** (2)-**ქეთი წაწალაშვილი** (2); **თეკლა მაჭარაშვილი** (2)-**სოფო ხურციძე** (2); **მერი არაბიძე** (1.5)-**ნათია ჯალაბაძე** (1.5); **მარიამ სამურასოვი** (1.5)-**ფატმან რიჟამაძე** (1.5); **სალომე სირაძე** (1)-**ანა გალდავაძე** (1); **ლელა უგულავა** (1)-**ნინო ხომერიკი** (1); **ნინო ანაკიძე** (1)-**ლიკა კობეშავიძე** (1); **მარიამ ბიაძე** (1)-**ანუკი ხაჟომია** (1).

ვერც სალნიკოვამ იყოჩალა

ცურვა. მელბურნში საწყლოსნო სახეობებში მე-12 მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს. გუშინ ტურნირში მეოთხე ჩვენებური ჩაერთო - მოცურავე **ანა სალნიკოვა**, თუმცა ვერც მან შეძლო წარმატების მიღწევა. სალნიკოვა 200 მეტრ დისტანციაზე ბრასით ცურვაში მეორე საკვალიფიკაციო გაცურვაში მონაწილეობდა. ჩვენებურმა დისტანცია 2 წუთსა და 55:08 წამში დაფარა. ამით ანამ 54 მონაწილეს შორის 51-ე ადგილი დაიკავა. სალნიკოვამ მხოლოდ ვიეტნამელ, ჰონდურასელ და მავრიკელ გოგონებს გაუსწრო. სალნიკოვამ იმაზე 6 წამით ცუდი შედეგი აჩვენა, რომლის წყალობითაც მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. სალნიკოვას საუკეთესო შედეგი კი მხოლოდ ორმოცეულს ეყოფოდა და ის ნახევარფინალურ გაცურვაში მაინც ვერ გავიდოდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

საქართველოს ჩემპიონატი. XIX ტური

პირველები

30 მარტი. რუსთავი

აზოტი-ავიამშენი	97:82
22:22, 25:21, 26:16, 24:23	

აზოტი: გამყრელიძე (23 ქ. 9 პ. 4 ჩ. 6 მ), ბეჟანიშვილი (16 ქ), ბოისა (9 ქ. 5 პ), დიდია (2 ქ), ტულუში (13 ქ. 6 პ. 6 მ), მარკოიშვილი (10 ქ. 3 პ), უგრეხელიძე (15 ქ. 15 მ), გოგობერიშვილი (4 ქ), ტუჯანი (5 ქ. 6 მ).

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (3 ქ), ბაბიაშვილი (22 ქ. 7 მ), ხოშტარია (7 ქ. 10 პ. 3 ჩ. 5 მ), ნიკოლაძე (8 ქ. 4 პ), ი. ბერიშვილი (20 ქ), ნინიაშვილი (12 ქ), კეიდია (6 ქ), სუხიშვილი (4 ქ), როდუმტა, ლოსაბერიძე, კვიმსაძე.

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

	თ	მ	ნ	ქ
1. აზოტი	19	18	1	37
2. ავიამშენი	19	14	5	33
3. თსუ	18	12	6	30
4. დინამო	18	5	13	23
5. მაკაბი	18	3	15	21
6. სტუ	18	3	15	21

გუშინ რუსთავში გამართულ "აზოტი"-"ავიამშენის" მატჩს ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა - მოგების შემთხვევაში რუსთაველები ნაადრევად ინაღდებდნენ რეგულარულ ჩემპიონატში პირველობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნახევარფინალებსა და ფინალებში საჭიროების შემთხვევაში გადამწყვეტ მეხუთე შეხვედრას "აზოტის" დარბაზი უმასპინძლებს. იმასაც შეგახსენებთ, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ქვეყნის ჩემპიონი სწორედ მეხუთე მატჩში ვლინდება. ასე რომ, გუშინდელი გამარჯვებით "აზოტმა" ჩემპიონობისთვის პირველი ნაბიჯი გადადგა.

გუშინ მასპინძლებს "ავტორებმა" სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს - პირველ ტაიმში თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. თუკი რუსთაველები გუნდური, მწყობრი თამაშით ცდილობდნენ "ავიამშენის" "დალაშქრას", "ავიატორების" მთავარი იარაღი ექსაზოტელი **ზვიად ბაბიაშვილი** იყო, რომელმაც პირველ ნახევარში თანაგუნდელებს 16 ქულა შესძინა და ტრიბუნებზე მყოფი ერთ-ერთ ქომაგს კითხვა გაუჩინა - ბაბუ "აზოტიდან" ნაწყენი ხომ არ წავიდა, ასეთი მონდომებით რომ თამაშობსო.

საწყის 20 წუთში "ავიას" რიგებს ტრავმის გამო **დავით ბერიშვილი** გამოაკლდა, მისმა ტყუპისცალმა **ირაკლიმ** ოთხი ჯარიმა მიიღო. ეს სერიოზული დანაკლისი აღმოჩნდა. თუმცა "აზოტმა" მეორე ნახევარი იმდენად დამაჯერებლად დაიწყო, რომ ნაკლებად სავარაუდოა ტყუპებიან "ავიასაც" შეძლებოდა მისი შეჩერება.

მასპინძლებმა **ლაშა გამყრელიძის** წყალობით სისწრაფეს უმატეს, **კოტე ტუღუშისა** და **ვაკო ბეჟაშვილის** წყალობით - სიზუსტეს, ბოისა დაცვაში იდგა მტკიცედ, ხოლო ცენტრ **დავით უგრეხელიძის** შეჩერება ვერც **ნინიაშვილმა** შეძლო, ვერც ტრავმირებულმა **როდუმტამ** და ვერც **ლადო სუხიშვილმა**. *"უგრემ ბევრი იშრომა როგორც საკუთარ, ასევე მეტოქის ფარზე"*. - გვითხრა "აზოტის" მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** და ოქმი გაშალა, სადაც უგრეხელიძის გასწვრივ ორი თხუთმეტიანი ეწერა - 15 ქულა, 15 მოხსნა.

ვაჟა სიმონიშვილი

ანატოლი ბოისას ორი ქულა

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

მატჩი მეოთხე ადგილისთვის

დღეს, ვერის პარკში

14:00 მაკაბი-თსუ

16:00 დინამო-სტუ

გუშინ, კაფე "მსოფლიო სპორტში", სტუ-"დინამოს" წინასამატჩო პრესკონფერენცია გაიმართა. ვიდრე კომენტარებს შემოგთავაზებთ, შეგახსენებთ, რომ "დინამო" მოგების შემთხვევაში მეოთხე ადგილსა და ფლეი ოფის საგზურს წინასწარ გაინაღდებს.

ზაზა ცაგარეიშვილი ("დინამოს" მწვრთნელი): - ხვალ არ გვეყოლება ლაშა კეშელავა, ხოლო ტრავმირებული ზურაბ ბადრიძის მოედანზე გასვლა სათუოა. ამისდა მიუხედავად ვეცდებით მებრძოლ სტუ-ს ღირსეულად ვეთამაშოთ და ფლეი ოფის საგზური ნაადრევად გავინაღდოთ.

ლექსო ლაფანაშვილი ("დინამოს" უკანახაზელი): - ჩვენს შეხვედრებში გამარჯვებული ყოველთვის ბოლო წუთებზე ვლინდება. ვფიქრობ ამჯერადაც საინტერესო მატჩი გველის.

ნიკო ჩერქეზიშვილი (სტუ-ს მწვრთნელი): - ორადორი ჯანმრთელი კაცი გვყავს - დავით მაისურაძე და გულივერ ახალკაცი. დასაკარგი არაფერი გვაქვს, მაყურებელს საინტერესო მატჩს ვპირდებით.

ნოდარ ბერაია (სტუ-ს უკანახაზელი): - "დინამოსთან" პრინციპული მატჩი გველის. ნაგება არ შეიძლება. ვეცდებით, შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ დავასრულოთ.

ვაჟა სიმონიშვილი

ინტერვიუ აზოტის ახალწვეულ გოიან მალოშევიჩთან

მზად ვარ თამაშისა და ჩემპიონობისთვის!

გოიან მალოშევიჩი

"აზოტი"-"ავიამშენის" მატჩის დაწყებამდე 3-4 წუთით ადრე დარბაზში თავისუფალი ადგილის პოვნა რთული საქმე იყო. რთული, მაგრამ სასარგებლო კი გამოდგა - ფარსუკანა ტრიბუნის პირველივე რიგში ძალაუნებურად თვალი შავკანიანი ახალგაზრდისკენ გამექცა, მაგრამ უფრო მეტად მის გვერდით მჯდომმა სპორტულ ტანისამოსში გამოწყობილმა პიროვნებამ დამაინტერესა, რომელიც სადღაც მყავდა ნანახი...

...სად და ჩვენი გაზეთის კვირისნინანდელ ნომერში, რომელშიც ერთერთ ფოტოს ეწერა - "აზოტის" ახალწვეული ბოიან მალოშევიჩი. ირანიდან ჩამოსული სერბი ბოიანი კომუნიკაბელური პიროვნება გამოდგა და მატჩის დიდ შესვენებაზე ინტერვიუსთვის მოიცალა.

- "აზოტი" რა შთაბეჭდილებას ტოვებს?

- ურიგო გუნდი არ ჩანს. სწრაფ და გააზრებულ კალათბურთს თამაშობს. მცირე უპირატესობა ჩვენს მხარესაა და ვიმედოვნებ, რომ საბოლოოდ გამარჯვება "აზოტს" დარჩება.

- საქართველოში როდის ჩამოხვედი?

- გუშინ. თანაგუნდელებისა და უფროსობის გაცნობა მოვასწარი და, გამოგიტყდებით, არ მეგონა, ასე თბილად თუ მიმიღებდნენ. ცდილობენ, თავი შინაურად მაგრძნობინონ. არა მგონია ასეთ ატმოსფეროში ჩემი თამაშის ჩვენება გამიჭირდეს.

- მოედანზე როდის გიხილავთ?

- ალბათ მომდევნო ტურში. მანამდე გუნდის ტაქტიკა-სტრატეგიასაც გავეცნობი და თუ მწვრთნელები საჭიროდ ჩათვლიან, აუცილებლად ვითამაშებ.

- საქართველოში კარიერის გაგრძელება რამ გადაგაწყვეტინა?

- ჩემი აგენტის მეშვეობით შევიტყვე, რომ საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო გუნდს მოთამაშე სჭირდებოდა. ისიც მითხრა, რომ ჩემი მომავალი კლუბი ჩემპიონობისთვის იბრძვის და მოხარული ვიქნები, თუ ამ მიზნის მიღწევაში წვლილს მეც შევიტან.

- გითამაშია რუსეთის "ევრაზში", "პოლონეთის "უნიაში"... ირანში კარიერის გაგრძელება რამ გადაგაწყვეტინა?

- ვერ ვიტყვი, ირანის ჩემპიონატში იმიტომ ვთამაშობდი, რომ მაღალი დონის შეჯიბრებაა. ამ აზიურ ქვეყანაში უფრო იმიტომ წავედი, რომ იმავე რუსეთსა და პოლონეთთან შედარებით დიდ თანხას იხდიან. თუმცა ირანში წასვლით, არც სათამაშო თვალსაზრისით დამიკარგავს რამე.

- რადგან ჩემპიონატების დონეებზე ვსაუბრობთ, ბარემ ისიც მითხარი, საქართველოს პირველობა როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს?

- ჯერ მხოლოდ 20 წუთი ვნახე და დასკვნების გამოტანა ნაადრევია. თუმცა, ის კი ვიცი, რომ დღეს ერთმანეთს საქართველოს ორი საუკეთესო გუნდი ეთამაშება. აქაურობას უკეთესად რომ გავიცნობ, მერე უფრო მეტის თქმა შემეძლება.

ვაჟა სიმონიშვილი

ფორმულა 1

საფრანგეთში რბოლა არ იქნება

შესაძლოა, ფორმულა 1-ის მომავალი წლის კალენდრიდან საფრანგეთის გრან-პრი ამოვარდეს.

"ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა, არ ჩაატაროს 2008 წელს საფრანგეთის გრან-პრი, რადგან მანი-კურის ტრასაზე რბოლის გამართვისთვის ნორმალური პირობები არ არსებობს", - ასეთი რამ წერია საფრანგეთის საავტომობილო სპორტის ფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში.

თუმცა, ამავდროულად, ეს ორგანიზაცია ეტაპის ორგანიზატორებს კიდევ ერთ შანსს უტოვებს. *"აღმასრულებელი კომიტეტი 1997 წლის ივლისში, თავის მორიგ სესიაზე კიდევ ერთხელ გადახედავს საფრანგეთის გრან-პრისთან დაკავშირებულ სიტუაციას"*, - წერია იმავე დოკუმენტში.

ფედერაცია "ნორმალური პირობების არ არსებობაში" ისეთ ფაქტორებს გულისხმობს, როგორიცაა ტრასაზე მაყურებლების მისვლისა (მანი-კურის ტრასა მსხვილი ქალაქებიდან მოშორებით მდებარეობს) და ცხოვრების ცუდი პირობები, რაც დასწრების პროცენტზე უარყოფითად მოქმედებს. საფრანგეთის გრან-პრი მანი-კურზე 1991 წლიდან ტარდება, მაგრამ ბოლო პერიოდში, მას ფინანსურად ძალიან უჭირს.

ფრანგები იმედოვნებენ, რომ ფორმულა 1-ის ეტაპს 2009 წელს დაიბრუნებენ. ისინი ამბობენ, რომ აუცილებელი არ არის, რბოლა მაინცა და მაინც მანი-კურზე ჩატარდეს. ფორმულა 1-ის ფაქტობრივი მფლობელი - **ბერნი ექლსტოუნი** დაინტერესებულია პარიზის გრან-პრის ჩატარებით. რბოლის გამართვის სავარაუდო ადგილსაც ასახელებენ - ეს იქნება ფრანგული დისნეილენდი ან ქალაქის ჩრდილოეთით, **შარლ დე გოლის** სახელობის აეროპორტის ახლოს მდებარე ტერიტორია.

ჩოგბურთი

ინგლისში ახალი საჩოგბურთო აკადემია აქვთ

ინგლისის დედოფალმა ელიზაბეტ მეორემ ქალაქ როჰემპტონში საჩოგბურთო აკადემია გახსნა.

ტელეკომპანია BBC-ის ცნობით, ინგლისის ხაზინას ახალი ცენტრის მშენებლობა 29 მილიონი ფუნტი დაუჯდა. აკადემიის ტერიტორიაზე იქნება 20 ღია და 6 დახურული კორტი და აგრეთვე, სატანვარჯიშო დარბაზი.

გახსნის ცერემონიალზე, დედოფალს თან ახლდა ცნობილი ბრიტანელი ჩოგბურთელი **გრეგ რუსეცკი**. *"ეს საუკეთესო აკადემიაა მთელს ბრიტანეთში. დარწმუნებული ვარ, ის ახალგაზრდა ჩოგბურთელების მოსამზადებლად შესანიშნავი ბაზა იქნება"*, - განაცხადა წარმოშობით კანადელმა რუსეცკიმ.

კალათბურთი

ნოვიცკი ტრავმირებულია

"დალას მავერიქსის" ლიდერმა **დირკ ნოვიცკიმ** "მილუოკისთან" მატჩში ფეხის ტრავმა მიიღო. გერმანელმა კალათბურთელმა პირველი ტაიმის დასრულებამდე 3 წუთით ადრე იტკინა ფეხი და მოედანზე აღარ დაბრუნებულა.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ეჭქვეშაა ნოვიცკის თამაში "ნიუ იორკ ნიქსთან" უახლოესი ტურის შეხვედრაში.

პეჯა ბრუნდება

"ნიუ ორლეანის" ფორვარდი **პრედრაგ სტოიაკოვიჩი** თითქმის მზად არის მოედანზე დასაბრუნებლად.

სერბმა კალათბურთელმა ზურგის ოპერაციის გამო, 58 მატჩი გამოტოვა და როგორც ახლა "ჰორნეტსის" მთავარი მწვრთნელი **ბაირონ სკოტი** აცხადებს, სტოიაკოვიჩი კვირას, "ნიუ იორკთან" სათამაშოდ ემზადება.

რიჩარდსონი მწვრთნელობას ჩამოაშორეს

საკონტინენტთაშორისო საკალათბურთო ასოციაციამ (CBA) საკუთარი ჩემპიონატის მატჩებს ჩამოაშორა NBA-ის ყოფილი მოთამაშე **რეი რიჩარდსონი**. ამგვარი სასჯელი რეის ანტისემიტურმა კომენტარებმა გამოიწვია. ამჟამად, რიჩარდსონი CBA-ს კლუბ "ოლბანის" მთავარი მწვრთნელი გახლავთ.

როგორც სააგენტო AP იუწყება, ანტისემიტური განცხადებების გარდა, რიჩარდსონმა სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებსაც მიაყენა შეურაცხყოფა. თავად მწვრთნელი აღიარებს დანაშაულს და მზად არის, თავისი "გრძელი ენისთვის" ბოდიში მოიხადოს.

სხვათა შორის, თავის დროზე, რიჩარდსონს NBA-ში თამაში სამუდამოდ აუკრძალეს, რადგან ის სამჯერ გამოიჭირეს ნარკოტიკების მიღებაზე.

მძლეოსნობა

ორის ნაცვლად ოთხწლიანი სასჯელი

ამ დღეებში, კენიის ქალაქ მომბასაში მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) საბჭოს სხდომა გაიმართა, სადაც მისმა წევრებმა ერთხმად უყარეს კენჭი დოპინგის მიღებისთვის დისკვალიფიკაციის ვადის ორიდან ოთხ წლამდე გაზრდას.

ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია შეეხებათ იმ სპორტსმენებსაც, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო, უარს იტყვიან დოპინგ-ტესტის გავლაზე.

IAAF ამ წინადადებას მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოში (WADA) გააგზავნის დასამტკიცებლად. WADA-ს კონგრესი ნოემბერში გაიმართება.

კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ჩიკაგო-დეტროიტი 83:81

25:17, 13:24, 22:20, 23:20

ჩიკაგო: გორდონი (25 ქ), დენგი (16 ქ. 8 მ. 5 პ), ჰაინრიხი (15 ქ. 8 პ. 2 ჩ), ტომასი (13 ქ. 10 მ), ბ. უოლასი (6 ქ. 19 მ. 2 ჩ).

დეტროიტი: პრინსი (26 ქ. 6 მ. 5 პ), რ. უოლასი (19 ქ), ბილაპსი (12 ქ. 7 პ), მაკდაისი (8 ქ. 10 მ. 2 ჩ).

პორტლენდი-მემფისი 92:96

24:24, 22:26, 20:19, 26:27

პორტლენდი: რენდოლფი (43 ქ. 17 მ. 5 პ. 2 დ), აუტლოუ (13 ქ), როი (13 ქ).

მემფისი: კინსი (20 ქ. 4 ჩ), უორიკი (18 ქ. 10 მ), გეი (18 ქ. 4 დ. 2 ჩ), გასოლი (17 ქ. 8 მ), სვიფტი (8 ქ. 9 მ).

გ. სტეიტი-ფინიქსი 124:119

45:33, 32:30, 32:23, 15:33

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (36 ქ. 12 მ), ს. ჯექსონი (29 ქ. 6 მ. 7 პ. 2 ჩ), დევისი (21 ქ. 8 მ. 12 პ. 3 ჩ), ელისი (16 ქ. 5 მ. 5 პ).

ფინიქსი: ბარბოზა (27 ქ), დიაო (18 ქ. 6 მ. 7 პ), ა. სტაუდმაიერი (17 ქ. 11 მ), ნეში (14 ქ. 9 პ), მერიონი (10 ქ. 6 მ), რ. ბელი (10 ქ. 2 ჩ).

TV სპორტი

31 მარტი. შაბათი

I არხი

15:45 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. მაკაბი-თსუ (LIVE).

იმედი

16:30 კალათბურთი. NBA ACTION. მიმოხილვა

მზე

15:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ბლექბერნი (LIVE).

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ანდორა-ინგლისი.
14:10 საფეხბურთო კლუბი.
14:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი (LIVE).
17:35 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე (LIVE).
19:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლორიანი-მარსელი (LIVE).
21:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:25 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ესტონეთი-რუსეთი.
21:40 ტოქ-შოუ - 2:1.
22:25 იტალიის ჩემპიონატი. რომა-მილანი (LIVE).
00:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:40 გერმანიის ჩემპიონატი. კოტბუსი-ვერდერი.

SPORT 1 (უკრაინა)

07:05 კალათბურთი. ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. დინამო-ბენეტონი.
08:50 სპორტის ისტორია.
09:00 სპორტინფორმი.
09:10 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მექსიკა.
11:45 სპორტინფორმი.
12:00 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1979 წელი. ფინალი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
13:45 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატის მიმოხილვა.
14:35 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
15:05 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-დალასი.
17:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე (LIVE).
19:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ირლანდია-სლოვაკეთი.
22:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-მილანი (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ესპანიოლი.
02:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერი-ლილი.
04:05 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
04:35 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1979 წელი. ფინალი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
06:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
06:55 სპორტის ისტორია.

EUROSPORT

09:30 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. მელბურნი. ავსტრალია.
10:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. პეკინი (LIVE).
12:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. მელბურნი. ავსტრალია (LIVE).
14:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:15 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. პეკინი (LIVE).
16:30 მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ბელგრადი. სერბეთი (LIVE).
18:30 მულტისპორტი.
19:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
20:45 ველოსპორტი (ტრეკი). მსოფლიო ჩემპიონატი. მალიორკა. ესპანეთი (LIVE).
21:30 ველოსპორტი (ტრეკი). მსოფლიო ჩემპიონატი. მალიორკა. ესპანეთი.
22:15 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-დანია. ედმონტონი. კანადა (LIVE).
00:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალია.
01:00 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. პეკინი.
02:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. მელბურნი. ავსტრალია.
03:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. მელბურნი. ავსტრალია (LIVE).

EUROSPORT-2

08:30 ახალი ამბები.
11:00 მულტისპორტი.
11:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. კილი (გერმანია)-პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი).
12:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. პოლონეთი-სომხეთი.
13:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-პორტუგალია.
13:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. სლოვენია-ჰოლანდია.
14:15 ახალი ამბები.
14:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი.
15:30 მოტოკროსი.
16:30 სუპერკროსი.
18:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. დონინგტონი. ბრიტანეთი (LIVE).
18:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. კილი (გერმანია)-პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი).
20:00 მულტისპორტი.
20:30 ახალი ამბები.
21:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი.
22:00 ექსტრემალური სპორტი.
23:00 ფრისტაილ-მოტოკროსი, ხტომები. ბერლინი. გერმანია (LIVE).
00:00 ახალი ამბები.
00:15 კიკ-ბოქსინგი.
01:15 ახალი ამბები.

1 აპრილი. კვირა

I არხი

21:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სელტა-რეალი (LIVE).

რუსთავი 2

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

მზე

19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-რედინგი (LIVE).

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

10:15 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 იტალიის ჩემპიონატი. რომა-მილანი.
14:05 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-დეპორტივო.
15:50 ტოქ-შოუ - 2:1.
16:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:55 იტალიის ჩემპიონატი. ტორინო-პალერმო (LIVE).
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-რედინგი (LIVE).
20:50 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვოლფსბურგი.
22:30 იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ლაციო (LIVE).
00:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:35 ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-სევილია.

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ესპანიოლი.
08:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
10:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-დეპორტივო.
12:20 სპორტის ისტორია.
12:30 სპორტის სახეები.
13:00 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. კორინთიანსი-სერტანზინიე.
14:45 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-მინესოტა.
16:30 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-ფიორენტინა (LIVE).
19:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვოლფსბურგი (LIVE).
20:55 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
21:25 სპორტის სახეები.
21:55 სპორტის ისტორია.
22:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ლაციო (LIVE).
00:30 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
01:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ფლორიდა-კაროლინა (LIVE).
03:35 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. კორინთიანსი-სერტანზინიე.
05:20 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მექსიკა.
06:20 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
06:49 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვოლფსბურგი.

EUROSPORT

09:30 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. მელბურნი. ავსტრალია.
10:00 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. პეკინი (LIVE).
12:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. მელბურნი. ავსტრალია (LIVE).
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. დონინგტონი. ბრიტანეთი (LIVE).
15:00 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. დონინგტონი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. პეკინი (LIVE).
17:30 ველოსპორტი (ტრეკი). მსოფლიო ჩემპიონატი. მალიორკა. ესპანეთი (LIVE).
20:00 მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ფინალები. ბელგრადი. სერბეთი.
21:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. პეკინი.
22:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
23:00 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. შოტლანდია-გერმანია. ედმონტონი. კანადა (LIVE).
01:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალია.
01:30 პროფესიული კრივი. ს. ჰერელიუსი (საფრანგეთი)-ს. კალაჩიანი (სომხეთი).

EUROSPORT-2

08:30 ახალი ამბები.
11:00 ფრისტაილ-მოტოკროსი. ხტომები. ბერლინი. გერმანია.
12:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. დონინგტონი. ბრიტანეთი (LIVE).
12:30 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. დონინგტონი. ბრიტანეთი.
13:15 მულტისპორტი.
13:45 ახალი ამბები.
14:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვალკენსვაარდი. ჰოლანდია (LIVE).
15:00 ფრისტაილ-მოტოკროსი. ხტომები. ბერლინი. გერმანია.
16:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალია (LIVE).
17:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვალკენსვაარდი. ჰოლანდია (LIVE).
18:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. მოსკოვი. რუსეთი.
18:30 მულტისპორტი.
19:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-რეალი.
20:30 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ლოს ანჯელესი (LIVE).
23:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალიადოლიდი (ესპანეთი)-ფრენსბურგი (გერმანია).
00:00 ახალი ამბები.
00:15 ფრისტაილ-მოტოკროსი. ხტომები. ბერლინი. გერმანია.
01:00 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი	
ინგლისი	
ჩემპიონატი	
ლიდსი-პრესტონი	2:1
I ლიგა	
ტრანმერი-კარლაილი	0:2
II ლიგა	
ჰარტლპული-ჩესტერი	3:0
იტალია	
სერია B	
ვიჩენცა-სპეცია	1:0
ჯენოა-ალბინოლეფე	1:0
გერმანია	
არმინია-ბორუსია (დ)	1:0
II ბუნდესლიგა	
ბურგჰაუზენი-უნტერჰახინგი	4:1
კარლ ცაისი-იენა	1:2
პადერბორნი-კარლსრუე	1:2
რეგიონალლიგა (ჩრ)	
დორტმუნდი II-დინამო	2:3
საფრანგეთი	
II დივიზიონი	
ბასტია-ტური	2:0
ბრესტი-შატორუ	0:0
დიჟონი-ამიენი	1:2
გენიონი-გრენობლი	0:0
ისტრი-აიაჩო	1:4
ლიბურნი-კრეტეი	0:2
მეცი-გინგამი	1:0
მონპელიე-ნიორი	2:1
კაენი-სტრასბური	2:2
ჰოლანდია	
როდა-გრონინგენი	0:1
II დივიზიონი	
აპელდოორნი-ვოლენდამი	0:1
კამბური-ვენლო	2:1
გრააფსხაპი-ემენი	2:1
დენ ბოში-ჰელმონდი	3:1
დორდრეხტი-ფორტუნა	1:3
ეინდჰოვენი A-გოუ ისი	1:1
ომნივორლდი-იგლზი	0:1
ჰაარლემი-მაასტრიხტი	1:0
როსენდალი-ცვოლე	3:0
ვეენდამი-ტელსტარი	2:1
ბელგია	
ბრიუსელი-გენტი	1:1
ავსტრია	
II დივიზიონი	
ადმირა-პარნდორფი	1:1
ლუსტენაუ-გრატკორნი	2:0
ჰარტბერგი-აუსტრია (ლ)	2:1
კაპფენბერგი-აუსტრია A	1:0
კერნტენი-ლეობენი	1:1
შვანენშტადტი-ლინცერი	1:5
ირლანდია	
კორკი-ლონგფორდი	2:0
სტ. პატსი-ბრეი	3:1
უოტერფორდი-ბოჰემიანსი	0:1
დროგედა-დერი	2:1
შემროკი-გალვეი	1:0
სლოვაკეთი	
ტრენჩინი-დუბნიცა	0:0
პოლონეთი	
კრაკოვია-ლეხი	3:0
უნგრეთი	
დებრეცენი-ტატაბანია	2:0
კალათბურთი	
საფრანგეთი	
ბეზანსონი-რუანი	89:74
ჰოკეი	
რუსეთი	
ავანგარდი-მეტალურგი (მ)	2:1
აკ ბარსი-ცსკა	4:2
სლოვაკეთი	
სლოვანი-ტრენჩინი	4:2
ფინეთი	
კიეკო-კერპეტი	2:3
ჰპკ-იოკერიტი	1:1
ჩოგბურთი	
ATP. მაიამი	
ჯოკოვიჩი-მარეი	6:1, 6:0

ტურნირების მიმოხილვა

კლასიკური ფინალი

მაიამიში მიმდინარე "მასტერსზე" გადამწყვეტი მატჩების ჯერი დადგა. მამაკაცებს შორის ორივე ნახევარფინალური წყვილი დაკომპლექტდა, ქალებმა კი, უკვე ფინალისტთა ვინაობა გაარკვიეს.

მთავარი პრიზისთვის ამერიკელი **სერენა უილიამსი** და ბელგიელი **ჟუსტინ ანენი** დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ორივე ჩოგბურთელი წელს შესანიშნავ ფორმაში იმყოფება. ანენმა 16 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა, 2007 წელს სერენას ანალოგიური მაჩვენებლები კი, 14 მოგებასა და 1 წაგებას შეადგენს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელიცა და ბელგიელიც ხშირად არ ჩნდებიან კორტზე. უილიამსი ავსტრალიის ღია პირველობაზე ტრიუმფის შემდეგ, მხოლოდ მეორე ტურნირს თამაშობს, ასევე ხშირად აცდენს WTA-ს ტურნირებს ანენიც.

ასეა თუ ისე, მაიამის ფინალში, ამ მომენტისთვის ობიექტურად ორი უძლიერესი ჩოგბურთელი შეხვდება ერთმანეთს.

უილიამსმაც და ანენმაც ძალიან იოლად გააღწიეს ფინალში. სერენამ ისრაელელი **შაარ პეერი** უძლიერესი მოწოდების ხარჯზე დაამარცხა. ძლიერი მოწოდება ამერიკელს განსაკუთრებით პირველი სეტის ტაი-ბრეიკში გამოადგა, როცა ორი ეისი მოაწოდა და 4:1 დაწინაურდა.

რაც შეეხება მეორე პარტიას, იქ ბრძოლა აღარ შედგა. სერენამ თავიდანვე აიღო მეტოქის მოწოდებაზე გეიმი, 3:0 წაიყვანა ანგარიში და იმ მომენტში უკვე ყველაფერი გაირკვა.

ჟუსტინ ანენი პირველად გავიდა მაიამის ტურნირის ფინალში. ამისთვის მას ორი სეტის ჩატარება დასჭირდა რუს **ანა ჩაკვეტაძესთან** შეხვედრაში.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა თითქმის შეცდომოდ ითამაშა, იმ დროს, როცა ჩაკვეტაძე ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა, განსაკუთრებით პირველი მოწოდებისას. რუსმა პირველ მოწოდებაზე 35-დან 20 ქულა წააგო და ხუთი გეიმი დათმო.

"ის ძალიან ხშირად ცდებოდა, რამაც საქმე ძალიან გამიიოლა", - გაიცხადა მატჩის შემდეგ ანენმა.

"ჟუსტინის წინააღმდეგ ძალიან რთული თამაში. მას ნებისმიერ მომენტში შეუძლია შეცვალოს სტილი და სწორედ ამიტომ არის ის მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი", - ამბობს ანა ჩაკვეტაძე.

ერთადერთი, ვისაც ანენის შეჩერება შეუძლია, სწორედ სერენა უილიამსი გახლავთ. მათ ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა უილიამსის მხარესაა - რვიდან ხუთი მატჩი ამერიკელს აქვს მოგებული.

ფინალის წინ, მეტოქეები ქათინაურებს არ იშურებენ ერთმანეთის მისამართით. *"ჟუსტინი ტურში საუკეთესო ჩოგბურთს თამაშობს. ფინალის წინ, ცოტათი ვნერვიულობ კიდეც"*, - ამბობს სერენა. *"სერენა უდიდესი ჩოგბურთელია და მიხარია, რომ ის ტურში დაბრუნდა. წელს ის ისე თამაშობს, როგორც თავის საუკეთესო სეზონებში"*, - ეს უკვე ანენის სიტყვებია.

ATP

სოფი ერიქსონის ღია

მაიამი (აშშ). 19 მარტი-1 აპრილი. ჰარდი
საპრიზო ფონდი: 3 450 000 დოლარი

1/4 ფინალი

გილერმო კანიასი (არგ)-ტომი რობრედო (ესპ, 6) 7:6 (5), 6:1; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 7)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 23), 6:3, 7:5.

1/2 ფინალში ხვედებიან

ჯოკოვიჩი (10)-მარეი (12); გილერმო კანიასი-ლუბიჩიჩი (7).

WTA

სოფი ერიქსონის ღია

მაიამი (აშშ). 21 მარტი-1 აპრილი. ჰარდი
საპრიზო ფონდი: 3 450 000 დოლარი

1/2 ფინალი

სერენა უილიამსი (აშშ, 13)-შაარ პეერი (ისრ, 14) 7:6 (4), 6:1; **ჟუსტინ ანენი (ბელ, 2)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს, 9) 6:2, 6:3.

სერენას დუეინ უეიდმაც მიულოცა

რაიან ლოხტე

მსოფლიო ჩემპიონატი

რაიან ლოხტეს ორმაგი დუბლი

გუშინ, ავსტრალიის ქალაქ მელბურნში მიმდინარე, მოცურავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე მედლების ხუთი კომპლექტი გათამაშდა, რომლებშიც მსოფლიოს ორი და მსოფლიო ჩემპიონატების ერთი რეკორდი გაუმჯობესდა. მორიგი ოქრო და რეკორდი მიითვალა ამერიკელმა **მაიკლ ფელპსმა**, თუმცა დღის გმირი მისი თანაგუნდელი **რაიან ლოხტე** გახდა.

ორსაათიან ინტერვალში ლოხტემ ორი ოქრო მოიპოვა და მსოფლიოს რეკორდიც ამდენჯერვე გააუმჯობესა. აქედან ერთი ოქრო ინდივიდუალურია (200 მეტრზე გულაღმა), მეორე კი მან 4x200 მეტრზე თავისუფალით ესტაფეტაში, ფელპსთან ერთად მოიგო. ამასთან, 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში თანაგუნდელი **აარონ პირსოლის** რეკორდი გააუმჯობესა.

უკვე მოპოვებული ხუთი ოქროს მედლით, ფელპსი მიუახლოვდა **იან თორპის** მიღწევას, რაც მსოფლიოს ერთ ჩემპიონატზე ოქროს ექვსი მედლის აღებას ნიშნავს. ფელპსი კიდევ სამ დისციპლინაში აპირებს მონაწილეობას და შესაძლოა, რვა ოქროთი დაასრულოს ჩემპიონატი. ამასთან, მის ანგარიშზე უკვე ოთხი რეკორდი ირიცხება და ის არ მალავს, რომ ას მეტრზე ბატერფლაიშიც გეგმავს რეკორდის დამყარებას. თუმცა, ეს გაცილებით ძნელი მისაღწევი იქნება.

ავსტრალიელმა **ლიბი ლენტონმა** კიდევ ერთი, მესამე ოქრო მოიპოვა. ამჯერად მას ბადალი არ ჰყავდა 100 მეტრზე თავისუფალ სტილში. მისმა თანაგუნდელმა **ლეიზელ ჯონსმა** კი წინა ჩემპიონატის მიღწევა გაიმეორა - 100 და 200 მეტრზე ბრასში გახდა ჩემპიონი (100 მეტრზე მანამდე ჰქონდა მოგებული). დაბოლოს, თავისი მთავარი მეტოქის, **ბრენდან ჰანსენის** არყოფნით ისარგებლა იაპონელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **კოსუკე კიტაძიმამ** და 200 მეტრზე ბრასში მოიპოვა ოქროს მედალი.

ჰანსენმა 100 მეტრზე ბრასი მოიგო, მაგრამ შემდეგ გრიპი შეეყარა, რის გამოც მეორე დისტანციაზე აღარ უასპარეზია. კიტაძიმა კი სულ მეორე აზიელი მოცურავეა, ვინც მელბურნში კაცებს შორის მოიპოვა ოქროს მედალი. შეგახსენებთ, რომ პირველი აზიელი სამხრეთ კორეელი **პარკ ტაე-ჰვანია**, რომელმაც სენსაციური გამარჯვება მოიპოვა 400 მეტრზე თავისუფალში.

ჩემპიონატზე ექვს დღეში მსოფლიოს 12 რეკორდი გაუმჯობესდა. მელბურნის **როდ ლეივერის** სახელობის არენაზე მოწყობილ დროებით აუზში ძირითადად ამერიკელი და ავსტრალიელი მოცურავეები დომინირებენ. ამასთან, მასპინძლებს ჯერ კაცებს შორის ოქრო არ აუღიათ. სამაგიეროდ, ქალებში მათ ანგარიშზე უკვე ექვსი ოქროა.

მერაბ ლორთქიფანიძე

მელბურნი (ავსტრალია)
როდ ლეივერის არენა

კაცები

200 მეტრი გულაღმა

1. რაიან ლოხტე (აშშ) 1:54.32 (მსოფლიოს რეკორდი); 2. აარონ პირსოლი (აშშ) 1:54.80; 3. მარკუს როგანი (ავსტრია) 1:56.02...

200 მეტრი ბრასით

1. კოსუკე კიტაძიმა (იაპონია) 2:09.80; 2. ბრენტონ რიკარდი (ავსტრალია) 2:10.99; 3. ლორის ფაჩი (იტალია) 2:11.03...

4x200 მეტრზე თავისუფალით ესტაფეტა

1. აშშ (მაიკლ ფელპსი, რაიან ლოხტე, კლეტ კელერი და პეტერ ვანდერკაია) 7:03.24 (მსოფლიოს რეკორდი); 2. ავსტრალია 7:10.05; 3. კანადა 7:10.70...

ქალები

100 მეტრი თავისუფალით

1. ლიზბეთ ლენტონი (ავსტრალია) 53.40 (მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდი); 2. მარლენ ფელდჰუისი (ჰოლანდია) 53.70; 3. ბრიტა შტეფენი (გერმანია) 53.74...

200 მეტრი ბრასით

1. ლეიზელ ჯონსი (ავსტრალია) 2.21.84; 2. კირსტი ბალფური (ბრიტანეთი) 2.25.94; 2. მეგან ჯენდრიკი (აშშ) 2.25.94...

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ბოსტონი-პიტსბურგი 2:4
2:3, 0:0, 0:1

გოლები: 1:0 ბოჩენსკი-13 (ფერენსი-12, კესელი-16), 1:1 კრისტენსენი-17 (ულეტი-27, ჯ. სტაალი-12), 1:2 კ. არმსტრონგი-12 (კრისტენსენი-14, კროსბი-79), 2:2 კესელი-11 (ბოჩენსკი-11, ტენკრატი-4), 2:3 კრისტენსენი-18 (კროსბი-80), 2:4 მალკინი-33 (კროსბი-81, ულეტი-28).

ატლანტა-ტორონტო 3:2 (ო)
1:1, 0:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 მარიან ჰოსა-42 (ტკაჩუკი-27, კოვალჩუკი-34), 1:1 პოლი-12 (პერო-16, ი. უაიტი-23), 2:1 ვიაჩ. კოზლოვი-26 (სატონი-13, ჰოლიკი-18), 2:2 გილი-5 (ანტროპოვი-14, სუნდინი-42), 3:2 ვიაჩ. კოზლოვი-27 (მარიან ჰოსა-54, ჟიტნიკი-30).

კოლამბუსი-ანაჰაიმი 2:5
0:0, 1:1, 1:4

გოლები: 1:0 ა. ჯონსონი-3 (შელი-1, მაკლორტა-16), 1:1 პრონგერი-12 (ს. ნიდერმაიერი-52, ე. მაკდონალდი-49), 2:1 ფიოდოროვი-18 (ნეში-30), 2:2 ბოშემენი-7 (სელიანე-43, კუნიტცი-33), 2:3 გეტცლაფი- 24 ((სელიანე-44, პრონგერი-43), 2:4 პრონგერი-13 (გეტცლაფი-30, სელიანე-45), 2:5 სელიანე-45 (მარჩანტი-15, ბოშემენი-20).

სენტ ლუისი-ედმონტონი 5:2
2:2, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 უეიტი-14 (ჯეკმენი-20), 2:0 სეინა-2 (რ. ჯონსონი-4, ჯეკმენი-21), 2:1 ჰემსკი-12 (ჯ. სმიტი-9, ჰორკოფი-34), 2:2 მ. რუა-2 (გილბერტი-4, ჰორკოფი-35), 3:2 სტემნიკი-24 (მ. უოკერი-4, ბოიესი-28), 4:2 მაკლემანი-8 (უეიტი-41, ჯეკმენი-22), 5:2 ჩაიანეკი-14 (დვორაკი-27).

ნეშვილი-დეტროიტი 1:2
1:1, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ლეგვანდი-24 (დუმონი-44, რადულოვი-19), 1:1 ფრანცენი-10 (დაციუკი-56, ბერტუცი-7), 1:2 დაციუკი-26 (ჰოლმსტრიომი-22, ბერტუცი-8).

მინესოტა-ქალგარი 2:4
1:3, 0:0, 1:1

გოლები: 0:1 ლენგკოუ-31 (ბ. სტიუარტი-13, ლომბარდი-26), 0:2 იგინლა-35 (ტანგეი-54, კონროი-23), 1:2 ბერნსი-7 (გაბორიკი-23, ბუშარი-37), 1:3 იგინლა-36 (ლენგკოუ-41), 1:4 იგინლა-37 (კონროი-24, ტანგეი-55), 2:4 პერიში-18 (კ. იონსონი-18, მ. კოივუ-33).

ფინიქსი-კოლორადო 3:4
0:2, 0:2, 3:0

გოლები: 0:1 ჰეიდუკი-31 (არნასონი-31, ჯ. შჩასტნი-45), 0:2 მაკლინი-15 (ჰეიდუკი-33, ჯ. შჩასტნი-46), 0:3 ვოლსკი-21 (არნასონი-32, ლაილსი-29), 0:4 რიჩარდსონი-13 (ბრუნეტი-52, საკიკი-57), 1:4 რაინპრეხტი-8 (ბ. ტომასი-5, კარჩილო-3), 2:4 კ. ადამსი-3 (ტიარნკვისტი-7, ზიგომანისი-9), 3:4 ბოინტონი-1 (კარჩოლო-4, რაინპრეხტი-21).

ლოს ანჯელესი-ვანკუვერი 2:4
1:1, 0:2, 1:1

გოლები: 0:1 სმოლინკსი-17 (პიატი-14, ნესსუნდი-34), 1:1 დ. ბრაუნი-16 (ჰიუვარდი-17, კამალერი-43), 1:2 დ. სედინი-35 (კრაიჩეკი-13, ჯ. სედინი-66), 1:3 პიატი-21 (დ. სედინი-45, ჯ. სედინი-67), 2:3 კოპიტარი-19 (დ. ბრაუნი-26, კმალერი-44), 2:4 დ. სედინი-36 (ჯ. სედინი-68, ბიეკსა-28).

მსოფლიო ჩემპიონატი. ტრეკი

უიგინსმა ჭიქული დაიბრუნა

ესპანეთის კუნძულ მაიორკაზე სტარტი აიღო სატრეკო ველოსპორტში მსოფლიოს ჩემპიონატმა, რომელზეც უკვე მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდა. მათგან ორში ოქროს მედლებს ბრიტანელები დაეუფლნენ, ერთი ფრანგებმა მოიპოვეს, ერთი კი - ჩეხმა ველომრბოლმა.

ჩემპიონატი ქალების გუნდურმა სპრინტმა გახსნა, რომელიც პირველად შეიტანეს მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამაში. ფინალში ბრიტანეთის დუეტმა ჰოლანდიას აჯობა.

ალბეინელებს მეორე ოქრო ინდივიდუალურ გამოდევნებით რბოლაში **ბრედლი უიგინსმა** მოუპოვა, რომელმაც ფინალში იოლად აჯობა გერმანელ ორგზის მსოფლიო ჩემპიონ **რობერტ ბარტკოს**. ბრიტანელის უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ის წრეზე დაენია მეტოქეს და ამის გამო, ასპარეზობა შეწყდა. ამგვარად, უიგინსმა დაიბრუნა ჩემპიონის ტიტული, რომელიც პირველად 2003 წელს მოიპოვა.

ბრიტანელებს კაცების გუნდური სპრინტის მოგების შანსიც ჰქონდათ, მაგრამ ფინალში ისინი საფრანგეთთან დამარცხდნენ. ფრანგთა სამეულში ყველაზე ტიტულოვანი **არნო ტურნანია**, ვისთვისაც ეს კარიერაში მსოფლიო ჩემპიონატებზე მოპოვებული მე-13 ოქროა, რომელთაგან რვას ის სწორედ გუნდურ სპრინტში დაეუფლა.

მეოთხე ოქრო გათამაშდა მრავალდისციპლინიან ომნიუმში, რომელიც თითქმის 40 წელი ამოღებული იყო მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამიდან. აქ ჩემპიონი ჩეხი **ალოიზ კანკოვსკი** გახდა, რომელმაც მცირედით აჯობა არგენტინელ **ვალტერ პერესს**.

მაიორკა (ესპანეთი). პალმა არენა
ქალები. გუნდური სპრინტი

ოქროს მედლის ფინალი

1. ბრიტანეთი (ვიქტორია პენდლტონი, შანაზ რიდი) 0.33.63 (53.522 კმ/სთ)

2. ჰოლანდია (ივონ ჰაიგენაარი, ვილი კანისი) 0.33.97 (52.981 კმ/სთ)

ბრინჯაოს მედლის ფინალი

3. ავსტრალია 0.33.81 (53.238 კმ/სთ)

4. საფრანგეთი 0.34.64 (51.957 კმ/სთ)

კაცები. ინდ. გამოდევნებით

ოქროს მედლის ფინალი

1. ბრედლი უიგინსი (ბრიტანეთი)

2. რობერტ ბარტკო (გერმანია) ნრეზე დაენია

ბრინჯაოს მედლის ფინალი

3. სერხი ესკობარი (ესპანეთი) 4.23.40 (54.666 კმ/სთ)

4. ანტონიო ტაულერი (ესპანეთი) 4.29.50 (53.425 კმ/სთ)

კაცები. გუნდური სპრინტი

ოქროს მედლის ფინალი

1. საფრანგეთი (გრეგორი ბოჟე, მიკაელ ბურგენი, არნო ტურნანი) 0.43.830 (61.601 კმ/სთ)

2. ბრიტანეთი (როს ედგარი, კრის ჰოი, კრეიგ მაკლინი) 0.43.832 (61.598 კმ/სთ)

ბრინჯაოს მედლის ფინალი

3. გერმანია 0.44.240 (61.03 კმ/სთ)

4. ჰოლანდია 0.44.286 (60.967 კმ/სთ)

კაცების ომნიუმი

1. ალოიზ კანკოვსკი (ჩეხეთი) 19 ქულა; 2. ვალტერ პერესი (არგენტინა) 28; 3. ჩარლზ ბრედლი ჰაფი (აშშ) 37...

სპორტული ჰებდომი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჯუღინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუთარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აბიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით ჭელტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ქეშაიძე, ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაძარ გაჩიჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. გარდა კვირისა